# გამჭვირვალობის ანგარიში 2025



2025 წლის 30 სექტემბრით დასრულებული წლისთვის

შპს KPMG Georgia

# KPMG - ის ღირებულებები

ყველაფერში, რასაც ვაკეთებთ, KPMG ხარისხისა და მომსახურების მაღალი დონის ერთგულია, რაც შესაძლებლობას გვაძლევს, როგორც პროფესიული, ასევე პიროვნული ქმედებებით, შევთავაზოთ კლიენტებს საუკეთესო და მოვიპოვოთ საზოგადოების ნდობა.

ჩვენი ღირებულებები განსაზღვრავს ჩვენს ყოველდღიურ ქცევას, თუ როგორ ვმოქმედებთ, რა გადაწყვეტილებებს ვიღებთ და როგორ ვთანამშრომლობთ ერთმანეთთან, ჩვენს კლიენტებთან და ყველა დაინტერესებულ მხარესთან 138 ქვეყანასა თუ ტერიტორიაზე, სადაც ჩვენ ვოპერირებთ.



**ჩვენი ღირებულებებია:**

## კეთილსინდისიერება
ჩვენ ვაკეთებთ იმას, რაც სწორია.

## სრულყოფილებისკენ სწრაფვა
ჩვენ არასდროს ვწყვეტთ სწავლასა და განვითარებას.

## გამბედაობა
ჩვენ ვაზროვნებთ და ვმოქმედებთ გაბედულად.

## ერთიანობა
პატივს ვცემთ ერთმანეთს და ჩვენს განსხვავებებს ვაქცევთ ჩვენს სიძლიერედ.

## სწრაფვა უკეთესობისკენ
ჩვენ ვაკეთებთ იმას, რაც მნიშვნელოვანია.

© 2026 შპს KPMG Georgia, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited. ყველა უფლება დაცულია.

# სარჩევი


| | |
|---|---|
| შესავალი და წინასიტყვაობა | 4 |
| ხარისხის მართვის სისტემა - ხარისხის საფუძველი | 6 |
| ჩვენს ღირებულებებზე დაფუძნებული კულტურით მოქმედება | 8 |
| გამოცდილების და ცოდნის გამოყენება | 13 |
| ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება | 17 |
| ინკლუზიური და კვალიფიციური გუნდების განვითარება | 20 |
| შესაბამის კლიენტებთან და გარიგებებთან ასოცირება | 25 |
| დამოუკიდებლობა და ეთიკა | 28 |
| გარიგებების ხარისხიანად შესრულება | 33 |
| ხარისხთან დაკავშირებული რისკების შეფასება | 36 |
| მონიტორინგი და გამოსწორება | 37 |
| ეფექტური კომუნიკაცია | 41 |
| **მმართველობა და ლიდერობა** | |
| • ფინანსური ინფორმაცია | 43 |
| • პარტნიორთა ანაზღაურება | 44 |
| • ქსელი | 45 |
| განცხადება ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის შესახებ | 48 |
| დანართები | 49 |


© 2026 შპს KPMG Georgia, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited. ყველა უფლება დაცულია.

**დღესდღეობით, სადაც სწრაფი ტექნოლოგიური განვითარება გარდაქმნის ინდუსტრიებსა და ჩვენი ცხოვრების ყოველდღიურობას, ნდობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ოდესმე. შპს KPMG Georgia-ს მიზანია, რომ ვიყოთ ყველაზე ნდობით აღჭურვილი და სანდო პროფესიული სერვისების მიმწოდებელი კომპანია რეგიონში.  საზოგადოების ინტერესების დაცვა და კაპიტალის ბაზრების მომსახურება წარმოადგენს ამ მიზნის განხორციელების საფუძველს. ჩვენ გჯერა, რომ კომპანიის შიგნით სწორი მოქმედება და პროფესიული ქცევის მაღალი სტანდარტების დაცვა, განაპირობებს საზოგადოების ნდობას.**

ჩვენ მივიჩნევთ, რომ აუდიტისა და მარწმუნებელი სერვისების ხარისხი ფუნდამენტური მნიშვნელობისაა ნდობის შექმნისა და შენარჩუნებისთვის. სწორედ ამიტომ, ჩვენ ვქმნით საფუძველს მომავლისთვის და გარდავქმნით ჩვენს მიდგომას, უწყვეტი ინოვაციების, ხელოვნური ინტელექტის (AI) სტრატეგიული ინტეგრაციის და ხარისხისა და პროფესიული სრულყოფილებისადმი ურყევი ერთგულების მეშვეობით.

ჩვენთვის საამაყოა, რომ ვართ მოწინავე ტრანსფორმაციაში, ჩვენი გლობალური და ინოვაციური, აუდიტისა და მარწმუნებელი სერვისების პლატფორმის - KPMG Clara-ს მეშვეობით, რომელიც ამჟამად გაუმჯობესებულია ხელოვნური ინტელექტის აგენტებითა და გენერაციული ხელოვნური ინტელექტის (AI) შესაძლებლობებით. აღნიშნული მოწინავე ტექნოლოგიები უშუალოდ ინტეგრირებულია აუდიტის სამუშაო პროცესში, რათა მხარი დაუჭიროს რისკების შეფასებას, ტესტირების პროცედურებსა და დოკუმენტირებას და საშუალება მისცეს მსოფლიოს მასშტაბით KPMG-ის 95,000-ზე მეტ აუდიტორს, გამოიყენონ პროფესიული განსჯა და სკეპტიციზმი მაღალი რისკის სფეროებში. აღნიშნული გაუმჯობესებები წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს ჩვენი ტრანსფორმაციის გზაზე, რაც ხელს უწყობს ანალიტიკური ხედვების გაღრმავებას, ნდობის განმტკიცებას და აუდიტის ხარისხისადმი ერთგულების გაძლიერებას. მიუხედავად იმისა, რომ ტექნოლოგია ზრდის ეფექტიანობასა და სიზუსტეს, გადამწყვეტ როლს ყოველთვის KPMG-ში მყოფი ადამიანები თამაშობენ - ისინი რჩებიან თითოეული აუდიტის პროცესის შუაგულში.

ჩვენი გლობალური ქსელის მასშტაბით, ვაგრძელებთ ინვესტირებას ჩვენი პროფესიონალების კვალიფიკაციის ამაღლებაში, უზრუნველვყოფთ მათ შესაბამისი ინსტრუმენტებითა და ტრენინგებით, რათა პასუხისმგებლობით გამოიყენონ ხელოვნური ინტელექტი და დაიცვან ხარისხისა და ეთიკის უმაღლესი სტანდარტები.

ჩვენი განვითარების პროცესში ფუნდამენტურია KPMG Georgia-ს მყარი ხარისხის მართვის სისტემა (SoQM), რომელიც შესაბამისობაშია ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტთან (ხმსს 1) და აძლიერებს კომპანიის მმართველობას, ანგარიშვალდებულებასა და პროცესების თანმიმდევრულობას. აღნიშნული თანმიმდევრული მიდგომა SoQM-ის მიმართ მნიშვნელოვანია მაღალი ხარისხის აუდიტისა და მარწმუნებელი სერვისების მიწოდებისთვის, რომლებიც პასუხობენ მარეგულირებელ მოთხოვნებსა და საზოგადოებრივ მოლოდინებს.

KPMG-ში, ჩვენ მზად ვართ ვიმოქმედოთ გაბედულად, სწრაფად და ამავდროულად უმაღლესი პასუხისმგებლობით, ტრანსფორმაციის პროცესში. ჩვენი ინვესტიცია ხარისხში ხელს უწყობს შპს KPMG Georgia-ს (KPMG Georgia) განვითარებას, თუმცა, ვაცნობიერებთ, რომ პროგრესი მუდმივ ძალისხმევას მოითხოვს. სამომავლოდ, ჩვენი მიზანია მოვემსახუროთ  საზოგადოებრივ ინტერესებს, გამჭვირვალე, ცოდნაზე დაფუძნებული, მაღალი ხარისხის აუდიტისა და მარწმუნებელი სერვისების მიწოდებით.

გვსურს წარმოგიდგინოთ წინამდებარე ანგარიში, რომელიც ასახავს ჩვენს გამოცდილებას და მომავლის ხედვას, სადაც აუდიტი განაგრძობს განვითარებას ინოვაციით, ხარისხით და ნდობაზე დაფუძნებული მიდგომით.



**კახა რუხაძე**
KPMG Georgia
მმართველი პარტნიორი





**ნიკოლოზ ჭოჭუა**
KPMG Georgia
აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი




შესავალი და წინასიტყვაობა
ხარისხის მართვის სისტემა - ხარისხის საფუძველი
ჩვენს ღირებულებებზე დაფუძნებული კულტურით მოქმედება
გამოცდილების და ცოდნის გამოყენება
ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება
ინკლუზიური და კვალიფიციური გუნდების განვითარება
შესაბამის კლიენტებთან და გარიგებებთან ასოცირება
დამოუკიდებლობა და ეთიკა
გარიგებების ხარისხიანად შესრულება
ხარისხთან დაკავშირებული რისკების შეფასება
მონიტორინგი და გამოსწორება
ეფექტური კომუნიკაცია
მმართველობა და ლიდერობა
განცხადება ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის შესახებ
დანართები


© 2026 შპს KPMG Georgia, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited. ყველა უფლება დაცულია.

# აუდიტის ხარისხი

აუდიტის ხარისხი წარმოადგენს საზოგადოების ნდობის შენარჩუნების საფუძველს და არის მთავარი საზომი, რომელიც განსაზღვრავს ჩვენს პროფესიულ რეპუტაციას.

ჩვენთვის „აუდიტის ხარისხი“ ნიშნავს შედეგს, რომელიც მიიღწევა მაშინ, როდესაც აუდიტი ხორციელდება თანმიმდევრულად, მოქმედი პროფესიული სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, ხარისხის მართვის მყარი სისტემის ფარგლებში.

ჩვენი ყველა საქმიანობა ხორციელდება გარემოში, სადაც უზრუნველყოფილია ობიექტურობის, დამოუკიდებლობის, ეთიკისა და კეთილსინდისიერების მაღალი სტანდარტი.


შესავალი და წინასიტყვაობა

ხარისხის მართვის სისტემა - ხარისხის საფუძველი

ჩვენს ღირებულებებზე დაფუძნებული კულტურით მოქმედება

გამოცდილების და ცოდნის გამოყენება

ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება

ინკლუზიური და კვალიფიციური გუნდების განვითარება

შესაბამის კლიენტებთან და გარიგებებთან ასოცირება

დამოუკიდებლობა და ეთიკა

გარიგებების ხარისხიანად შესრულება

ხარისხთან დაკავშირებული რისკების შეფასება

მონიტორინგი და გამოსწორება

ეფექტური კომუნიკაცია

მმართველობა და ლიდერობა

განცხადება ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის შესახებ

დანართები



© 2026 შპს KPMG Georgia, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited. ყველა უფლება დაცულია.

# ხარისხის მართვის სისტემა - ხარისხის საფუძველი

KPMG-ის ხარისხის მართვის სისტემის (SoQM) თანმიმდევრული და ძლიერი კონტროლები ხელს უწყობს ხარისხთან დაკავშირებული გამოწვევების შემცირებას, ოპერაციული ეფექტურობის ზრდის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაძლიერებას. ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას, რომ გავაგრძელებთ SoQM-ის თანმიმდევრულობისა და სიმტკიცის მუდმივ ხელშეწყობას KPMG-ში.

გლობალურ დონეზე, KPMG-ის ფირმებმა გააძლიერეს თავიანთი ხარისხის მართვის სისტემის თანმიმდევრულობა და სიმყარე, რათა დააკმაყოფილონ ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტის (ხმსს 1) მოთხოვნები, რომელიც გამოქვეყნებულია აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო საბჭოს (IAASB) მიერ.

## KPMG International-ის გლობალური მიდგომა SoQM-ის მიმართ

ადგენს **თანმიმდევრულ პოლიტიკებს, პროცესებსა და კონტროლებს**, რომლებიც შექმნილია SoQM-ის რისკებზე რეაგირებისთვის და ხელს უწყობს KPMG-ის ფირმების ეფექტურ ხარისხის მართვის სისტემას (SoQM).

KPMG-ის ფირმებს აწვდის გლობალურად ჰარმონიზებულ **იტერაციულ რისკების შეფასების ჩარჩოს**, რომელიც გამოიყენება KPMG-ის კონკრეტული ფირმებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკის გათვალისწინებით, დამატებითი ხარისხის მიზნების, რისკებისა და კონტროლების იდენტიფიცირების პროცესში.

უზრუნველყოფს KPMG-ის ფირმებს **სახელმძღვანელოებით, ინსტრუმენტებითა და ტრენინგებით**, რათა უზრუნველყოფილი იყოს ფირმის ხარისხის მართვის სისტემის (SoQM) თანმიმდევრული და ეფექტური ფუნქციონირება და მისი ყოველწლიური შეფასება.

მოიცავს KPMG-ის ფირმების ხარისხის მართვის სისტემაზე (SoQM) **მონიტორინგს**, რათა გლობალურად იყოს უზრუნველყოფილი თანმიმდევრულობა.


შესავალი და წინასიტყვაობა
ხარისხის მართვის სისტემა - ხარისხის საფუძველი
ჩვენს ღირებულებებზე დაფუძნებული კულტურით მოქმედება
გამოცდილების და ცოდნის გამოყენება
ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება
ინკლუზიური და კვალიფიციური გუნდების განვითარება
შესაბამის კლიენტებთან და გარიგებებთან ასოცირება
დამოუკიდებლობა და ეთიკა
გარიგებების ხარისხიანად შესრულება
ხარისხთან დაკავშირებული რისკების შეფასება
მონიტორინგი და გამოსწორება
ეფექტური კომუნიკაცია
მმართველობა და ლიდერობა
განცხადება ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის შესახებ
დანართები


© 2026 შპს KPMG Georgia, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited. ყველა უფლება დაცულია.

SoQM-ის გლობალურად თანმიმდევრული მიდგომა KPMG-ის ორგანიზაციაში გამოიყენება ყველა ფირმის მიერ, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ფირმების პროცესებში რისკებზე რეაგირების თანმიმდევრულობა, მდგრადობა და ანგარიშვალდებულება.

## KPMG-ის გლობალური ხარისხის ჩარჩო

KPMG-ის აუდიტისა და მარწმუნებელი მიმართულების ხარისხის განმაპირობებელი  ფაქტორების შესახებ მეტი გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, ეს ანგარიში სტრუქტურირებულია KPMG-ის გლობალური ხარისხის ჩარჩოს ირგვლივ. KPMG-ის გლობალური ხარისხის ჩარჩო განსაზღვრავს, თუ როგორ ვთავაზობთ მაღალი ხარისხის სერვისს და როგორ უწყობს ხელს KPMG-ის თითოეული პროფესიონალი მის მიწოდებას. ჩარჩოში ასახულ განმაპირობებელ ფაქტორებს წარმოადგენს KPMG-ის ფირმების SoQM-ის 10 კომპონენტი.

ჩარჩოს ცენტრში დგას გარიგების მაღალი ხარისხით  შესრულება, რომელსაც თან ახლავს მუდმივი მონიტორინგი და გამოსწორება. KPMG-ის ფირმების ხარისხის მართვის სისტემის (SoQM) უწყვეტ გაუმჯობესებაში  ფირმებს ეხმარება ინტეგრირებული მონიტორინგისა და გამოსწორების პროგრამები, იმისათვის, რომ ფირმებმა გამოავლინონ ხარვეზები, ჩაატარონ ძირეული მიზეზების ანალიზი და განახორციელონ მიზნობრივი გამოსწორების გეგმები, როგორც გარიგებების დონეზე, ასევე ფართოდ - ხარისხის მართვის სისტემის (SoQM) დონეზე.

გამჭვირვალობის ანგარიშის მომდევნო 11 ნაწილი აღწერს, თუ როგორ ახორციელებენ KPMG-ის ფირმები SoQM-ის თითოეულ კომპონენტს. ჩვენი ფირმის ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის შესახებ განცხადება (იხილეთ სექცია  „ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის შესახებ განცხადება“) წინამდებარე გამჭვირვალობის ანგარიშთან ერთობლიობაში წარმოაჩენს, თუ როგორ ეფექტურად უწყობს ხელს ჩვენი ხარისხის მართვის სისტემა ხარისხიანი გარიგებების თანმიმდევრულად შესრულებას.   ეს ანგარიში ასევე შეიძლება სასარგებლო იყოს KPMG-ის ფირმების საგადასახადო და საკონსულტაციო მომსახურებით დაინტერესებულ მხარეთათვის, ვინაიდან ჩვენი ფირმის ხარისხის მართვის სისტემის გარკვეული ასპექტები მრავალფუნქციურია და ერთგვაროვნად გამოიყენება, როგორც ხარისხის საფუძველი ყველა შეთავაზებული მომსახურებისთვის.

## KPMG-ის გლობალური ხარისხის ჩარჩო





შესავალი და წინასიტყვაობა
ხარისხის მართვის სისტემა - ხარისხის საფუძველი
ჩვენს ღირებულებებზე დაფუძნებული კულტურით მოქმედება
გამოცდილების და ცოდნის გამოყენება
ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება
ინკლუზიური და კვალიფიციური გუნდების განვითარება
შესაბამის კლიენტებთან და გარიგებებთან ასოცირება
დამოუკიდებლობა და ეთიკა
გარიგებების ხარისხიანად შესრულება
ხარისხთან დაკავშირებული რისკების შეფასება
მონიტორინგი და გამოსწორება
ეფექტური კომუნიკაცია
მმართველობა და ლიდერობა
განცხადება ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის შესახებ
დანართები


© 2026 შპს KPMG Georgia, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited. ყველა უფლება დაცულია.




# ჩვენს ღირებულებებზე დაფუძნებული კულტურით მოქმედება

- **ხელმძღვანელობის მაგალითზე დაფუძნებული სწორი კულტურის ჩამოყალიბება**
- **მკაფიოდ ჩამოყალიბებული სტრატეგია, რომელიც ორიენტირებულია ხარისხზე, თანმიმდევრულობაზე, ნდობასა და ზრდაზე**
- **მკაფიოდ განსაზღვრული ანგარიშვალდებულებები, როლები და პასუხისმგებლობები, რომლებიც დაკავშირებულია ხარისხისა და რისკის მართვასთან**
- **მმართველობითი სტრუქტურების გაძლიერების ხელშეწყობა**

KPMG-ში მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის, თუ რას ვაკეთებთ, არამედ ისიც, როგორ ვაკეთებთ ამას. KPMG-ის ღირებულებები წარმოადგენს ჩვენს ძირითად პრინციპებს, რომლებიც მიმართულებას აძლევენ და აერთიანებენ ჩვენს ქმედებებსა და ქცევებს. აღნიშნული ღირებულებები საერთოა ყველა თანამშრომლისთვის, რაც ქმნის ჩვენი უნიკალური კულტურის საფუძველს.

## ხელმძღვანელობის მაგალითზე დაფუძნებული სწორი კულტურის ჩამოყალიბება

### ხელმძღვანელობის მაგალითი

ჩვენთვის, როგორც გლობალური ორგანიზაციისთვის, KPMG International-ის მიერ განსაზღვრული ძლიერი და მკაფიო ლიდერობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია ხელმძღვანელობის მაგალითის წარმოჩენის თვალსაზრისით, ვინაიდან იგი წარმოადგენს ანგარიშვალდებულების მოდელს KPMG-ის ყველა ფირმისთვის.

KPMG International-ის ხელმძღვანელობა, რეგიონულ და KPMG-ის ფირმების ხელმძღვანელობასთან თანამშრომლობით, გადამწყვეტ როლს ასრულებს ხარისხისადმი ჩვენი ერთგულების, პროფესიული სრულყოფილებისა და ეთიკის უმაღლესი სტანდარტების დამკვიდრებაში. აუდიტის, მარწმუნებელი და სხვა პროფესიული სერვისების მიმწოდებელ ორგანიზაციაში, რომელზეც დაინტერესებული მხარეები ნდობას ამყარებენ,


შესავალი და წინასიტყვაობა
ხარისხის მართვის სისტემა - ხარისხის საფუძველი
ჩვენს ღირებულებებზე დაფუძნებული კულტურით მოქმედება
გამოცდილების და ცოდნის გამოყენება
ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება
ინკლუზიური და კვალიფიციური გუნდების განვითარება
შესაბამის კლიენტებთან და გარიგებებთან ასოცირება
დამოუკიდებლობა და ეთიკა
გარიგებების ხარისხიანად შესრულება
ხარისხთან დაკავშირებული რისკების შეფასება
მონიტორინგი და გამოსწორება
ეფექტური კომუნიკაცია
მმართველობა და ლიდერობა
განცხადება ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის შესახებ
დანართები



© 2026 შპს KPMG Georgia, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited. ყველა უფლება დაცულია.

აუცილებელია კულტურა, რომელიც დაფუძნებულია ერთგულებაზე, ანგარიშვალდებულებაზე, ხარისხზე, ობიექტურობაზე, დამოუკიდებლობასა და ეთიკაზე.

KPMG-ის ყველა ფირმა ერთსულოვნად თანხმდება საერთო ღირებულებების, სტანდარტებისა და მომსახურების ხარისხის დონის არსებობაზე.

KPMG International-ის ხელმძღვანელობა ხელს უწყობს ცნობიერების ამაღლებას იმასთან დაკავშირებით, რომ ხარისხზე პასუხისმგებელია ორგანიზაციის ყველა თანამშრომელი, რომელიც ჩართულია ხარისხის მართვის სისტემის (SoQM) უზრუნველყოფაში, აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურებების განხორციელებაში ან საგადასახადო და საკონსულტაციო სერვისების გაწევაში.

### მკაფიო ღირებულებები და მტკიცე ქცევის სტანდარტები

ჩვენი ღირებულებები წარმოადგენს KPMG-ში ჩვენი მოქმედების ძირითად საფუძველს. იმისათვის, რომ ვიმოქმედოთ სწორად, სწორი მეთოდით, სწორ დროს. ისინი ქმნიან საფუძველს მყარი და ეთიკური კულტურისთვის, რომელიც უზრუნველყოფს გამოწვევების კეთილსინდისიერად გადალახვის მზადყოფნას და KPMG-ის ფირმების თანამშრომლების ფოკუსს ჩვენს მთავარ პასუხისმგებლობაზე - ვემსახუროთ საზოგადოებრივ ინტერესებს.

ჩვენ პროფესიონალური ქცევის უმაღლეს სტანდარტებს ვიცავთ ყველაფერში, რასაც ვაკეთებთ. ეთიკა და პატიოსნება KPMG-ში ჩვენი ძირითადი პრინციპებია და ჩვენი გლობალური ქცევის კოდექსის (კოდექსი) ფარგლებში ჩვენ განვსაზღვრავთ KPMG-ის ყველა თანამშრომლის პასუხისმგებლობას, როგორც ერთმანეთის, ასევე, ჩვენი კლიენტებისა და საზოგადოების წინაშე. ეს გვიჩვენებს, თუ როგორ შთააგონებს ჩვენი ღირებულებები და მიზნები ჩვენს უმთავრეს მისწრაფებებს, წარმართავს ჩვენს ქცევებსა და მოქმედებას. აღნიშნული განსაზღვრავს, თუ რას ნიშნავს KPMG-ის ორგანიზაციაში მუშაობა და მის ნაწილად ყოფნა, ასევე, ჩვენს ინდივიდუალურ და კოლექტიურ პასუხისმგებლობებს.

KPMG-ის ყველა თანამშრომელი ვალდებულია პასუხი აგოს საკუთარ ქცევაზე კოდექსის შესაბამისად და ასევე დაადასტუროს მისი დაცვა. თანამშრომლები წახალისებულნი არიან, გამოთქვან საკუთარი აზრი, თუ შეამჩნევენ რაიმეს, რაც მათთვის მიუღებელია, ან შეუსაბამოა კოდექსსა თუ ჩვენს ღირებულებებთან.

KPMG-ის ყველა თანამშრომელი ვალდებულია განაცხადოს ნებისმიერი ქმედების შესახებ, რომელიც შესაძლოა იყოს უკანონო, ან არღვევდეს ჩვენს ღირებულებებს, პოლიტიკებს, პროფესიულ სტანდარტებს, ან მოქმედ კანონმდებლობასა და რეგულაციებს.

ერთმანეთის მიმართ ანგარიშვალდებულების პრინციპის დასაცავად, KPMG-ის თითოეული ფირმა დათანხმდა შექმნას, გაავრცელოს და შეინარჩუნოს მკაფიოდ განსაზღვრული არხები, რათა KPMG-ის პერსონალმა და მესამე მხარეებმა, უარყოფითი შედეგების შიშის გარეშე, შეძლონ შეკითხვების დასმა, წუხილის გამოხატვა, უკუკავშირის მიწოდება და განსაცხადებელი საკითხების შესახებ შეტყობინების გაგზავნა, მოქმედი კანონმდებლობისა და რეგულაციების შესაბამისად.

KPMG International-ის ცხელი ხაზი წარმოადგენს მექანიზმს, რომლის საშუალებითაც KPMG-ის თანამშრომლებს, კლიენტებსა და სხვა მესამე მხარეებს შეუძლიათ კონფიდენციალურად განაცხადონ მათთვის მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, რომლებიც უკავშირდება KPMG International-ს, KPMG-ის ფირმების საქმიანობას ან KPMG-ის პერსონალს. KPMG International-ი განიხილავს ცხელი ხაზის მეშვეობით მიღებულ თითოეულ შეტყობინებას და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს შესაბამის მოკვლევას და იღებს სათანადო ზომებს.

KPMG-ის ყველა ფირმასა და თანამშრომელს ეკრძალება ნებისმიერი სახის ზეწოლა ან არასასურველი ქმედება იმ პირების მიმართ, რომლებიც კეთილსინდისიერად გამოხატავენ საკუთარ პოზიციას. აღნიშნული ზეწოლა ან არასასურველი ქმედება წარმოადგენს კოდექსის სერიოზულ დარღვევას და ნებისმიერი პირი, რომელიც მსგავს ქმედებას განახორციელებს, დაექვემდებარება თავისი ფირმის დისციპლინურ პოლიტიკას.

ზემოთ აღწერილი პროცესების დამატებით, „გლობალური პერსონალის კვლევა“ (Global People Survey) KPMG International-ისა და ჩვენს ხელმძღვანელობას აწოდებს მნიშვნელოვან ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ აისახება KPMG-ის ღირებულებები ყოველდღიურ საქმიანობაში. იგი ასევე გვაწვდის მნიშვნელოვან ინფორმაციას, ხარისხის, ლიდერობისა და ხელმძღვანელობის მაგალითის მიმართ თანამშრომლებისა და პარტნიორების დამოკიდებულებების შესახებ.

### KPMG-ის გლობალური ღირებულებების კვირეული - ღირებულებებზე ორიენტირებული მომავლის ფირმის შექმნა

2025 წლის მაისში, KPMG-ის გლობალურ ორგანიზაციაში შემავალმა ქვეყნებმა/ტერიტორიებმა ერთობლივად აღნიშნეს ჩვენი ღირებულებები, კვირის განმავლობაში დაგეგმილი ღონისძიებების მეშვეობით.

გლობალური ღირებულებების კვირეულის განმავლობაში გამართული აქტივობების, საუბრებისა და ისტორიების მეშვეობით, სხვადასხვა ქვეყნებიდან და ფუნქციებიდან წარმოდგენილი KPMG-ის თანამშრომლები ჩაერთნენ დიალოგში, ჩვენი ხუთი ღირებულების და ასევე იმ როლის გარშემო, რომელსაც ასრულებენ ყოველდღიურ საქმიანობაში, ეთიკური ქცევის მეშვეობით ნდობის გამყარებაზე კონცენტრირებით.

ორგანიზაციის მასშტაბით გამართული ეს ღონისძიება მხარდაჭერილი იყო KPMG-ის ფირმებისთვის განკუთვნილი „ღირებულებების ინტენსიური ჩართულობის“ ინიციატივით (Values Immersion Initiative), რომელიც მოიცავდა ლიდერების მიერ წარმართულ ჯგუფურ სესიებს, სადაც ყურადღება გამახვილდა სტრესულ სიტუაციებში ღირებულებების პრაქტიკაში გამოყენებაზე.

© 2026 შპს KPMG Georgia, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited. ყველა უფლება დაცულია.



შესავალი და წინასიტყვაობა
ხარისხის მართვის სისტემა - ხარისხის საფუძველი
ჩვენს ღირებულებებზე დაფუძნებული კულტურით მოქმედება
გამოცდილების და ცოდნის გამოყენება
ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება
ინკლუზიური და კვალიფიციური გუნდების განვითარება
შესაბამის კლიენტებთან და გარიგებებთან ასოცირება
დამოუკიდებლობა და ეთიკა
გარიგებების ხარისხიანად შესრულება
ხარისხთან დაკავშირებული რისკების შეფასება
მონიტორინგი და გამოსწორება
ეფექტური კომუნიკაცია
მმართველობა და ლიდერობა
განცხადება ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის შესახებ
დანართები

## KPMG-ის მულტიდისციპლინური მოდელი

KPMG-ის გლობალური ორგანიზაციის სიძლიერე მდგომარეობს იმაში, რომ მისი 276 000-ზე მეტი, საერთო ღირებულებების გარშემო გაერთიანებული თანამშრომელი, 138 ქვეყანასა და ტერიტორიაზე, ერთობლივად მუშაობს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ხარისხიანი მომსახურების მიწოდება, მსოფლიო მასშტაბით, საჯარო სექტორში, ფინანსებისა და ჯანდაცვის სფეროში მოქმედი უმნიშვნელოვანესი ორგანიზაციებისთვის. მიუხედავად იმისა, თუ რომელ სექტორში ან ინდუსტრიაში მოქმედებენ, KPMG-ის თანამშრომლები იყენებენ ორგანიზაციის მულტიდისციპლინურ ცოდნასა და გამოცდილებას, რათა კლიენტებსა და დაინტერესებულ მხარეებს გაუწიონ აუდიტისა და მარწმუნებელი, საგადასახადო და საკონსულტაციო მომსახურება იმგვარად, რომ დაიმსახურონ მათი ნდობა, მაღალი პროფესიული სტანდარტების დაცვის მეშვეობით.

ჩვენ მტკიცედ გვჯერა, რომ ჩვენი მულტიდისციპლინური მოდელი კლიენტების მომსახურების საუკეთესო მეთოდია და აუცილებელია მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად.

**მკაფიოდ ჩამოყალიბებული სტრატეგია, რომელიც ორიენტირებულია ხარისხზე, თანმიმდევრულობაზე, ნდობასა და ზრდაზე**

### ჩვენი საქმიანობა

KPMG Georgia არის პროფესიული მომსახურებების გამწევი ფირმა, რომელიც სთავაზობს აუდიტისა და მარწმუნებელ, საგადასახადო და საკონსულტაციო სერვისებს. ფირმა წარმოადგენს KPMG Caucasus and Central Asia-ს (ასევე მოხსენიებული როგორც KPMG CCA) ნაწილს, რომელიც საქართველოში წარმოდგენილია ერთი ფირმის სახით (დამატებითი ინფორმაცია იხილეთ მე-12-ე გვერდზე). ფირმას ჰყავს 2 პარტნიორი და საშუალოდ 120 თანამშრომელი.

საქართველოში აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურება KPMG Georgia-ს მეშვეობით ხორციელდება. ჩვენი სერვისების შესახებ სრული ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ჩვენს ვებგვერდზე.

### ჩვენი სტრატეგია

ჩვენი სტრატეგია, რომელსაც განსაზღვრავს აღმასრულებელი საბჭო (Executive), წარმოაჩენს ერთგულებას ხარისხისა და ნდობისადმი. ჩვენი მიზანია მნიშვნელოვანი ინვესტიციების ჩადება იმ პრიორიტეტებში, რომლებიც გლობალური სტრატეგიის შესრულების ნაწილს წარმოადგენს.

**მკაფიოდ განსაზღვრული ანგარიშვალდებულებები, როლები და პასუხისმგებლობები, რომლებიც დაკავშირებულია ხარისხისა და რისკის მართვასთან**

### ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ხარისხისა და რისკების მართვაზე

ჩვენი ხელმძღვანელობა ვალდებულია შექმნას კულტურა, რომელიც დაფუძნებულია კეთილსინდისიერებაზე, ხარისხზე, ობიექტურობაზე, დამოუკიდებლობაზე და ეთიკაზე, რაც მათი ქმედებით ვლინდება.

ჩვენი ფირმა შეთანხმდა, რომ მოითხოვოს შესაბამისი გლობალური სამეთვალყურეო ჯგუფის (Global Steering Group) თავმჯდომარის ან მისი დელეგატის უკუკავშირი ფირმის ზოგიერთ იმ ლიდერის მუშაობასთან დაკავშირებით, რომლის ფუნქციებიც ყველაზე მჭიდროდ უკავშირდება გლობალური სამეთვალყურეო ჯგუფის საქმიანობას. უკუკავშირის გამოთხოვა ხდება საქმიანობის ყოველწლიური შეფასების პროცესის ფარგლებში და ეფუძნება ლიდერის საქმიანობის შეფასებას, რომელიც მოიცავს საზოგადოებრივი ინტერესის, ხარისხისა და რისკის მართვის საკითხებს.

ჩვენს ფირმაში, ხარისხისა და რისკების მართვის საკითხებში ლიდერის პასუხისმგებლობები აკისრიათ შემდგომში დასახელებულ პირებს.


შესავალი და წინასიტყვაობა

ხარისხის მართვის სისტემა - ხარისხის საფუძველი

ჩვენს ღირებულებებზე დაფუძნებული კულტურით მოქმედება

გამოცდილების და ცოდნის გამოყენება

ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება

ინკლუზიური და კვალიფიციური გუნდების განვითარება

შესაბამის კლიენტებთან და გარიგებებთან ასოცირება

დამოუკიდებლობა და ეთიკა

გარიგებების ხარისხიანად შესრულება

ხარისხთან დაკავშირებული რისკების შეფასება

მონიტორინგი და გამოსწორება

ეფექტური კომუნიკაცია

მმართველობა და ლიდერობა

განცხადება ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის შესახებ

დანართები


© 2026 შპს KPMG Georgia, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited. ყველა უფლება დაცულია.

## KPMG CCA-ს მმართველი პარტნიორი

ISQM 1-ის პრინციპების შესაბამისად, KPMG CCA-ს მმართველი პარტნიორი საკენ ჟუმაშევი არის ლიდერი, რომელსაც ეკისრება საბოლოო პასუხისმგებლობა ჩვენი ხარისხის მართვის სისტემაზე (SoQM) კავკასიისა და ცენტრალური აზიის (CCA) მასშტაბით. ადგილობრივ დონეზე, შპს KPMG Georgia-ში, აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ნიკოლოზ ჭოჭუა არის ლიდერი, რომელსაც ეკისრება საბოლოო პასუხისმგებლობა ხარისხის მართვის სისტემაზე.

ჩვენს ფირმაში ხარისხის კულტურის დამკვიდრების უზრუნველსაყოფად მათ მიერ და აღმასრულებელი საბჭოს (Executive) სხვა წევრების მიერ მიღებული ზოგიერთი ზომის შესახებ დეტალები მოცემულია სექციაში „გარიგების ხარისხიანი შესრულება“.

### რისკების მართვის, ეთიკისა და დამოუკიდებლობის პარტნიორი

ჩვენი ფირმის რისკების მართვის, ეთიკისა და დამოუკიდებლობის პარტნიორი (RMP) პასუხისმგებელია ფირმის რისკების, შესაბამისობისა და ხარისხის მიმართულების განსაზღვრასა და განხორციელებაზე. იგი ასევე პასუხისმგებელია ფირმაში ეთიკისა და დამოუკიდებლობის პოლიტიკებისა და პროცედურების განსაზღვრასა და განხორციელებაზე. იგი ასევე ამზადებს ანგარიშებს ეთიკისა და დამოუკიდებლობის საკითხებზე.

RMP-ს აქვს პირდაპირი ანგარიშვალდებულება KPMG CCA-ს მმართველი პარტნიორის მიმართ. RMP, საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაციებს გადის მმართველ პარტნიორთან, გლობალური ხარისხისა და რისკების მართვის რესურსებთან და გენერალურ ან გარე იურიდიულ მრჩეველთან.

RMP KPMG კავკასიისა და ცენტრალური აზიის აღმასრულებელი საბჭოს წევრია. ის ფაქტი, რომ აღნიშნული თანამდებობის პირი წარმოდგენილია აღმასრულებელ საბჭოში და ასევე, ის რომ იგი ანგარიშვალდებულია მაღალი თანამდებობის პირთა წინაშე, ხაზს უსვამს იმ მნიშვნელობას, რომელსაც ფირმა ანიჭებს რისკისა და ხარისხის საკითხებს. საქმიანობის განხორციელებისას RMP-ს მხარს უჭერს პარტნიორებისა და პროფესიონალების გუნდი თითოეული მიმართულებიდან.

### აუდიტის, საგადასახადო, საკონსულტაციო და პროფესიული მრჩეველის ფუნქციები – ფუნქციების ხელმძღვანელები

კლიენტთა მომსახურების ოთხივე ფუნქციის ხელმძღვანელი (აუდიტი, საგადასახადო, საკონსულტაციო და პროფესიული მრჩეველი) ანგარიშვალდებულია მმართველი პარტნიორის წინაშე მათი შესაბამისი ფუნქციების ფარგლებში გაწეული მომსახურების ხარისხზე. ისინი პასუხისმგებელნი არიან თავიანთი კონკრეტული ფუნქციების რისკების მართვისა და ხარისხის მართვის პროცედურების შესრულებაზე რისკების მართვის, ეთიკისა და დამოუკიდებლობის პარტნიორის მიერ დადგენილი ჩარჩოების ფარგლებში. ეს პროცედურები ნათლად გამოხატავს, რომ გარიგების დონეზე, რისკებისა და ხარისხის მართვის ნაწილში საბოლოოდ პასუხისმგებელია ფირმის ყველა თანამშრომელი.

ჩვენი აუდიტის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია აუდიტის ფუნქციის ეფექტურ მართვასა და კონტროლზე. ეს მოიცავს:

- აუდიტის ხარისხის მხარდამჭერი მტკიცე კულტურის ჩამოყალიბებას კომუნიკაციის, ჩართულობის, მხარდაჭერისა და პროფესიული ხარისხის უმაღლესი სტანდარტებისადმი ერთგულების გზით, მათ შორის, პროფესიული სკეპტიციზმის, ობიექტურობის, ეთიკისა და კეთილსინდისიერების ჩათვლით;
- ფირმის ხარისხის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი აუდიტის პროცესის შემუშავება და განხორციელება;
- RMP-სთან თანამშრომლობა ხარისხისა და რისკების საკითხების მონიტორინგისა და გადაჭრის მიზნით, რომლებიც დაკავშირებულია აუდიტის პროცესთან.

### აუდიტის ხარისხის კომიტეტი

გარდა ამისა, აუდიტის ფუნქციის ფარგლებში, ჩვენმა აუდიტის ხარისხის კომიტეტმა განიხილა აუდიტის ხარისხის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საკითხები, მათ შორის დეტალური მიგნებები (და დაკავშირებული მოქმედებები) ჩვენი SoQM შეფასებიდან, გარე მარეგულირებლის შეფასებები, შიდა ხარისხის შეფასების (QPR) პროგრამისა და სხვა ხარისხის კონტროლის პროგრამების დეტალური დასკვნები, ასევე ნაშრომები სხვადასხვა საკითხებზე, რომლებიც შექმნილია იმისთვის, რომ საშუალება მოგვცეს, გამოვცადოთ საკუთარი თავი აუდიტის ხარისხისა და გაუმჯობესების სხვადასხვა ასპექტებში.


შესავალი და წინასიტყვაობა

ხარისხის მართვის სისტემა - ხარისხის საფუძველი

ჩვენს ღირებულებებზე დაფუძნებული კულტურით მოქმედება

გამოცდილების და ცოდნის გამოყენება

ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება

ინკლუზიური და კვალიფიციური გუნდების განვითარება

შესაბამის კლიენტებთან და გარიგებებთან ასოცირება

დამოუკიდებლობა და ეთიკა

გარიგებების ხარისხიანად შესრულება

ხარისხთან დაკავშირებული რისკების შეფასება

მონიტორინგი და გამოსწორება

ეფექტური კომუნიკაცია

მმართველობა და ლიდერობა

განცხადება ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის შესახებ

დანართები


© 2026 შპს KPMG Georgia, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited. ყველა უფლება დაცულია.

# მმართველობითი სტრუქტურების გაძლიერების ხელშეწყობა

## ჩვენი სამართლებრივი და მმართველობითი სტრუქტურა

საქართველოში KPMG-ს წარმოადგენს მხოლოდ KPMG Georgia, რომლის სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. KPMG Georgia, სომხეთში, აზერბაიჯანში, ყაზახეთში, ყირგიზეთსა და უზბეკეთში მოქმედ KPMG-ის სხვა ფირმებთან ერთად, ქმნის KPMG Caucasus and Central Asia-ს (ასევე ცნობილი როგორც KPMG CCA) პრაქტიკას. KPMG Georgia-ს სამართლებრივი სტრუქტურის, რეგულირების, საქმიანობის ხასიათისა და მოქმედების არეალის შესახებ დეტალები მოცემულია დანართ 1-ში.

KPMG Georgia იყენებს კორპორაციული მმართველობის მაღალ სტანდარტებს. KPMG Georgia-ს მმართველობას წარმოადგენს საერთო კრება და დირექტორები. KPMG Georgia-ს მართვას ახორციელებს KPMG Georgia-ს მმართველი პარტნიორი, კახა რუხაძე, რომელიც ასევე არის KPMG CCA-ს აღმასრულებელი საბჭოს წევრი. გენერალური დირექტორი, სერგეი დემენტიევი, ახორციელებს ფუნქციებს ფირმის წესდებისა და მოქმედი კორპორაციული მართვის ჩარჩოს შესაბამისად.

KPMG Georgia-ს საერთო კრება შედგება შემდეგი წევრებისგან: ანტონ შჩერბაკი (19%), ასელ ურდაბაევა (19%), კლაუს მოლერ ნილსენი (21%), სერგეი ნეზდემკოვსკი (17%) და KPMG Caspian Holding Limited (24%). KPMG CCA-ის საქმიანობას მართავს აღმასრულებელი საბჭო და ზედამხედველობას უწევს პარტნიორთა საერთო კრება. აღმასრულებელი საბჭო შედგება KPMG CCA-ის მმართველი პარტნიორისგან, აუდიტის ხელმძღვანელისგან, საგადასახადო და იურიდიული მიმართულების ხელმძღვანელისგან, გარიგებების საკონსულტაციო მიმართულების ხელმძღვანელისგან, რისკის მართვის, ეთიკისა და დამოუკიდებლობის პარტნიორისგან, საკონსულტაციო მიმართულების ხელმძღვანელისგან და ფინანსების ხელმძღვანელისგან.

KPMG CCA-ის აღმასრულებელი საბჭო განსაზღვრავს სტრატეგიას იმ ქვეყნებისთვის, სადაც ოპერირებს, მათ შორის საქართველოსთვის, უზრუნველყოფს დეპარტამენტების ბიზნეს გეგმების აღნიშნულ სტრატეგიასთან თანხვედრას და ახორციელებს საქმიანობის მონიტორინგს. ასევე, იგი განიხილავს KPMG Georgia-სთვის მნიშვნელოვან საკითხებს. KPMG CCA-ის აღმასრულებელი საბჭო იკრიბება თვეში ერთხელ ან ორჯერ. ყოველდღიური მართვა და ოპერაციული ზედამხედველობა ხორციელდება აღმასრულებელი საბჭოს, ბიზნესის მიმართულებების ხელმძღვანელებისა და ქვეყნების მმართველი პარტნიორების მიერ.

აუდიტის დეპარტამენტში შექმნილია აუდიტის ხარისხის კომიტეტი, რომელიც ანგარიშვალდებულია აღმასრულებელი საბჭოს წინაშე. აუდიტის ხარისხის კომიტეტის მთავარი მიზანია უზრუნველყოს, რომ აუდიტის ფუნქციას ჰქონდეს საკმარისი გზამკვლევი და მხარდაჭერა სტრატეგიული, გრძელვადიანი გადაწყვეტილებების მისაღებად, აუდიტის ხარისხის ამაღლებისა და შესაბამისად, საზოგადოებრივი ნდობის გაძლიერების მიზნით. აუდიტის ხარისხის კომიტეტის წევრები შეხვედრას მართავენ კვარტალურად, ან საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხშირად.

ფირმის მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია დანართ 2-ში

ზემოაღნიშნულთან ერთად, ჯგუფში წარმოდგენილია 3 ძირითადი ორგანო, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მართვის მთავარ ასპექტებზე და ანგარიშვალდებულნი არიან საბჭოს წინაშე.

ეს ორგანოებია:

- აუდიტისა და რისკების მართვის კომიტეტი;
- ანაზღაურების კომიტეტი;
- ნომინაციების კომიტეტი.

ზემოაღნიშნული კომიტეტების ფუნქციები, პასუხისმგებლობები და შემადგენლობა მოცემულია ქვემოთ.

### აუდიტისა და რისკების მართვის კომიტეტი

აუდიტისა და რისკების მართვის კომიტეტის ძირითადი ფუნქციაა KPMG CCA-ის წლიური ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობა. კომიტეტი ასევე თვალყურს ადევნებს შიდა კონტროლის გარემოს და ხარისხის მართვის სისტემას.

### ანაზღაურების კომიტეტი

ანაზღაურების კომიტეტის მთავარი პასუხისმგებლობაა განიხილოს KPMG CCA-ის აღმასრულებელი საბჭოს მიერ შემუშავებული პროცესი, რომელიც განსაზღვრავს პარტნიორების წლიურ ანაზღაურებას, პარტნიორის ინდივიდუალური საქმიანობის შედეგებისა და ფირმის ხარისხისადმი ორიენტირებაში მის მიერ შეტანილი წვლილის გათვალისწინებით. კომიტეტს ასევე ევალება განიხილოს პარტნიორთა პრეტენზიები ანაზღაურებასთან დაკავშირებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამასთან, კომიტეტი ზედამხედველობს, რომ KPMG CCA-ის მმართველი პარტნიორის ანაზღაურება განისაზღვროს KPMG CCA-ის მართვის შეთანხმებების შესაბამისად. დამატებითი ინფორმაცია პარტნიორების ანაზღაურების შესახებ მოცემულია სექციაში პარტნიორების ანაზღაურება.

### ნომინაციების კომიტეტი

ნომინაციების კომიტეტი პასუხისმგებელია ზედამხედველობა გაუწიოს KPMG CCA-ის მმართველი პარტნიორისა და ზემოაღნიშნული კომიტეტების წევრების დანიშვნას. ასევე, იმ პარტნიორებთან დაკავშირებით, რომლებიც ტოვებენ ფირმას, კომიტეტი ამტკიცებს აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებებს, მათ შორის, შეთანხმების პირობებს.

© 2026 შპს KPMG Georgia, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited. ყველა უფლება დაცულია.



შესავალი და წინასიტყვაობა
ხარისხის მართვის სისტემა - ხარისხის საფუძველი
ჩვენს ღირებულებებზე დაფუძნებული კულტურით მოქმედება
გამოცდილების და ცოდნის გამოყენება
ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება
ინკლუზიური და კვალიფიციური გუნდების განვითარება
შესაბამის კლიენტებთან და გარიგებებთან ასოცირება
დამოუკიდებლობა და ეთიკა
გარიგებების ხარისხიანად შესრულება
ხარისხთან დაკავშირებული რისკების შეფასება
მონიტორინგი და გამოსწორება
ეფექტური კომუნიკაცია
მმართველობა და ლიდერობა
განცხადება ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის შესახებ
დანართები




# გამოცდილების და ცოდნის გამოყენება

- **პროფესიულ სტანდარტებთან, კანონმდებლობასთან და რეგულაციებთან შესაბამისი მეთოდოლოგია**
- **სტანდარტიზებული, ტექნოლოგიებზე დაფუძნებული მეთოდოლოგია და სახელმძღვანელო მითითებები**
- **სიღრმისეული ტექნიკური ცოდნა და ექსპერტიზა**
- **ხარისხისა და რისკების მართვის პოლიტიკები**

გლობალურ დონეზე, KPMG ზრუნავს თავისი თანამშრომლების ტექნიკური ცოდნისა და ექსპერტიზის უწყვეტ განვითარებაზე, ვინაიდან აღიარებს მის ფუნდამენტურ მნიშვნელობას მაღალი ხარისხის აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურებების მიწოდებაში.

## პროფესიულ სტანდარტებთან, კანონმდებლობასთან და რეგულაციებთან შესაბამისი მეთოდოლოგია

### თანმიმდევრული მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები აუდიტისა და მარწმუნებელი გარიგებებისთვის

KPMG-ს აქვს აუდიტისა და მარწმუნებელი გარიგებების განხორციელების მეთოდოლოგიები, ინსტრუმენტები და სახელმძღვანელო მითითებები, რომლებიც უზრუნველყოფს თანმიმდევრულ მიდგომას აუდიტისა და მარწმუნებელი პროცედურების დაგეგმვის, განხორციელებისა და დოკუმენტირების პროცესში. ძირითადი ელემენტები მოიცავს:

- მოქმედი სტანდარტების დაცვას, მათ შორის: აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA), საჯარო კომპანიების ბუღალტრული აღრიცხვის ზედამხედველობის საბჭოს (PCAOB) სტანდარტების, ამერიკის სერტიფიცირებული საჯარო ბუღალტრების ინსტიტუტის (AICPA) სტანდარტების და მარწმუნებელი მომსახურებების საერთაშორისო სტანდარტების (ISAE) მოთხოვნების დაცვას, ადგილობრივი აუდიტის სტანდარტებისა და მარეგულირებელი/სავალდებულო მოთხოვნების გათვალისწინებით;

შესავალი და წინასიტყვაობა
ხარისხის მართვის სისტემა - ხარისხის საფუძველი
ჩვენს ღირებულებებზე დაფუძნებული კულტურით მოქმედება
გამოცდილების და ცოდნის გამოყენება
ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება
ინკლუზიური და კვალიფიციური გუნდების განვითარება
შესაბამის კლიენტებთან და გარიგებებთან ასოცირება
დამოუკიდებლობა და ეთიკა
გარიგებების ხარისხიანად შესრულება
ხარისხთან დაკავშირებული რისკების შეფასება
მონიტორინგი და გამოსწორება
ეფექტური კომუნიკაცია
მმართველობა და ლიდერობა
განცხადება ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის შესახებ
დანართები

© 2026 შპს KPMG Georgia, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited. ყველა უფლება დაცულია.

- არსებითი უზუსტობის რისკის იდენტიფიცირებას და აღნიშნულ რისკებზე საპასუხო პროცედურების დაგეგმვასა და განხორციელებას;
- KPMG-ის აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების გამწევი თანამშრომლების მიერ შესაბამისი სტანდარტების თანმიმდევრულად ინტერპრეტაციის და გამოყენების უზრუნველყოფას.

KPMG-ის აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების მეთოდოლოგიები ხაზს უსვამს პროცედურების განხორციელებისას შესაბამისი პროფესიული სკეპტიციზმით მოქმედების მნიშვნელობას და უზრუნველყოფს შესაბამისი ეთიკური მოთხოვნების, მათ შორის, დამოუკიდებლობის მიმართ არსებული მოთხოვნების დაცვას. მეთოდოლოგიები უწყვეტად ვითარდება, რათა შესაბამისობაში იყოს ახალ და განახლებულ აუდიტისა და მარწმუნებელი გარიგებების სტანდარტებთან და მოთხოვნებთან და ასევე, ადეკვატურად ასახავდეს ინოვაციურ და ტექნოლოგიურ მიღწევებს, რაც უზრუნველყოფს ხარისხსა და ეფექტურობას.

## სტანდარტიზებული, ტექნოლოგიებზე დაფუძნებული მეთოდოლოგია და სახელმძღვანელო მითითებები

KPMG აყალიბებს აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების პროცესს თანამედროვე ტექნოლოგიების, მათ შორის ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით, რაც ხელს უწყობს მონაცემებსა და რისკებზე დაფუძნებულ აუდიტს. ეს ციფრული სტრატეგია მხარდაჭერილია KPMG Clara-ს მიერ - მასშტაბირებადი და მომხმარებელზე ორიენტირებული ღრუბლოვანი პლატფორმით, რომელიც უზრუნველყოფს ერთგვაროვან პროცესს KPMG-ის ყველა ფირმაში მსოფლიოს მასშტაბით. KPMG Clara აწოდებს KPMG-ის აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების სტანდარტიზებულ მეთოდოლოგიას მონაცემებზე დაფუძნებული სამუშაო პროცესების მეშვეობით, რომელიც სრულად შეესაბამება აუდიტისა და მარწმუნებელი გარიგებების სტანდარტებს და ეხმარება KPMG ფირმების გარიგების გუნდებს, რომ შესაბამისობაში იყვნენ მუდმივად ცვალებად ანგარიშგებისა და აუდიტის/მარწმუნებელი გარიგების მოთხოვნებთან.

### თანმიმდევრულობისა და ხარისხის უზრუნველყოფა KPMG-ის მიწოდების ქსელის მეშვეობით

KPMG-ის მიწოდების ქსელი („KDN“) ზოგიერთ KPMG-ის ფირმას სთავაზობს დამატებით რესურსებს, სპეციალისტებს და დამატებით შესაძლებლობებს, გლობალური მიწოდების ცენტრების მეშვეობით. 2025 წელს, ქსელს ტექნოლოგიების გამოყენებით დაემატა დამატებითი შესაძლებლობები, რათა უზრუნველეყო სტანდარტული და ერთგვაროვანი პროცედურები და გადაწყვეტილებები KPMG-ის ზოგიერთი ფირმის აუდიტისა და მარწმუნებელ გარიგებებში.

## სიღრმისეული ტექნიკური ცოდნა და ექსპერტიზა

### სპეციალისტების რესურსების გამოყენების შესაძლებლობა

სპეციალისტების გამოცდილება თანამედროვე აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურებისთვის სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება და წარმოადგენს ჩვენი მრავალდისციპლინური მოდელის მნიშვნელოვან ელემენტს. KPMG-ის ფირმების გარიგების გუნდებს აქვთ წვდომა KPMG-ის სპეციალისტების ქსელზე, იმისათვის, რომ საჭიროების შემთხვევაში კონსულტაციები გაიარონ როგორც თავიანთ ფირმაში, ასევე KPMG-ის სხვა ფირმებში. აღნიშნული სპეციალისტები გადიან შესაბამის მომზადებას, რომ ჰქონდეთ საჭირო კომპეტენციები, შესაძლებლობები და ობიექტურობა, რათა ადეკვატურად შეასრულონ თავიანთი ფუნქციები ჩვენი აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების პროექტებში.

სპეციალისტების საჭიროება აუდიტის ან მარწმუნებელი მომსახურების პროექტზე, ისეთ სფეროებში, როგორიცაა ინფორმაცია, ტექნოლოგიები, საგადასახადო, სახაზინო, აქტუარული, მოკვლევა, შეფასებისა და სხვადასხვა მდგრადობის საკითხები, განიხილება პროექტზე დათანხმებისა და გაგრძელების პროცესის ფარგლებში, ასევე პროექტის დაგეგმვისა და განხორციელების დროს.

### აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების ხარისხისადმი ჩვენი ერთგულება, მნიშვნელოვან გარე მოვლენებსა და გარემოებებზე საპასუხო ქმედებების გზით

მნიშვნელოვანი გარე მოვლენები და გარემოებები, როგორიცაა გეოპოლიტიკური ცვლილებები, ბუნებრივი კატასტროფები, კლიმატური პირობები და ინფლაციური ზეწოლის შედეგები, შეიძლება წარმოშობდეს ბიზნეს რისკებს, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებაზე. ფინანსური ანგარიშგებაზე აღნიშნული პოტენციური გავლენა შეიძლება მოიცავდეს მომეტებულ სირთულეებს, სუბიექტურობას და გაურკვევლობას სააღრიცხვო შეფასებისას და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას, როგორიცაა მაგალითად აქტივების გაუფასურება, აქტივების შეფასება და ხელმძღვანელობის მიერ საწარმოს ფუნქციონირებადობის საკითხის შეფასება. ხელმისაწვდომია შესაბამისი გზამკვლევი, რომელიც ეხმარება KPMG-ის ფირმების გარიგების გუნდებს, სათანადოდ უპასუხონ მნიშვნელოვან გარე მოვლენებსა და გარემოებებს, ასევე შეაფასონ და მართონ მათგან წარმოშობილი პოტენციური შედეგები.

KPMG უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების ელექტრონულ რესურსცენტრს, რომელიც წარმოაჩენს ფინანსურ ანგარიშგებაზე იმ პოტენციურ შედეგებს, რაც შეიძლება წარმოიშვას მნიშვნელოვანი გარე მოვლენებისა და გარემოებების შედეგად. ამასთანავე, ხელმისაწვდომია აუდიტის ხარისხის ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს პოტენციურ აუდიტორულ და ანგარიშგებასთან დაკავშირებულ გავლენებს. KPMG-ის გზამკვლევები რეგულარულად ახლდება ახალი მნიშვნელოვანი საბუღალტრო, აუდიტორული და ანგარიშგების საკითხების წარმოშობის შესაბამისად.

© 2026 შპს KPMG Georgia, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited. ყველა უფლება დაცულია.



შესავალი და წინასიტყვაობა
ხარისხის მართვის სისტემა - ხარისხის საფუძველი
ჩვენს ღირებულებებზე დაფუძნებული კულტურით მოქმედება
გამოცდილების და ცოდნის გამოყენება
ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება
ინკლუზიური და კვალიფიციური გუნდების განვითარება
შესაბამის კლიენტებთან და გარიგებებთან ასოცირება
დამოუკიდებლობა და ეთიკა
გარიგებების ხარისხიანად შესრულება
ხარისხთან დაკავშირებული რისკების შეფასება
მონიტორინგი და გამოსწორება
ეფექტური კომუნიკაცია
მმართველობა და ლიდერობა
განცხადება ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის შესახებ
დანართები

## IFRS® ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებისა და US GAAP-ის შესაბამისად შესრულებული გარიგებების მიმართ არსებული ლიცენზირება და მოთხოვნები

### ლიცენზირება

KPMG-ის ყველა პროფესიონალს მოეთხოვება დაიცვას შესაბამისი პროფესიული ლიცენზირების წესები და დააკმაყოფილოს განგრძობითი განათლების (CPD) მოთხოვნები იმ იურისდიქციაში, სადაც ისინი საქმიანობენ. KPMG Georgia-ს პოლიტიკა და პროცედურები შემუშავებულია ლიცენზირების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის ხელშესაწყობად. ჩვენ ვიღებთ პასუხისმგებლობას იმაზე, რომ გარიგებებზე მომუშავე აუდიტის პროფესიონალებს ჰქონდეთ შესაბამისი აუდიტორული, საბუღალტრო და ინდუსტრიული ცოდნა, აგრეთვე გამოცდილება ადგილობრივად მიღებულ ფინანსური ანგარიშგების ჩარჩოში - ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებში (IFRS).

### მოთხოვნები - IFRS ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები და US GAAP-ის მიხედვით შესრულებული გარიგებები

კონკრეტული მოთხოვნები ვრცელდება გარიგების პარტნიორებზე, მენეჯერებსა და გარიგების ხარისხის კონტროლის (EQC) მიმომხილველებზე, რომლებიც მუშაობენ IFRS ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების მიხედვით შესრულებულ გარიგებებზე, იმ იურისდიქციებში, სადაც IFRS არ წარმოადგენს ძირითად ფინანსური ანგარიშგების ჩარჩოს.

მსგავსი პოლიტიკა ვრცელდება აშშ-ს ფარგლებს გარეთ განხორციელებულ გარიგებებზე, რომლებიც მოიცავს ფინანსური ანგარიშების ან ფინანსური ინფორმაციის US GAAP-ის შესაბამისად მომზადებას და/ან აშშ-ის აუდიტის სტანდარტების მიხედვით აუდიტს, მათ შორის, ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების შიდა კონტროლის (ICOFR) ეფექტურობის შეფასებას.

ეს დებულებები ითვალისწინებს, რომ მინიმუმ ყველა გარიგების პარტნიორმა, მენეჯერმა და საჭიროების შემთხვევაში, გარიგების ხარისხის კონტროლის (EQC) მიმომხილველმა (ასევე, US GAAP-ის და/ან აშშ-ის აუდიტის სტანდარტების შესაბამისად შესრულებულ დავალებებში - გარიგების პარტნიორმა, მენეჯერებმა, გარიგების პასუხისმგებელმა პირებმა და საჭიროების შემთხვევაში, EQC მიმომხილველებმა) გაიარონ შესაბამისი ტრენინგი და რომ, საერთო ჯამში, გარიგების გუნდს ჰქონდეს საკმარისი გამოცდილება გარიგების შესასრულებლად, ან მიიღოს შესაბამისი დამცავი ღონისძიებები გამოცდილების ნაკლებობის კომპენსაციის მიზნით.

### ESG მარწმუნებელი მომსახურების ხარისხი

KPMG CCA ერთგულია საჯარო ინტერესის როლის შესრულების მიმართ, მაღალი ხარისხის ESG მარწმუნებელი მომსახურების მიწოდების გზით, რაც ხელს უწყობს ინვესტორებისა და დაინტერესებული მხარეების ნდობას.

ბაზრის მზარდი მოლოდინებისა და მარეგულირებელი ცვლილებების საპასუხოდ, 2025 წელს KPMG CCA-მ განაგრძო ESG მარწმუნებელი მომსახურების შესაძლებლობების განვითარება, KPMG-ის გლობალური მეთოდოლოგიების გამოყენებითა და ასევე, ადგილობრივი ბაზრის გამოცდილებისა და კლიენტების საჭიროებების გათვალისწინებით.

### წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი განვითარებები მოიცავდა შემდეგ ფაქტორებს:

- განახლებული მეთოდოლოგია

KPMG CCA იყენებს KPMG-ის გლობალურ ESG-ის მარწმუნებელი მომსახურების მეთოდოლოგიას, რომელიც შემუშავებულია, ფართოდ გამოყენებული მდგრადობის ანგარიშგების ჩარჩოების ფარგლებში, მარწმუნებელი გარიგებების მხარდასაჭერად. აღნიშნული მოიცავს რწმუნებას მდგრადობის შესახებ ინფორმაციაზე, რომელიც მომზადებულია Global Reporting Initiative (GRI) სტანდარტების შესაბამისად და წარმოადგენს კლიენტების მიერ გამოყენებულ მდგრადობის ანგარიშგების ძირითად ჩარჩოს, აგრეთვე, შესაბამისი საერთაშორისო მდგრადობის ანგარიშგების განვითარების გათვალისწინებას, მათ შორის, ISSB სტანდარტებს საჭიროების შემთხვევაში.

- გაფართოებული სასწავლო პროგრამები და ტრენინგების მონიტორინგი

KPMG CCA-მ განაგრძო ESG-ზე ფოკუსირებული სასწავლო პროგრამების გაფართოება ESG-ის მარწმუნებელ გარიგებებში მონაწილე გარიგების გუნდებისთვის. 2025 წელს ტრენინგები ძირითადად მოიცავდა ESG-ის მარწმუნებელი მეთოდოლოგიების პრაქტიკულ გამოყენებას, მდგრადობის მეტრიკებსა და KPI-ზე რწმუნებას და KPMG-ის აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების სამუშაო პროცესში ESG-ის პროცედურების ინტეგრაციას.

ESG მარწმუნებელი გარიგებების სავალდებულო ტრენინგების გავლა მოწმდება KPMG-ის გლობალური სასწავლო და განვითარების სისტემების საშუალებით, რაც უზრუნველყოფს, რომ ESG-ის მარწმუნებელ გარიგებებში მონაწილე პროფესიონალებს ჰქონდეთ საჭირო ტექნიკური კომპეტენცია და მდგრადობის ანგარიშგების პრაქტიკის განვითარებასთან დაკავშირებული განახლებული ინფორმაცია.

- გლობალურ და რეგიონულ გამოცდილებაზე გაუმჯობესებული წვდომა

KPMG CCA-ში ESG-ის მარწმუნებელი გარიგებების შესრულებას ხელს უწყობს KPMG-ის გლობალურ და რეგიონულ ESG სპეციალისტებზე, მათ შორის გარემოს, სოციალური საკითხებისა და მართვის მიმართულების ექსპერტებზე წვდომის შესაძლებლობა. აღნიშნული უზრუნველყოფს მეთოდოლოგიის თანმიმდევრულ გამოყენებას და KPMG-ის გლობალური სტანდარტების შესაბამისად, გარიგებების მაღალი ხარისხით შესრულებას.


შესავალი და წინასიტყვაობა

ხარისხის მართვის სისტემა - ხარისხის საფუძველი

ჩვენს ღირებულებებზე დაფუძნებული კულტურით მოქმედება

გამოცდილების და ცოდნის გამოყენება

ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება

ინკლუზიური და კვალიფიციური გუნდების განვითარება

შესაბამის კლიენტებთან და გარიგებებთან ასოცირება

დამოუკიდებლობა და ეთიკა

გარიგებების ხარისხიანად შესრულება

ხარისხთან დაკავშირებული რისკების შეფასება

მონიტორინგი და გამოსწორება

ეფექტური კომუნიკაცია

მმართველობა და ლიდერობა

განცხადება ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის შესახებ

დანართები


© 2026 შპს KPMG Georgia, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited. ყველა უფლება დაცულია.

- ხარისხზე უწყვეტად ფოკუსირება და ცოდნის გაზიარება

KPMG CCA სარგებლობს KPMG-ის გლობალურ ქსელში მიმდინარე ცოდნის გაზიარების შესაძლებლობებით, მათ შორის, ტექნიკური განახლებებით, ESG-ის მარწმუნებელი სერვისების სახელმძღვანელოებით და ასევე, გლობალურ და რეგიონულ დონეზე შესრულებული გარიგებებიდან მიღებული პრაქტიკული გამოცდილებით. ეს შესაძლებლობები ხელს უწყობს ESG-ის მარწმუნებელი მომსახურების ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას და უზრუნველყოფს ESG-ის მარწმუნებელი მიდგომების თანმიმდევრულობას.

KPMG ESG Assurance Maturity Index 2025-დან გაზიარებული ინფორმაცია, რომელიც ეფუძნება 1,320 კომპანიის გამოკითხვის შედეგებს, ხაზს უსვამს მზაობის, გამჭვირვალობისა და უწყვეტი გაუმჯობესების მნიშვნელობას.

ESG-ის მარწმუნებელი მომსახურების გაწევის ჩვენი მოდელი ექვემდებარება ჩვენი ხარისხის მართვის სისტემას, ხმსს 1-ის შესაბამისად.

## ხარისხისა და რისკების მართვის პოლიტიკები

ჩვენს ფირმაში ყველა თანამშრომელს მოეთხოვება დაიცვას KPMG International-ისა და ჩვენი ფირმის პოლიტიკები და პროცედურები, მათ შორის დამოუკიდებლობის პოლიტიკა, რისთვისაც მათთვის ხელმისაწვდომია შესაბამისი ინსტრუმენტები და გზამკვლევები. აუდიტისა და მარწმუნებელი გარიგებებისთვის ჩვენი პოლიტიკა და პროცედურები მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტის, მარწმუნებელი მომსახურების, ეთიკის, ხარისხისა და რისკების მართვის შესაბამის მოთხოვნებს, რომლებიც შეესაბამება ხმსს 1-ს და სხვა მოქმედ კანონებსა და რეგულაციებს.




შესავალი და წინასიტყვაობა
ხარისხის მართვის სისტემა - ხარისხის საფუძველი
ჩვენს ღირებულებებზე დაფუძნებული კულტურით მოქმედება
გამოცდილების და ცოდნის გამოყენება
ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება
ინკლუზიური და კვალიფიციური გუნდების განვითარება
შესაბამის კლიენტებთან და გარიგებებთან ასოცირება
დამოუკიდებლობა და ეთიკა
გარიგებების ხარისხიანად შესრულება
ხარისხთან დაკავშირებული რისკების შეფასება
მონიტორინგი და გამოსწორება
ეფექტური კომუნიკაცია
მმართველობა და ლიდერობა
განცხადება ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის შესახებ
დანართები

© 2026 შპს KPMG Georgia, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited. ყველა უფლება დაცულია.




# ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება

- **KPMG Clara**
- **სტანდარტებზე და ინტელექტზე დაფუძნებული აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების სამუშაო პროცესები**
- **ხელოვნური ინტელექტი, მონაცემები და განვითარებადი ტექნოლოგიები**

KPMG-ში ჩვენი მისია მკაფიოა: ვხელმძღვანელობთ გაბედულად, ვმოქმედებთ სწრაფად და პასუხისმგებლობით, რამდენადაც სამომავლო ტექნოლოგიები, რომელთაც შეუძლია ჩვენი მომავლის ხედვის შეცვლა, საფუძველს გვაძლევს გვქონდეს ამბიციური ინოვაციური გეგმა. KPMG განაგრძობს აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების გამოცდილების ტრანსფორმაციას, როგორც KPMG-ის თანამშრომლებისთვის, ასევე კლიენტებისთვის. KPMG-ის გლობალურ ქსელში გამოყენებული წამყვანი ტექნოლოგიები ამაღლებენ აუდიტის ხარისხს, რადგან ზრდიან ჩვენს შესაძლებლობას გამოვავლინოთ მნიშვნელოვანი საკითხები და ვუპასუხოთ მათ.

## KPMG Clara

KPMG-ის ერთგულება ხარისხის უწყვეტი განვითარების მიმართ განაპირობებს ჩვენს ინვესტიციას ტექნოლოგიებსა და ინოვაციებში. 2025 წელს ჩვენ გავაფართოვეთ და დავაჩქარეთ ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია ჩვენს გლობალურ, ინტელექტზე დაფუძნებულ აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების პლატფორმაში - KPMG Clara-ში, რათა KPMG-ის ფირმების აუდიტორებმა უფრო ეფექტურად უპასუხონ რისკებს და შეძლონ სიღრმისეული ანალიზი.

KPMG Clara წარმოადგენს ღრუბლოვან სისტემაზე დაფუძნებულ ციფრულ პლატფორმას, გლობალურად თანმიმდევრული, მაღალი ხარისხის აუდიტისთვის, რომელიც იყენებს უახლეს ტექნოლოგიებსა და ინოვაციებს, მათ შორის, ხელოვნურ ინტელექტსა და სხვა განვითარებად ტექნოლოგიებს.

© 2026 შპს KPMG Georgia, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited. ყველა უფლება დაცულია.




შესავალი და წინასიტყვაობა

ხარისხის მართვის სისტემა - ხარისხის საფუძველი

ჩვენს ღირებულებებზე დაფუძნებული კულტურით მოქმედება

გამოცდილების და ცოდნის გამოყენება

ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება

ინკლუზიური და კვალიფიციური გუნდების განვითარება

შესაბამის კლიენტებთან და გარიგებებთან ასოცირება

დამოუკიდებლობა და ეთიკა

გარიგებების ხარისხიანად შესრულება

ხარისხთან დაკავშირებული რისკების შეფასება

მონიტორინგი და გამოსწორება

ეფექტური კომუნიკაცია

მმართველობა და ლიდერობა

განცხადება ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის შესახებ

დანართები

## სტანდარტებზე და ინტელექტზე დაფუძნებული აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების სამუშაო პროცესები

KPMG Clara, როგორც მასშტაბირებადი და ინტუიციურ ღრუბლოვან სისტემაზე დაფუძნებული პლატფორმა, უზრუნველყოფს თანმიმდევრულობას გლობალურ დონეზე, KPMG-ის ყველა ფირმაში. იგი საშუალებას იძლევა გამოყენებულ იქნეს KPMG-ის აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების მეთოდოლოგიები, მონაცემებზე დაფუძნებული სამუშაო პროცესების მეშვეობით, რომლებიც შესაბამისობაშია აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების სტანდარტებთან და უზრუნველყოფს აუდიტორების მიერ ეფექტური და შეუფერხებელი სამუშაო გამოცდილების მიღებას.

## ხელოვნური ინტელექტი, მონაცემები და განვითარებადი ტექნოლოგიები

### ხელოვნური ინტელექტი აუდიტში ახლა და მომავალში

კაპიტალის ბაზრებზე ნდობის ჩამოყალიბება KPMG-ის როლის, როგორც საზოგადოებრივი ინტერესების დამცველის, ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენს. 2025 წელს ჩვენ გავაფართოვეთ AI-ის გამოყენება KPMG Clara-ში, რათა გაგვეუმჯობესებინა ხარისხი, თანმიმდევრულობა და სწრაფი რეაგირების შესაძლებლობა, პროგრესული და გაციფრულებული აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების შესახებ არსებული ჩვენი ხედვის ფარგლებში.

ჩვენ განვაგრძობთ გენერაციული AI-ის და AI აგენტების გამოყენებას, რომლებიც ასრულებენ აუდიტის სამუშაოებს ადამიანური რესურსის ჩართულობით. ამჟამად AI აგენტებს, KPMG-ის მეთოდოლოგიის შესაბამისად, შეუძლიათ დაეხმარონ აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების გუნდებს გარიგების დოკუმენტაციის შემოწმებაში, შესაძლო თაღლითობის რისკების გამოვლენაში, ასევე ძირითადი ტესტირების პროცედურების დაგეგმვასა და შესრულებაში. ასევე, ტრანზაქციების შეფასების საშუალებით, KPMG-ის აუდიტორებს შეუძლიათ გამოიყენონ მოწინავე ავტომატიზებული ალგორითმები ტრანზაქციების გენერალური ერთობლიობის ანალიზისა და რისკების შეფასებისას, რაც მათ ეხმარებათ გამონაკლისების გამოვლენასა და ისეთი საკითხების იდენტიფიცირებაში, რომლებიც საჭიროებს დამატებით შესწავლას. აღნიშნული გაუმჯობესებები საშუალებას აძლევს გლობალურად 95,000-ზე მეტ აუდიტორს შეაჩეროს ყურადღება მაღალი რისკის სფეროებზე, გამოიყენოს პროფესიული მსჯელობა და სკეპტიციზმი ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებში და გაზარდოს აუდიტის ხარისხი.

KPMG Clara-ში არსებული ყველა AI შესაძლებლობა განვითარდა KPMG-ის Trusted AI ჩარჩოს ფარგლებში, რაც უზრუნველყოფს მიდგომას ადამიანის ჩართულობით და რომელიც ხელს უწყობს ხარისხის, მონაცემთა მთლიანობის, სიზუსტის, სანდოობის, უსაფრთხოების და ეთიკური სტანდარტების დაცვას.

ამ შესაძლებლობებს მნიშვნელოვანი როლი აქვთ KPMG-ის ხედვაში - გარდაქმნილ, AI-სა და ადამიანზე ორიენტირებულ აუდიტთან დაკავშირებით, რომელიც უზრუნველყოფს სიღრმისეულ ანალიზს და ზრდის ფინანსური და არაფინანსური ინფორმაციის სისწორის სანდოობას.

სამომავლოდ, KPMG გააგრძელებს ახალი და განვითარებადი ტექნოლოგიების პასუხისმგებლობით გამოყენებას, რათა ხელი შეუწყოს ჩვენს პროფესიონალებს, გააუმჯობესონ აუდიტის ხარისხი და უპასუხონ კაპიტალის ბაზრების განვითარებად საჭიროებებს.


შესავალი და წინასიტყვაობა
ხარისხის მართვის სისტემა - ხარისხის საფუძველი
ჩვენს ღირებულებებზე დაფუძნებული კულტურით მოქმედება
გამოცდილების და ცოდნის გამოყენება
ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება
ინკლუზიური და კვალიფიციური გუნდების განვითარება
შესაბამის კლიენტებთან და გარიგებებთან ასოცირება
დამოუკიდებლობა და ეთიკა
გარიგებების ხარისხიანად შესრულება
ხარისხთან დაკავშირებული რისკების შეფასება
მონიტორინგი და გამოსწორება
ეფექტური კომუნიკაცია
მმართველობა და ლიდერობა
განცხადება ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის შესახებ
დანართები


© 2026 შპს KPMG Georgia, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited. ყველა უფლება დაცულია.

### კლიენტის ინფორმაციის კონფიდენციალურობა, ინფორმაციული უსაფრთხოება და მონაცემთა დაცვა

კლიენტის ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის მნიშვნელობას ხაზს უსვამს სხვადასხვა მექანიზმი, მათ შორის KPMG-ის გლობალური ქცევის კოდექსი.

ჩვენ შემუშავებული გვაქვს ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან, კონფიდენციალურობასთან, პერსონალურ ინფორმაციასთან და მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული პოლიტიკები. ჩვენი დოკუმენტაციის შენახვის პოლიტიკა განსაზღვრავს გარიგებასთან დაკავშირებული აუდიტის დოკუმენტაციისა და სხვა ჩანაწერების შენახვის პერიოდს, მოქმედი კანონმდებლობის, რეგულაციების და პროფესიული სტანდარტების შესაბამისად.

KPMG ყოველწლიურად ატარებს ტრენინგებს კონფიდენციალურობის, ინფორმაციისა და მონაცემთა დაცვის მოთხოვნების შესახებ, KPMG-ის ყველა თანამშრომლისთვის.

- მონაცემებზე დაფუძნებული და ხელოვნური ინტელექტით აღჭურვილიაუდიტის სამუშაო პროცესი
- აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება, მათ შორის ESG
- გლობალური, რისკებზე დაფუძნებული მეთოდოლოგია

- ადამიანის მიერ მართვადი ხელოვნური ინტელექტი, როგორც რისკის შეფასების ნაწილი
- გამონაკლისებზე დაფუძნებული აუდიტი სრული ტრანზაქციების გენერალური ერთობლიობისპოპულაციების ავტომატური გამოთვლის ქულების მეშვეობით
- ინფორმაციის მოძიება ხელოვნური ინტელექტის საშუალებით




- გლობალურად თანმიმდევრული დაგეგმვა და შესრულება
- გაუმჯობესებული ორმხრივი კომუნიკაცია
- გარიგების მასშტაბზე მორგება

- უსაფრთხო, გამჭვირვალე და ცენტრალიზებული ინტერაქცია აუდიტის გუნდთან
- მიმდინარე რეჟიმში შეტყობინებების მიღება და მონიტორინგი
- ინფორმაციაზე წვდომა

© 2026 შპს KPMG Georgia, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited. ყველა უფლება დაცულია.




შესავალი და წინასიტყვაობა
ხარისხის მართვის სისტემა - ხარისხის საფუძველი
ჩვენს ღირებულებებზე დაფუძნებული კულტურით მოქმედება
გამოცდილების და ცოდნის გამოყენება
ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება
ინკლუზიური და კვალიფიციური გუნდების განვითარება
შესაბამის კლიენტებთან და გარიგებებთან ასოცირება
დამოუკიდებლობა და ეთიკა
გარიგებების ხარისხიანად შესრულება
ხარისხთან დაკავშირებული რისკების შეფასება
მონიტორინგი და გამოსწორება
ეფექტური კომუნიკაცია
მმართველობა და ლიდერობა
განცხადება ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის შესახებ
დანართები




# ინკლუზიური და კვალიფიციური გუნდების განვითარება

- **მრავალმხრივი უნარების, ხედვებისა და გამოცდილების მქონე კვალიფიციური სპეციალისტების მოზიდვა**
- **შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე გუნდების ფორმირება**
- **ხელოვნურ ინტელექტსა და მონაცემებზე ორიენტირებულ უნარებში ინვესტირება**
- **სწავლებისა და განვითარების აქტივობების კონცენტრირება ტექნიკურ გამოცდილებაში, პროფესიულ უნარ-ჩვევებსა და ლიდერობის შესაძლებლობებში**
- **ხარისხის მნიშვნელობის აღიარება**

გლობალური მასშტაბით, KPMG-ის თანამშრომლები სთავაზობენ განსხვავებულ სტანდარტს და მნიშვნელოვან როლს თამაშობენ KPMG-ში აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების მომავლის ფორმირების თვალსაზრისით. ჩვენთვის ხარისხი და კეთილსინდისიერება წარმოადგენს აუდიტის ცენტრალურ პრინციპებს. KPMG-ის ფირმების გარიგების გუნდებს გააჩნიათ მრავალმხრივი უნარები და შესაძლებლობები კომპლექსური საკითხების მოსაგვარებლად.

## მრავალმხრივი უნარების, ხედვებისა და გამოცდილების მქონე კვალიფიციური სპეციალისტების მოზიდვა

ხარისხის ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელი არის იმის უზრუნველყოფა, რომ KPMG-ის თანამშრომლებს ჰქონდეთ შესაბამისი უნარები და გამოცდილება, ასევე მოტივაცია და მიზანი მაღალი ხარისხის აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების გასაწევად. აღნიშნული მოითხოვს თანამშრომლების სწორად შერჩევას, მათ განვითარებას, ანაზღაურებას, დაწინაურებას, შენარჩუნებასა და პროექტებში ჩართვას.

შესავალი და წინასიტყვაობა
ხარისხის მართვის სისტემა - ხარისხის საფუძველი
ჩვენს ღირებულებებზე დაფუძნებული კულტურით მოქმედება
გამოცდილების და ცოდნის გამოყენება
ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება
ინკლუზიური და კვალიფიციური გუნდების განვითარება
შესაბამის კლიენტებთან და გარიგებებთან ასოცირება
დამოუკიდებლობა და ეთიკა
გარიგებების ხარისხიანად შესრულება
ხარისხთან დაკავშირებული რისკების შეფასება
მონიტორინგი და გამოსწორება
ეფექტური კომუნიკაცია
მმართველობა და ლიდერობა
განცხადება ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის შესახებ
დანართები

© 2026 შპს KPMG Georgia, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited. ყველა უფლება დაცულია.

## პერსონალის მოზიდვა

KPMG ინვესტიციას ახორციელებს იმაში, რომ უკეთ გააცნობიეროს, თუ როგორ მოიზიდოს საჭირო კადრები ორგანიზაციის მასშტაბით, როგორც მოცემულ მომენტში, ასევე მომავალში.

ჩვენი დასაქმების სტრატეგია მიმართულია კანდიდატთა ფართო წრიდან დამწყები კადრების მოზიდვაზე, რაც, მათ შორის, მოიაზრებს თანამშრომლობას უნივერსიტეტებთან, კოლეჯებთან და ბიზნეს სკოლებთან, ასევე, საშუალო სკოლებთან. აღნიშნული ხელს უწყობს ურთიერთობების ჩამოყალიბებას ახალგაზრდა, ინკლუზიურ და მრავალფეროვან კანდიდატთა წრესთან, ადრეულ ეტაპზე. ჩვენ ასევე ვასაქმებთ ბევრ გამოცდილ კანდიდატსა და პარტნიორს.

დასაქმების პროცესში ყველა კანდიდატი გადის მრავალმხრივი შერჩევის ეტაპებს, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს განაცხადების პირველად შეფასებას, კომპეტენციებზე დაფუძნებულ გასაუბრებებს, ფსიქომეტრიულ და უნარებზე დაფუძნებულ ტესტირებას, ასევე კვალიფიკაციის/რეკომენდაციის შემოწმებას.  ეს პროცესები ეფუძნება შესაბამის ფუნქცია-მოვალეობებთან დაკავშირებულ, სამართლიან კრიტერიუმებს, რათა უზრუნველყოს, რომ კანდიდატებს ჰქონდეთ შესაბამისი უნარები და გამოცდილება სამუშაოს კომპეტენტურად შესასრულებლად და შესაბამისი პოზიციისთვის სწორად იყვნენ შერჩეულნი.

2025 წლის 30 სექტემბრისთვის დამთავრებული წლის განმავლობაში ჩვენ დავასაქმეთ 14-ზე მეტი ახალი კურსდამთავრებული.

იმ შემთხვევაში, თუ დასაქმება ხდება მაღალ პოზიციებზე, კანდიდატებთან დამოუკიდებლობის საკითხებზე ოფიციალურ განხილვას ატარებს რისკების მართვის, ეთიკისა და დამოუკიდებლობის პარტნიორი ან მისი წარმომადგენელი. ჩვენ არ ვიღებთ კანდიდატის ყოფილი დამსაქმებლის ან ფირმის კუთვნილ რაიმე სახის კონფიდენციალურ ინფორმაციას.

ამასთან, KPMG-ის ფირმები ახორციელებენ კანდიდატების განაცხადების შეფასებას, რომელიც ეფუძნება სამართლიან და პოზიციასთან დაკავშირებულ კრიტერიუმებს, რათა უზრუნველყონ, რომ კანდიდატებს აქვთ შესაბამისი უნარები და გამოცდილება სამუშაოს კომპეტენტურად შესასრულებლად და ისინი არიან შესაბამისი პოზიციისთვის სწორად შერჩეულნი. KPMG-ის ფირმები ასევე ატარებენ რეკომენდაციებისა და გამოცდილების დეტალურ შემოწმებას პოტენციური პარტნიორებისა და იმ კანდიდატებისთვის, რომლებიც ექვემდებარებიან სამართლებრივ და მარეგულირებელ მოთხოვნებს.

## ინკლუზიურობა და თანაბარი შესაძლებლობების ხელმისაწვდომობა

KPMG-მ აიღო პასუხისმგებლობა შექმნას კულტურა, რომელიც ყველასთვის ღიაა და მისაღები. ეს პრინციპი ჩვენი ორგანიზაციის კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილია მრავალი წლის განმავლობაში და სრულად შეესაბამება ჩვენს ღირებულებებსა და ბიზნეს-სტრატეგიას. ჩვენ მსოფლიოს მასშტაბით გავაგრძელებთ იმ მრავალფეროვანი საზოგადოებების რეპრეზენტაციას, სადაც ვმუშაობთ, შევუწყობთ ხელს კუთვნილების განცდის გაძლიერებას და გამოვიყენებთ ჩვენი განსხვავებული ხედვებისა და გამოცდილებების ერთობლივ ძალას, რათა უკეთ მოვემსახუროთ ჩვენს თანამშრომლებს, კლიენტებსა და მთლიანად საზოგადოებას.

შეიტყვეთ მეტი KPMG-ის სწრაფვის შესახებ, რომ ჰქონდეს ნდობაზე დაფუძნებული ინკლუზიური კულტურა KPMG International-ში: ჩვენი ზემოქმედების გეგმა.

## ჯანმრთელობა და კეთილდღეობა

ორგანიზაციის მასშტაბით, ჩვენ ვალდებულნი ვართ დავიცვათ ჩვენი თანამშრომლების როგორც ფიზიკური, ასევე მენტალური ჯანმრთელობა და შევქმნათ თანაგრძნობისა და მხარდაჭერის გარემო, რომელიც საშუალებას მისცემს ჩვენს გუნდს განვითარდეს და უზრუნველყოს მაღალი ხარისხის მომსახურება კლიენტებისთვის.

პროფესიული მომსახურების სფეროში ხშირად არის სწრაფი და მომთხოვნი გარემო, ამიტომ ჩვენ ვქმნით ისეთ კულტურას, სადაც თანამშრომლებს შეუძლიათ ღიად ისაუბრონ საკუთარ კეთილდღეობაზე და საჭიროების შემთხვევაში მიიღონ მხარდაჭერა.

## კომპენსაცია და დაწინაურება

### კომპენსაცია

KPMG-ის ფირმებს აქვთ ანაზღაურებისა და დაწინაურების პოლიტიკა, რომელიც ეფუძნება საბაზრო მონაცემებს და დაკავშირებულია შესრულებისა და თანამშრომელთა შეფასების პროცესთან. აღნიშნული პოლიტიკა აუდიტის გუნდებს ეხმარება გაიგონ, თუ რა მოეთხოვებათ მათ, მათ შორის აუდიტის ხარისხთან დაკავშირებული პასუხისმგებლობები, რომლებიც განსაზღვრულია შესაბამისი თანამდებობის სამუშაო აღწერილობაში, აგრეთვე სავალდებულო აუდიტის ხარისხის მიზანი, რომელიც გლობალურად არის დაწესებული KPMG International-ის მიერ. შედეგსა და ანაზღაურებას შორის ურთიერთმიმართება განისაზღვრება თანამშრომლების მუშაობის თანაბარი დონის კოლეგებთან შედარებით შეფასებაზე დაყრდნობით.

კომპენსაციის გადაწყვეტილებები ეფუძნება როგორც თანამშრომლის ინდივიდუალური, ასევე ფირმის საერთო შედეგების შეფასებას.

იმის განსაზღვრა, თუ რამდენად აისახა თანამშრომლების მიერ გაწეული სამუშაო მათ ანაზღაურებაში, ხორციელდება ყოველწლიური Global People Survey-ის მეშვეობით, რის საფუძველზეც KPMG-ის ფირმები საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებენ შესაბამის სამოქმედო გეგმებს.


შესავალი და წინასიტყვაობა

ხარისხის მართვის სისტემა - ხარისხის საფუძველი

ჩვენს ღირებულებებზე დაფუძნებული კულტურით მოქმედება

გამოცდილების და ცოდნის გამოყენება

ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება

ინკლუზიური და კვალიფიციური გუნდების განვითარება

შესაბამის კლიენტებთან და გარიგებებთან ასოცირება

დამოუკიდებლობა და ეთიკა

გარიგებების ხარისხიანად შესრულება

ხარისხთან დაკავშირებული რისკების შეფასება

მონიტორინგი და გამოსწორება

ეფექტური კომუნიკაცია

მმართველობა და ლიდერობა

განცხადება ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის შესახებ

დანართები



© 2026 შპს KPMG Georgia, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited. ყველა უფლება დაცულია.

### დაწინაურება

სამუშაოს შეფასების შედეგები პირდაპირ გავლენას ახდენს როგორც პარტნიორების, ასევე თანამშრომლების დაწინაურებასა და ანაზღაურებაზე, ხოლო გარკვეულ შემთხვევებში KPMG-თან მათი თანამშრომლობის გაგრძელებაზეც.

## შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე გუნდების ფორმირება

ხარისხის მართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია გარიგების გუნდის შერჩევა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ეფექტური და მაღალი ხარისხის აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურება. KPMG-ის ფირმებმა შეიმუშავეს პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს კონკრეტულ გარიგებაზე პარტნიორებისა და სხვა პროფესიონალების დანიშვნას მათი უნარების, შესაბამისი პროფესიული და ინდუსტრიული გამოცდილების, ასევე გარიგების ბუნების გათვალისწინებით. გარიგების პარტნიორის დანიშვნის პროცესზე პასუხისმგებელნი არიან მიმართულების ხელმძღვანელები. მთავარი ფაქტორებია პარტნიორის გამოცდილება და შესაძლებლობები, რომლებიც ყოველწლიური პორტფელის მიმოხილვის საფუძველზე განისაზღვრება. აღნიშნული უზრუნველყოფს, რომ კონკრეტული გარიგება შესრულდეს მისი ზომის, სირთულისა და რისკის პროფილის გათვალისწინებით, ასევე გათვალისწინებული იყოს შესაბამისი მხარდაჭერა (მაგალითად გუნდის ფორმირება და სპეციალისტების ჩართულობა).

აუდიტისა და მარწმუნებელი გარიგების პარტნიორები პასუხისმგებელნი არიან იმაზე, რომ დროულად განისაზღვროს და გუნდისთვის ხელმისაწვდომი გახდეს გარიგების შესასრულებლად საჭირო რესურსები. აღნიშნული ხორციელდება გარიგების ბუნებისა და გარემოებების, KPMG-ის პოლიტიკებისა და პროცედურების, პროფესიული სტანდარტებისა და მოქმედი სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების გათვალისწინებით, ასევე იმ ცვლილებების მიხედვით, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას პროცესის განმავლობაში. ეს შეიძლება მოიცავდეს სპეციალისტების ჩართვას, როგორც ჩვენი ფირმიდან, ასევე KPMG-ის სხვა ფირმებიდან ან გარე ექსპერტების წრიდან.

თუ შესაბამისი რესურსი ჩვენს ფირმაში ხელმისაწვდომი არ არის, ჩვენ წვდომა გვაქვს KPMG-ის სხვა ფირმებში მომუშავე მაღალკვალიფიციურ პროფესიონალთა ქსელზე. ამასთანავე, KPMG-ის პოლიტიკის მიხედვით, აუდიტისა და მარწმუნებელი გარიგების პროფესიონალებს უნდა ჰქონდეთ საჭირო ცოდნა და გამოცდილება, რათა ეფექტურად შეასრულონ თავიანთი გარიგებები.

გარიგების გუნდის საერთო კომპეტენციისა და შესაძლებლობების შეფასებისას, გარიგების პარტნიორმა შესაძლოა ყურადღება გაამახვილოს შემდეგ საკითხებზე:

- მსგავსი ტიპის და სირთულის აუდიტისა და მარწმუნებელი გარიგებების ცოდნა და შესაბამისი ტრენინგის გავლით, და ჩართულობით მიღებული პრაქტიკული გამოცდილება;
- პროფესიული სტანდარტებისა და სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების ცოდნა;
- საკმარისი ტექნიკური უნარები, მათ შორის შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიების და აუდიტის, ანგარიშგების ან მარწმუნებელი მომსახურების სპეციალიზებული სფეროების ცოდნა;
- კლიენტის საქმიანობის შესაბამისი ინდუსტრიების ცოდნა;
- პროფესიული სკეპტიციზმის გამოყენების უნარი;
- KPMG-ის ხარისხის კონტროლის პოლიტიკისა და პროცედურების ცოდნა; გარიგების ხარისხის მიმოხილვის (QPR) შედეგები და მარეგულირებელი ორგანოს მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგები.

## სამუშაო აღწერილობა ხარისხის გასაუმჯობესებლად

აუდიტის ხარისხის მიმართ ანგარიშვალდებულებაზე თანმიმდევრული მიდგომის უზრუნველყოფის მიზნით, KPMG International, KPMG ფირმებისთვის გამოსცემს სამუშაო აღწერილობის ნაკრებს, რომელიც აღწერს ტექნიკურ და ქცევით კომპეტენციებს, ასევე ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დონეებს აუდიტის ხარისხში და SoQM-ში შეტანილი წვლილის მიხედვით. ხარისხის მუდმივი გაუმჯობესების მხარდაჭერის მიზნით, თანამდებობების პროფილები ყოველწლიურად ახლდება. აღნიშნული პროფილები, KPMG-ის ფირმებში, აუდიტის განხორციელებაში ჩართულ თანამშრომლებს აძლევს მკაფიო წარმოდგენას მათი თანამდებობისა და პასუხისმგებლობების შესახებ. შესასრულებელ მიზნებთან სამუშაო აღწერილობის დასაკავშირებლად, შესაბამისი თანამდებობის მქონე პირებისთვის წინასწარ არის გაწერილი აუდიტის ხარისხთან დაკავშირებული სავალდებულო მიზნები.

## ხელოვნურ ინტელექტსა და მონაცემებზე ორიენტირებულ უნარებში ინვესტირება

KPMG სტრატეგიულად დებს ინვესტიციას როგორც პერსპექტიულ კადრებში, წამყვან საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობით, ასევე, სამუშაო ძალის განვითარებაში, რომელიც აღჭურვილია იმ უნარებით, რაც აუცილებელია, მონაცემებზე დაფუძნებულ და ხელოვნურ ინტელექტზე ორიენტირებულ აუდიტის გარემოში წარმატების მისაღწევად.

KPMG-ის ფირმები ასაქმებენ და ავითარებენ პროფესიონალებს, რომლებიც სპეციალიზებულნი არიან პროგრამულ უზრუნველყოფაში, ღრუბლოვან ტექნოლოგიებსა და ხელოვნურ ინტელექტში, რათა

© 2026 შპს KPMG Georgia, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited. ყველა უფლება დაცულია.




- შესავალი და წინასიტყვაობა
- ხარისხის მართვის სისტემა - ხარისხის საფუძველი
- ჩვენს ღირებულებებზე დაფუძნებული კულტურით მოქმედება
- გამოცდილების და ცოდნის გამოყენება
- ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება
- ინკლუზიური და კვალიფიციური გუნდების განვითარება
- შესაბამის კლიენტებთან და გარიგებებთან ასოცირება
- დამოუკიდებლობა და ეთიკა
- გარიგებების ხარისხიანად შესრულება
- ხარისხთან დაკავშირებული რისკების შეფასება
- მონიტორინგი და გამოსწორება
- ეფექტური კომუნიკაცია
- მმართველობა და ლიდერობა
- განცხადება ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის შესახებ
- დანართები

წამყვანი ტექნოლოგიური შესაძლებლობების გამოყენებით უზრუნველყონ ჩვენი ციფრული აუდიტის ხედვის განხორციელება. KPMG-ის ფირმები უზრუნველყოფენ ტრენინგს ფართო ტექნოლოგიურ მიმართულებებში, რათა პრაქტიკაში ჩართულმა პროფესიონალებმა არა მხოლოდ შეასრულონ უმაღლესი პროფესიული სტანდარტები, არამედ მიიღონ განათლება ახალ ტექნოლოგიებში. ამ მიდგომით, KPMG-ის ფირმები აერთიანებენ შესაბამის ადამიანებს, უნარებსა და მოწინავე ტექნოლოგიებს, რათა უზრუნველყონ ხარისხიანი აუდიტის შესრულება.

## სწავლებისა და განვითარების აქტივობების ფოკუსირება ტექნიკურ გამოცდილებაზე, პროფესიულ უნარ-ჩვევებსა და ლიდერობის შესაძლებლობებზე

KPMG-ში ჩვენ ვცდილობთ განვავითაროთ უწყვეტი სწავლის კულტურა - ჩვენივე სურვილისამებრ უწყვეტად უზრუნველვყოთ სწავლაზე წვდომა - რის შედეგადაც, KPMG-ის პარტნიორები და თანამშრომლები მუდმივად აუმჯობესებენ თავიანთ კომპეტენციებსა და უნარებს, ფუნქციური, ეთიკური და დაჩქარებული სწავლის გზით. შესრულების სრულყოფაზე ორიენტირებული მიდგომით, უწყვეტი სწავლის ეს კულტურა KPMG-ის ფირმებში ადამიანებს აძლევს შესაძლებლობას, დაამკვიდრონ განსხვავებული სტანდარტი, როგორც კლიენტებისთვის, ასევე საკუთარი პროფესიული განვითარებისთვის.

### ტექნიკურ სრულყოფასა და მომსახურების ხარისხზე ორიენტირებული მიდგომა.

ყველა KPMG-ის პროფესიონალს მიეწოდება ტექნიკური ტრენინგი და საჭირო მხარდაჭერა, რათა მათ ეფექტურად შეასრულონ საკუთარი მოვალეობები. ეს მოიცავს როგორც შიდა სპეციალისტებთან წვდომას, ასევე პროფესიული პრაქტიკის დეპარტამენტთან კონსულტაციის შესაძლებლობას.

### უწყვეტი სწავლის სტრატეგია

ჩვენი მისწრაფების შესაბამისად - უწყვეტად უზრუნველვყოთ სწავლაზე წვდომა, KPMG-ის ფირმები ერთგულნი არიან უწყვეტი სწავლების კულტურის განვითარებისადმი, სადაც KPMG-ის პარტნიორები და თანამშრომლები მუდმივად აუმჯობესებენ თავიანთ კომპეტენციებსა და უნარებს ფუნქციური, ეთიკური და დაჩქარებული სწავლების გზით. უწყვეტი სწავლის ხელშეწყობაზე ორიენტირებული მიდგომით, სწავლის კულტურა KPMG-ში თანამშრომლებს აძლევს შესაძლებლობას, შექმნან განსხვავებული სტანდარტი, როგორც კლიენტებისთვის, ასევე საკუთარი პროფესიული განვითარებისათვის.

### ფორმალური სწავლება

ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ განათლება და  კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლება უფრო მნიშვნელოვანი გახადა, ვიდრე ოდესმე. ორგანიზაციის მასშტაბით ჩვენი თანამშრომლებისთვის სწავლისა და კარიერული განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფა KPMG-ის გლობალური ადამიანური რესურსების სტრატეგიის მთავარი საყრდენია.

წლიური ტრენინგის პრიორიტეტები, როგორც განვითარების, ასევე მომსახურების მიმართულებით, განისაზღვრება აუდიტის სწავლებისა და განვითარების ჯგუფების მიერ გლობალურ, რეგიონულ და საჭიროების შემთხვევაში, KPMG-ის ფირმის დონეზე.

KPMG-ის ფირმებში ყოველწლიურად დგინდება მინიმალური სასწავლო მოთხოვნები აუდიტისა და მარწმუნებელ გარიგებებზე მომუშავე თანამშრომლებისთვის. ხელმისაწვდომია აუდიტის კარიერის გზის სახელმძღვანელო (Audit Career Journey Guide), რათა ხელი შეუწყოს კარიერულ მობილობას წევრ ფირმებში. ეს ადამიანებს აძლევს საშუალებას, როგორც ტრადიციული, ასევე ახალი მიმართულებებით გამოიკვლიონ სხვადასხვა კარიერული შესაძლებლობები, აუდიტის, მარწმუნებელი მომსახურებისა და დაკავშირებული ბიზნეს სფეროების ფარგლებში.

KPMG-ის უწყვეტი პროფესიული განვითარების მოთხოვნების შესაბამისად, აუდიტის პროფესიონალებს მოეთხოვებათ განგრძობითი პროფესიული განათლება. აღნიშნულის ფარგლებში, თითოეულ აუდიტორს ყოველწლიურად მინიმუმ 20 საათის და სამწლიანი პერიოდის განმავლობაში, სულ მცირე, 120 საათის დაგროვება ევალება.

ფირმის შიდა მოთხოვნებთან ერთად, საქართველოს კანონმდებლობა აწესებს დამატებით მოთხოვნებს რეგისტრირებული აუდიტორებისთვის, მათ შორის, იმ აუდიტორებისთვის (გარიგების პარტნიორებისთვის), რომლებიც უფლებამოსილნი არიან ჩაატარონ საზოგადოებრივი დაინტერესების პირების ფინანსური ანგარიშგებების აუდიტი. აღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად, აუდიტორი, ვალდებულია, ყოველი 3 უწყვეტი კალენდარული წლის მანძილზე გაიაროს განგრძობითი განათლების სულ მცირე 120 საათი, მათ შორის, თითოეული წლის ჭრილში სულ მცირე, შემოწმებადი 30-საათიანი განგრძობითი  განათლება. განგრძობითი განათლების ჯამურად მოთხოვნილი 120 საათიდან, მინიმუმ 90 საათი  უნდა იყოს  შემოწმებადი.

### უწყვეტი მენტორობა და პრაქტიკული სწავლება

სწავლება არ შემოიფარგლება კონკრეტული მიდგომით. მრავალფეროვანი სასწავლო გამოცდილება ხელმისაწვდომია საჭიროებისამებრ, მენტორობისა და პრაქტიკაში სწავლების საშუალებით და თანხვედრაშია კონკრეტულ თანამდებობასთან დაკავშირებულ სამუშაო აღწერილობასა და სასწავლო გეგმასთან.


შესავალი და წინასიტყვაობა
ხარისხის მართვის სისტემა - ხარისხის საფუძველი
ჩვენს ღირებულებებზე დაფუძნებული კულტურით მოქმედება
გამოცდილების და ცოდნის გამოყენება
ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება
ინკლუზიური და კვალიფიციური გუნდების განვითარება
შესაბამის კლიენტებთან და გარიგებებთან ასოცირება
დამოუკიდებლობა და ეთიკა
გარიგებების ხარისხიანად შესრულება
ხარისხთან დაკავშირებული რისკების შეფასება
მონიტორინგი და გამოსწორება
ეფექტური კომუნიკაცია
მმართველობა და ლიდერობა
განცხადება ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის შესახებ
დანართები


© 2026 შპს KPMG Georgia, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited. ყველა უფლება დაცულია.

მენტორობა და სამუშაო პროცესში მიღებული გამოცდილება მნიშვნელოვან როლს ასრულებს იმ პიროვნული თვისებების განვითარებაში, რომლებიც აუცილებელია აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების სფეროში წარმატებული კარიერისთვის, მათ შორის, ისეთ თვისებებს, როგორიცაა პროფესიული განსჯა, ტექნიკური სიძლიერე და პროფესიული ინტუიცია.

KPMG-ის ფირმები ხელს უწყობენ უწყვეტი სწავლების გარემოს, სადაც პარტნიორები და თანამშრომლები მონაწილეობენ გუნდის შესაძლებლობების განვითარებაში და მითითებების, ხელმძღვანელობისა და შესრულებული სამუშაოს შემოწმების პარალელურად, ასწავლიან და უზიარებენ მათ გამოცდილებას.

## ხარისხის მნიშვნელობის აღიარება

### პიროვნული განვითარება

KPMG-ის მიდგომა სამუშაოს შესრულების გაუმჯობესების მიმართ, ცნობილი როგორც Open Performance Development, დაფუძნებულია Everyone a Leader (ყველა ლიდერია) პრინციპებზე, რომელსაც ემატება გლობალური, აუდიტის ძირეული ტექნიკური კომპეტენციები (global audit technical core competencies), იმისათვის, რომ შეიქმნას მოლოდინების კომპლექსური ხედვა იმ პირებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ აუდიტისა და მარწმუნებელ გარიგებებში. სამუშაოს შესრულების გაუმჯობესების მიდგომა მოიცავს:

- აუდიტის ხარისხის როლის აღწერილობას (მათ შორის, აუდიტის ხარისხის პასუხისმგებლობები და მოვალეობები);
- მიზნების კრებულს (მათ შორის სავალდებულო აუდიტის ხარისხის მიზანი, რომელიც ეხება აუდიტის როლის აღწერილობის შესაბამის ყველა ადამიანს და ასევე, დამატებითი, აუდიტის ხარისხის არჩევითი შინაარსი);
- სტანდარტიზებული შემოწმების ფორმებს (აუდიტის ხარისხის შეფასების შესაძლებლობით).

Open Performance Development დაკავშირებულია KPMG-ის ღირებულებებთან და შექმნილია იმისთვის, რომ მკაფიოდ ჩამოაყალიბოს წარმატებისთვის საჭირო მოთხოვნები - როგორც ინდივიდუალურად, ასევე კოლექტიურად. ჩვენ ვიცით, რომ თუ ვიქნებით მკაფიო და თანმიმდევრული იმ ქცევებისა და კომპეტენციების მიმართ, რასაც ველით და წავახალისებთ მათ, ვინც ამ თვისებებს ავლენს, ჩვენ შეგვეძლება გავაგრძელოთ მტკიცე ფოკუსირება ხარისხზე.

ამავდროულად, KPMG ახორციელებს ცვლილებას შესრულებაზე ორიენტირებულ კულტურაში, რომელსაც მხარს უჭერს და რეალობად აქცევს KPMG International-ის მიერ ხელმისაწვდომი მოწინავე ტექნოლოგია. ეს საშუალებას გვაძლევს ჩავრთოთ აუდიტის ხარისხი შესრულებული სამუშაოს შეფასების პროცესსა და კომპენსაციის გაცემის გადაწყვეტილებებში, ასევე უზრუნველვყოთ თანმიმდევრულობა გლობალურ ორგანიზაციაში.

პარტნიორების, დირექტორებისა და მენეჯერების საერთო შესრულების შეფასებაში, დაწინაურებასა და ანაზღაურებაში გათვალისწინებულია ხარისხისა და შესაბამისობის მაჩვენებლები. აღნიშნული შეფასებები ტარდება შესრულების მენეჯერებისა და პარტნიორების მიერ, რომლებსაც აქვთ აღნიშნული შეფასების შესაძლებლობა.


შესავალი და წინასიტყვაობა
ხარისხის მართვის სისტემა - ხარისხის საფუძველი
ჩვენს ღირებულებებზე დაფუძნებული კულტურით მოქმედება
გამოცდილების და ცოდნის გამოყენება
ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება
ინკლუზიური და კვალიფიციური გუნდების განვითარება
შესაბამის კლიენტებთან და გარიგებებთან ასოცირება
დამოუკიდებლობა და ეთიკა
გარიგებების ხარისხიანად შესრულება
ხარისხთან დაკავშირებული რისკების შეფასება
მონიტორინგი და გამოსწორება
ეფექტური კომუნიკაცია
მმართველობა და ლიდერობა
განცხადება ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის შესახებ
დანართები


© 2026 შპს KPMG Georgia, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited. ყველა უფლება დაცულია.




# შესაბამის კლიენტებთან და გარიგებებთან ასოცირება

- **კლიენტების მიღებისა და თანამშრომლობის გაგრძელების გლობალური პოლიტიკა**
- **შესაფერის კლიენტებსა და გარიგებებზე დათანხმება**
- **კლიენტებთან ურთიერთობის პორტფელის მართვა**

კლიენტების მიღებისა და თანამშრომლობის გაგრძელების გლობალური პოლიტიკა უმნიშვნელოვანესია მაღალი ხარისხის პროფესიული მომსახურების უზრუნველსაყოფად.

## კლიენტების მიღებისა და თანამშრომლობის გაგრძელების გლობალური პოლიტიკები

KPMG International-ის გლობალური კლიენტების მიღებისა და თანამშრომლობის გაგრძელების პოლიტიკები და პროცესები შექმნილია იმისთვის, რომ დაეხმაროს KPMG-ის ფირმებს შესაძლო რისკების იდენტიფიცირებასა და შეფასებაში, კლიენტთან ურთიერთობის დაწყებამდე ან გაგრძელებამდე, ან კონკრეტული გარიგების შესრულებამდე.

თითოეული KPMG-ის ფირმა აფასებს, დაიწყოს/გააგრძელოს თუ არა კლიენტთან ურთიერთობა, ან შეასრულოს თუ არა კონკრეტული გარიგება.

KPMG-ის კლიენტებისა და გარიგებების პრინციპები, ACCEPT, ხელს უწყობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში იმის განსაზღვრას, თუ რომელ კლიენტებს მიიღებს KPMG-ის ფირმები და რა სამუშაოს შეასრულებენ მათთვის. ACCEPT პრინციპები ხელმისაწვდომია KPMG-ის ფირმებისთვის და აღნიშნულ პრინციპებს შეუძლია ხელი შეუწყოს

© 2026 შპს KPMG Georgia, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited. ყველა უფლება დაცულია.



შესავალი და წინასიტყვაობა
ხარისხის მართვის სისტემა - ხარისხის საფუძველი
ჩვენს ღირებულებებზე დაფუძნებული კულტურით მოქმედება
გამოცდილების და ცოდნის გამოყენება
ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება
ინკლუზიური და კვალიფიციური გუნდების განვითარება
შესაბამის კლიენტებთან და გარიგებებთან ასოცირება
დამოუკიდებლობა და ეთიკა
გარიგებების ხარისხიანად შესრულება
ხარისხთან დაკავშირებული რისკების შეფასება
მონიტორინგი და გამოსწორება
ეფექტური კომუნიკაცია
მმართველობა და ლიდერობა
განცხადება ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის შესახებ
დანართები

კლიენტთან და გარიგებასთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირებას, შეფასებასა და მართვას.

ACCEPT უზრუნველყოფს ეთიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესს და მხარს უჭერს ჩვენს გლობალურ CARE ეთიკური გადაწყვეტილებების ჩარჩოს. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის ან გარიგებაზე დათანხმების (ან გაგრძელების) გადაწყვეტილება უკავშირდება მნიშვნელოვან რისკს, საჭიროა დამატებითი დასტურების მოპოვება.

## ACCEPT-ის თითოეული ასო გვაძლევს საშუალებას განვიხილოთ შემდეგი:

**A** — **ყველა დაინტერესებული მხარე მნიშვნელოვანია:**
შესაძლებელია თუ არა, რომ კლიენტმა (ან ორგანიზაციამ) და/ან გარიგებამ დააზიანოს დაინტერესებული მხარეების ნდობა?

**C** — **ინტერესთა კონფლიქტი და ობიექტურობა:**
არსებობს ობიექტურობის, დამოუკიდებლობის ან შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის რისკი?

**C** — **კლიენტთან (ან ორგანიზაციასთან) დაკავშირებული საკითხები:**
გვსურს თუ არა მათთან თანამშრომლობა?

**E** — **გარიგებასთან დაკავშირებული საკითხები:**
შეგვიძლია თუ არა წარმატებით მივაწოდოთ პროდუქტი ან მომსახურება?

**P** — **საზოგადოების ინტერესები:**
შეესაბამება თუ არა კლიენტი (ორგანიზაცია) და/ან გარიგება საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას?

**T** — **პირობები და კომერციული ასპექტები:**
შეგვიძლია თუ არა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება და ფინანსური შედეგების მართვა?

ACCEPT-ის თითოეული ასო გვანიშნებს, რომ განვიხილოთ შემდეგი ფაქტორები:

## შესაფერის კლიენტებსა და გარიგებებზე დათანხმება

### კლიენტის შეფასება

KPMG-ის ფირმების მიერ პოტენციური კლიენტის შეფასება მოიცავს კლიენტის რისკ-პროფილისა და მისი ისტორიული ინფორმაციის, ასევე, მისი ძირითადი მენეჯმენტის, დირექტორებისა და მფლობელების შესახებ ინფორმაციის ანალიზს. საჭიროების შემთხვევაში, შეფასებას ექვემდებარება დამატებითი ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია მოქმედი სამართლებრივი/მარეგულირებელი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

### გარიგების შეფასება

KPMG-ის ფირმები თითოეული პოტენციური გარიგების შეფასებისას ითვალისწინებენ სხვადასხვა ფაქტორებს, მათ შორის:

- პოტენციური დამოუკიდებლობისა და ინტერესთა კონფლიქტის საკითხები.
- გარიგების შედეგების მიზნობრივი დანიშნულება და გამოყენება.
- საზოგადოების დამოკიდებულება.
- იქნება თუ არა მომსახურება შეუსაბამო ჩვენს ღირებულებებთან და ეთიკის პრინციპებთან.

გარდა ამისა, აუდიტისა და მარწმუნებელი გარიგებების შეფასება მოიცავს კლიენტის ფინანსური მენეჯმენტის გუნდის კომპეტენციის და ასევე, KPMG-ის თანამშრომლების უნარების, გამოცდილებისა და შესაძლებლობების შეფასებას. იმ შემთხვევაში, როდესაც KPMG-ის ფირმა პირველად


შესავალი და წინასიტყვაობა
ხარისხის მართვის სისტემა - ხარისხის საფუძველი
ჩვენს ღირებულებებზე დაფუძნებული კულტურით მოქმედება
გამოცდილების და ცოდნის გამოყენება
ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება
ინკლუზიური და კვალიფიციური გუნდების განვითარება
შესაბამის კლიენტებთან და გარიგებებთან ასოცირება
დამოუკიდებლობა და ეთიკა
გარიგებების ხარისხიანად შესრულება
ხარისხთან დაკავშირებული რისკების შეფასება
მონიტორინგი და გამოსწორება
ეფექტური კომუნიკაცია
მმართველობა და ლიდერობა
განცხადება ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის შესახებ
დანართები


© 2026 შპს KPMG Georgia, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited. ყველა უფლება დაცულია.

ახორციელებს აუდიტს, ტარდება დამოუკიდებლობის დამატებითი შეფასების პროცედურები, მათ შორის კლიენტისთვის მიწოდებული არააუდიტორული მომსახურებების გადახედვა და ასევე, სხვა ბიზნეს, ფინანსური და პირადი ურთიერთობების შეფასება.

დამოუკიდებლობის მსგავსი შეფასებები ტარდება მაშინაც, როდესაც არსებული აუდიტისა და მარწმუნებელი გარიგების კლიენტი ხდება საზოგადოებრივი დაინტერესების პირი, ან როდესაც კლიენტის გარემოებების ცვლილების შედეგად ჩნდება დამატებითი შეზღუდვები დამოუკიდებლობასთან მიმართებით.

დამოუკიდებლობასა და ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული ნებისმიერი შესაძლო საკითხი უნდა იყოს დოკუმენტირებული და გადაწყვეტილი გარიგებაზე დათანხმებამდე.

პოტენციური კლიენტი ან გარიგება არ იქნება მიღებული, თუ დამოუკიდებლობის ან ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული საკითხი ვერ გადაწყდება პროფესიული სტანდარტებისა და ჩვენი პოლიტიკების შესაბამისად, ან თუ არსებობს ხარისხსა და რისკებთან დაკავშირებული სხვა საკითხები, რომლებიც ვერ იქნება სათანადოდ გადაჭრილი.

### თანამშრომლობის გაგრძელების პროცესი

KPMG-ის ფირმები რეგულარულად ახორციელებენ ყველა აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების კლიენტის ხელახალ შეფასებას, რათა გამოავლინონ თანამშრომლობის გაგრძელებასთან დაკავშირებული რისკები და განსაზღვრონ მათი მოგვარების საჭირო პროცედურები.

ამასთანავე, კლიენტები და გარიგებები ექვემდებარება ხელახალ შეფასებას იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მინიშნება, რომ შესაძლოა შეიცვალოს რისკის პროფილი.

### თანამშრომლობის შეწყვეტის პროცესი

იმ შემთხვევაში თუ KPMG-ის ფირმის წინასწარი შეფასებით სახეზეა გარიგების ან კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი, ფირმამ უნდა გაიაროს შიდა კონსულტაცია და დააიდენტიფიციროს ყველა სამართლებრივი, პროფესიული და მარეგულირებელი ვალდებულება, რომლებიც უკავშირდება ამ ურთიერთობას. ფირმამ ასევე უნდა გაითვალისწინოს, მართვაზე პასუხისმგებელ ან სხვა შესაბამის პირებთან შემდგომი კომუნიკაციის საკითხი, პროფესიული ვალდებულებებიდან გამომდინარე.

## კლიენტების პორტფელის მართვა

KPMG International-ს და KPMG-ის ფირმებს აქვთ პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც საშუალებას აძლევს ფირმას მონიტორინგი გაუწიოს გარიგების პარტნიორების, მენეჯერებისა და თანამშრომლების სამუშაო დატვირთულობას და ხელმისაწვდომობას, რათა მათ ჰქონდეთ საკმარისი დრო თავიანთი ვალდებულებების შესასრულებლად.

გარიგების პარტნიორები პასუხისმგებელნი არიან უზრუნველყონ, რომ გარიგების გუნდის წევრებს ერთობლივად ჰქონდეთ შესაბამისი კომპეტენცია და შესაძლებლობები, მათ შორის საკმარისი დრო, რათა წარმატებით შეასრულონ გარიგება პროფესიული სტანდარტებისა და მოქმედი სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ამ ანგარიშის სექცია „შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე გუნდების ფორმირება“.

შესავალი და წინასიტყვაობა
ხარისხის მართვის სისტემა - ხარისხის საფუძველი
ჩვენს ღირებულებებზე დაფუძნებული კულტურით მოქმედება
გამოცდილების და ცოდნის გამოყენება
ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება
ინკლუზიური და კვალიფიციური გუნდების განვითარება
შესაბამის კლიენტებთან და გარიგებებთან ასოცირება
დამოუკიდებლობა და ეთიკა
გარიგებების ხარისხიანად შესრულება
ხარისხთან დაკავშირებული რისკების შეფასება
მონიტორინგი და გამოსწორება
ეფექტური კომუნიკაცია
მმართველობა და ლიდერობა
განცხადება ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის შესახებ
დანართები

© 2026 შპს KPMG Georgia, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited. ყველა უფლება დაცულია.




# დამოუკიდებლობა და ეთიკა

- **კეთილსინდისიერად მოქმედება და ჩვენი ღირებულებების დაცვა**
- **ობიექტურობის, დამოუკიდებლობის და ეთიკურობის შენარჩუნება ჩვენი ქცევის კოდექსისა და პოლიტიკის შესაბამისად**
- **ნულოვანი ტოლერანტობა ქრთამისა და კორუფციის მიმართ**

აუდიტორის დამოუკიდებლობა წარმოადგენს საერთაშორისო პროფესიული სტანდარტებისა და მარეგულირებელი მოთხოვნების ქვაკუთხედს.

## კეთილსინდისიერად მოქმედება და ჩვენი ღირებულებების დაცვა

ჩვენ ვიცით, რომ ნდობა მიიღწევა სწორი ქმედებით. KPMG-ში ჩვენ ვხელმძღვანელობთ პროფესიული ქცევის უმაღლესი სტანდარტებით, ყველა ჩვენს საქმიანობაში, გლობალური ორგანიზაციის მასშტაბით. ეთიკა და კეთილსინდისიერება ჩვენი საქმიანობის მთავარი საფუძველია. KPMG-ის თანამშრომლების პასუხისმგებლობებს ერთმანეთის, კლიენტებისა და საზოგადოების მიმართ განსაზღვრავს ჩვენი ქცევის კოდექსი. ეს აჩვენებს, თუ როგორ შთააგონებს ჩვენი ღირებულებები ჩვენს მთავარ მისწრაფებებს და წარმართავს ჩვენს ქცევასა და მოქმედებებს. KPMG-ის ფირმები, გლობალურ დონეზე, ყოველწლიურად ატარებენ ტრენინგს ყველა პარტნიორისა და თანამშრომლისთვის, მექრთამეობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის, ასევე კანონების, რეგულაციებისა და პროფესიული სტანდარტების დაცვის შესახებ.


შესავალი და წინასიტყვაობა
ხარისხის მართვის სისტემა - ხარისხის საფუძველი
ჩვენს ღირებულებებზე დაფუძნებული კულტურით მოქმედება
გამოცდილების და ცოდნის გამოყენება
ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება
ინკლუზიური და კვალიფიციური გუნდების განვითარება
შესაბამის კლიენტებთან და გარიგებებთან ასოცირება
დამოუკიდებლობა და ეთიკა
გარიგებების ხარისხიანად შესრულება
ხარისხთან დაკავშირებული რისკების შეფასება
მონიტორინგი და გამოსწორება
ეფექტური კომუნიკაცია
მმართველობა და ლიდერობა
განცხადება ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის შესახებ
დანართები



© 2026 შპს KPMG Georgia, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited. ყველა უფლება დაცულია.

## ეთიკური კულტურის დამკვიდრება

კულტურა, რომელიც ემყარება კეთილსინდისიერებას, ანგარიშვალდებულებას, ხარისხს, ობიექტურობას, დამოუკიდებლობას და ეთიკას, აუცილებელია იმ ორგანიზაციაში, რომელიც ახორციელებს აუდიტს, მარწმუნებელ და სხვა პროფესიულ მომსახურებებს, რომელთაც ეყრდნობიან დაინტერესებული მხარეები. ეთიკური ქცევის თანმიმდევრული ელემენტები KPMG-ში უზრუნველყოფს ეთიკური კულტურის განვითარებას და ნდობის გამყარებას. KPMG-ის ფირმები შეთანხმდნენ ეთიკური ქცევის საფუძვლის შექმნასა და შენარჩუნებაზე, მათ შორის ტრენინგების შეფასების მონიტორინგსა და ეთიკური გადაწყვეტილების მიღების ჩარჩოს დანერგვაზე.

KPMG-ის ეთიკური გადაწყვეტილების მიღების ჩარჩო CARE (განიხილე, შეაფასე, უპასუხე, განვითარდი) მიზნად ისახავს ნდობის შექმნასა და განმტკიცებას და მხარს უჭერს ჩვენს მიზნებს, ღირებულებებსა და ქცევის კოდექსს. CARE მოდელი, რომელიც გამოიყენება მთელი ორგანიზაციის მასშტაბით, KPMG-ის თანამშრომლებს აძლევს შესაძლებლობას მიიღონ ეთიკური გადაწყვეტილებები რთულ სიტუაციებში, ან ეთიკურ დილემებში და ასევე ახსენებს მათ, რომ ასეთი გადაწყვეტილებების მიღება მარტო არ უწევთ.

# CARE

### ეთიკური გადაწყვეტილების მიღების ჩარჩო

**განიხილე**
რაშია პრობლემა

**შეაფასე**
სიტუაციის მოგვარების შესაძლო გზები

**უპასუხე**
საკითხის გადაწყვეტით

**განვითარდი**
და გააანალიზე

## ობიექტურობის, დამოუკიდებლობის და ეთიკურობის შენარჩუნება

IESBA-ის ეთიკის კოდექსი ინტეგრირებულია KPMG International-ის დამოუკიდებლობის პოლიტიკასა და პროცედურებში, რომლებიც მოიცავს ფირმისა და თანამშრომლების დამოუკიდებლობას, ფინანსურ ურთიერთობებს, შრომით ურთიერთობებს, პარტნიორების როტაციას და აუდიტორული/არააუდიტორული მომსახურებების დადასტურებას.

KPMG-ის ფირმები შეიმუშავებენ დამატებით პოლიტიკებს, რათა შეესაბამებოდნენ ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების მიერ დადგენილ სტანდარტებს.

ჩვენი რისკების მართვის, ეთიკისა და დამოუკიდებლობის პარტნიორი პასუხისმგებელია KPMG-ის პოლიტიკებისა და პროცედურების გავრცელებასა და განხორციელებაზე, ასევე დამატებითი ადგილობრივი დამოუკიდებლობის პოლიტიკებისა და პროცედურების, მათ შორის შესაბამისი კონტროლების შექმნასა და ეფექტურ განხორციელებაზე.

ავტომატიზებული ინსტრუმენტები უზრუნველყოფს დამოუკიდებლობისა და ინტერესთა კონფლიქტის საკითხების დროულ იდენტიფიცირებას და განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობას. KPMG-ის ფირმების დამოუკიდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობა წარმოადგენს KPMG-ის ხარისხისა და შესაბამისობის შეფასების (KQCE) პროგრამის ნაწილს.


შესავალი და წინასიტყვაობა
ხარისხის მართვის სისტემა - ხარისხის საფუძველი
ჩვენს ღირებულებებზე დაფუძნებული კულტურით მოქმედება
გამოცდილების და ცოდნის გამოყენება
ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება
ინკლუზიური და კვალიფიციური გუნდების განვითარება
შესაბამის კლიენტებთან და გარიგებებთან ასოცირება
დამოუკიდებლობა და ეთიკა
გარიგებების ხარისხიანად შესრულება
ხარისხთან დაკავშირებული რისკების შეფასება
მონიტორინგი და გამოსწორება
ეფექტური კომუნიკაცია
მმართველობა და ლიდერობა
განცხადება ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის შესახებ
დანართები


© 2026 შპს KPMG Georgia, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited. ყველა უფლება დაცულია.

## პირადი ფინანსური დამოუკიდებლობა

KPMG-ის ფირმები და თანამშრომლები ვალდებულნი არიან, არ ჰქონდეთ აკრძალული ფინანსური ინტერესები და აკრძალული ფინანსური ურთიერთობები KPMG-ის აუდიტისა და მარწმუნებელი გარიგებების კლიენტებთან (აუდიტის კლიენტი მოიცავს მის დაკავშირებულ სუბიექტებს და აფილირებულ კომპანიებს), მათ მენეჯმენტთან, დირექტორებთან და საჭიროების შემთხვევაში, მნიშვნელოვანი ოდენობის წილის მფლობელებთან. KPMG-ის ყველა პარტნიორს, ფირმის ან საქმიანობის მიმართულების მიუხედავად, აკრძალული აქვს ფლობდეს KPMG-ის ნებისმიერი ფირმის აუდიტის კლიენტის ფასიან ქაღალდებს.

KPMG-ის ფირმები იყენებენ დამოუკიდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის ონლაინ სისტემას, რომელიც KPMG-ის თანამშრომლებს ეხმარება პირადი დამოუკიდებლობის საინვესტიციო პოლიტიკების დაცვაში. აღნიშნული სისტემა აკონტროლებს პროცესს აკრძალული ინვესტიციებისა და სხვა შეუსაბამო ქმედებების გამოვლენითა და ანგარიშგებით, მათ შორის ინვესტიციის შეძენის დაგვიანებული რეგისტრირების შემთხვევებში.

KPMG-ის ფირმები დამოუკიდებლობის შესაბამისობის აუდიტის პროცესში აკვირდებიან, თუ რამდენად იცავენ პარტნიორები და მენეჯერები აღნიშნულ მოთხოვნას. KPMG International ადგენს სახელმძღვანელო მითითებებსა და სავალდებულო პროცედურებს, რომლებიც KPMG-ის ფირმებს საშუალებას აძლევს განახორციელონ თანამშრომელთა პირადი შესაბამისობის აუდიტი და შემოწმება KPMG-ის დამოუკიდებლობის პოლიტიკებთან მიმართებით. აღნიშნული მოიცავს შერჩევის კრიტერიუმებს, მათ შორის წლის განმავლობაში შესამოწმებელი თანამშრომლების მინიმალურ ოდენობას.

2025 წელს KPMG CCA-ის 60-ზე მეტი პარტნიორი და თანამშრომელი, მათ შორის KPMG Georgia-ს 6 წარმომადგენელი, დაექვემდებარა აღნიშნულ აუდიტს (რაც მოიცავდა KPMG CCA-ის პარტნიორების დაახლოებით 30%-ს).

## შრომითი ურთიერთობები

KPMG-ის ნებისმიერი თანამშრომელი, რომელიც მომსახურებას უწევს აუდიტის ან მარწმუნებელი გარიგების კლიენტს, მისი ფუნქციის მიუხედავად, ვალდებულია აცნობოს KPMG-ის ფირმის რისკების მართვის პარტნიორს (RMP), თუ იგი აპირებს დასაქმების თაობაზე კლიენტთან მოლაპარაკებების დაწყებას. პარტნიორებთან მიმართებით ეს მოთხოვნა ფართოვდება და ვრცელდება KPMG-ის ნებისმიერი ფირმის იმ აუდიტის კლიენტებზე, რომლებიც საზოგადოებრივი დაინტერესების პირებს წარმოადგენენ. აუდიტისა და მარწმუნებელი გარიგების კლიენტებთან გარკვეულ პოზიციებზე დასაქმებას შეიძლება ეხებოდეს კონკრეტული აკრძალვები და ზოგიერთ შემთხვევაში, „მოცდის“ (cooling-off) პერიოდები.

## ფირმის ფინანსური დამოუკიდებლობა

KPMG-ის ფირმებს ასევე მოეთხოვებათ, არ ჰქონდეთ აკრძალული ფინანსური ინტერესები ან აკრძალული ურთიერთობები აუდიტის კლიენტებთან, მათ მენეჯმენტთან, დირექტორებთან და საჭიროების შემთხვევაში, მნიშვნელოვანი ოდენობის წილის მფლობელებთან. KPMG-ის დამოუკიდებლობის შესაბამისობის სისტემა აღრიცხავს პირდაპირ და მნიშვნელოვან არაპირდაპირ ინვესტიციებს როგორც საჯარო, ასევე არასაჯარო კომპანიებსა და ფონდებში (ან მსგავს საინვესტიციო ინსტრუმენტებში). აღნიშნული მოიცავს საპენსიო და თანამშრომელთა უზრუნველყოფის გეგმასთან დაკავშირებულ ინვესტიციებსაც.

ასევე, უნდა აღირიცხოს KPMG-ის ფირმების სასესხო და კაპიტალის დაფინანსების ურთიერთობები, ისევე, როგორც კასტოდიური, ტრასტული და ბროკერული ანგარიშები, რომლებიც ფლობენ წევრი ფირმების აქტივებს.

KQCE პროგრამის ფარგლებში, ჩვენ ყოველწლიურად ვადასტურებთ დამოუკიდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობას.

## საქმიანი ურთიერთობები/მომწოდებლები

KPMG-ს გააჩნია პოლიტიკები და პროცედურები, რომლებიც შექმნილია იმისთვის, რომ უზრუნველყოს საქმიანი ურთიერთობები აუდიტისა და მარწმუნებელი გარიგების კლიენტებთან IESBA-ის ეთიკის კოდექსისა და სხვა შესაბამისი დამოუკიდებლობის მოთხოვნების (როგორიცაა აშშ-ის ფასიანი ქაღალდების და ბირჟის კომისიის (SEC) რეგულაციები) შესაბამისად.

## ბიზნესის გაფართოება, წევრობის მიღება და ინვესტიციები

ბიზნესის ნებისმიერი შეძენა ან ინვესტიცია მოითხოვს სათანადო კომპლექსურ შემოწმებას (due diligence), რათა გარიგების დასრულებამდე გამოვლინდეს და აღმოიფხვრას დამოუკიდებლობასთან და რისკების მართვასთან დაკავშირებული შესაძლო საკითხები. KPMG ფირმაში და გლობალურ ორგანიზაციაში ბიზნესის ინტეგრირების პროცესში, სავალდებულოა კონსულტაციები KPMG International-თან, რათა გადაწყდეს დამოუკიდებლობასთან და სხვა თემებთან დაკავშირებული საკითხები.

## დამოუკიდებლობის ტრენინგი და დადასტურებები

KPMG-ის ყველა პარტნიორი და კლიენტთან მომსახურების გამწევი თანამშრომელი, ასევე გარკვეული სხვა პირებიც, ვალდებულნი არიან KPMG-ში დასაქმებისთანავე და შემდგომ ყოველწლიურად, გაიარონ დამოუკიდებლობის ტრენინგი და ასევე, ყოველწლიურად დაადასტურონ დამოუკიდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობა.


შესავალი და წინასიტყვაობა

ხარისხის მართვის სისტემა - ხარისხის საფუძველი

ჩვენს ღირებულებებზე დაფუძნებული კულტურით მოქმედება

გამოცდილების და ცოდნის გამოყენება

ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება

ინკლუზიური და კვალიფიციური გუნდების განვითარება

შესაბამის კლიენტებთან და გარიგებებთან ასოცირება

დამოუკიდებლობა და ეთიკა

გარიგებების ხარისხიანად შესრულება

ხარისხთან დაკავშირებული რისკების შეფასება

მონიტორინგი და გამოსწორება

ეფექტური კომუნიკაცია

მმართველობა და ლიდერობა

განცხადება ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის შესახებ

დანართები


© 2026 შპს KPMG Georgia, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited. ყველა უფლება დაცულია.

## არააუდიტორული მომსახურება

KPMG-ის ყველა ფირმა შეთანხმდა, რომ დაიცვას IESBA-ის ეთიკის კოდექსით და შესაბამისი კანონებით/რეგულაციებით განსაზღვრული მოთხოვნები, რომლებიც ეხება აუდიტის კლიენტებისთვის გასაწევ სხვა მომსახურების ფარგლებს.

KPMG-ის ფირმებს დამოუკიდებლობის მოთხოვნების დაცვაში ხელს უწყობს ინტერესთა კონფლიქტებისა და დამოუკიდებლობის შემოწმების KPMG-ის სავალდებულო სისტემა. გარიგების დათანხმების პროცესში, სისტემაში უნდა აისახოს ყველა პოტენციური გარიგების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის მისი აღწერა, მოსალოდნელი შედეგები და სავარაუდო ღირებულება. აუდიტის კლიენტთან დაკავშირებული გარიგების შემთხვევაში, დამატებით საჭიროა დამოუკიდებლობის საფრთხეების და დაცვის მექანიზმების შეფასება.

საზოგადოებრივი დაინტერესების პირებისა და ზოგიერთი სხვა აუდიტის კლიენტის შემთხვევაში, აუდიტის წამყვან პარტნიორებს ევალებათ აღნიშნული კლიენტებისა და მათთან დაკავშირებული კომპანიების ჯგუფური სტრუქტურების აღრიცხვა. ისინი ასევე პასუხისმგებელნი არიან შესაძლო დამოუკიდებლობის საფრთხეების გამოვლენასა და შეფასებაზე, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას შემოთავაზებული არააუდიტორული მომსახურების გაწევისას და იმ დაცვის მექანიზმებზე, რომლებიც ამ საფრთხეების შესამცირებლად არსებობს.

KPMG-ის ფირმებს ეკრძალებათ აუდიტის პარტნიორების შეფასება ან ანაზღაურება მათი აუდიტის კლიენტებისთვის არააუდიტორული მომსახურებების გაწევასთან დაკავშირებით.

## მომსახურების ღირებულებაზე დამოკიდებულება

KPMG-ის ფირმები ვალდებულნი არიან აკონტროლონ საზოგადოებრივი დაინტერესების პირის სტატუსის მქონე აუდიტის კლიენტებისგან მიღებული ჯამური საფასური და საჭიროების შემთხვევაში აწარმოონ კონსულტაციები, კომუნიკაციები და შეასრულონ ინფორმირების ვალდებულება, თუ აღნიშნული საფასური გადააჭარბებს განსაზღვრულ ლიმიტს.

## ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება

KPMG-ის ყველა ფირმა და თანამშრომელი პასუხისმგებელია ინტერესთა კონფლიქტების იდენტიფიცირებასა და მართვაზე, ისეთ გარემოებებთან ან სიტუაციებთან დაკავშირებით, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეს, ან აღიქმებოდეს, რომ აქვთ გავლენა KPMG-ის ფირმის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობაზე.

KPMG-ის ფირმები იყენებენ ინტერესთა კონფლიქტებისა და დამოუკიდებლობის შემოწმების სავალდებულო სისტემას, რათა მოხდეს შესაძლო კონფლიქტების იდენტიფიცირება და მათი მოგვარება კანონმდებლობისა და პროფესიული მოთხოვნების შესაბამისად.

KPMG-ის თანამშრომლებსა და ფირმებს ეკრძალებათ ქრთამის ან საჩუქრების შეთავაზება ან მიღება აუდიტისა და მარწმუნებელი გარიგების კლიენტებისგან, გარდა შემთხვევებისა, როდესაც მათი ღირებულება უმნიშვნელო და არაარსებითია.

## დამოუკიდებლობის მოთხოვნების დარღვევები

KPMG-ის თანამშრომლებს მოეთხოვებათ დამოუკიდებლობის მოთხოვნების დარღვევის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობონ შესაბამის KPMG ფირმას, როგორც კი ამის შესახებ შეიტყობენ. IESBA-ის ეთიკის კოდექსის ან სხვა დამატებითი დამოუკიდებლობის მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს ინფორმაციის მიწოდება მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის, თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი დარღვევებისთვის არ არის შეთანხმებული განსხვავებული ვადები.

დამოუკიდებლობის პოლიტიკის დარღვევებთან დაკავშირებით, KPMG-ის ფირმებს აქვთ დისციპლინური პოლიტიკა, რომელიც დარღვევის სიმძიმის მიხედვით განსაზღვრავს შესაბამის სანქციებს.

## პარტნიორისა და ფირმის როტაცია

### პარტნიორის როტაცია

KPMG-ის ფირმის პარტნიორები აუდიტის კლიენტებთან ექვემდებარებიან პერიოდულ როტაციას. რეგულაციები განსაზღვრავს მაქსიმალურ ვადას, რომლის განმავლობაში პარტნიორებს კონკრეტულ როლში შეუძლიათ აუდიტის მომსახურების გაწევა კონკრეტული კლიენტისთვის. ამის შემდეგ დგება „შესვენების“ (time-out) პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ისინი შეზღუდულნი არიან ამავე როლების შესრულებაში.

© 2026 შპს KPMG Georgia, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited. ყველა უფლება დაცულია.



შესავალი და წინასიტყვაობა
ხარისხის მართვის სისტემა - ხარისხის საფუძველი
ჩვენს ღირებულებებზე დაფუძნებული კულტურით მოქმედება
გამოცდილების და ცოდნის გამოყენება
ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება
ინკლუზიური და კვალიფიციური გუნდების განვითარება
შესაბამის კლიენტებთან და გარიგებებთან ასოცირება
დამოუკიდებლობა და ეთიკა
გარიგებების ხარისხიანად შესრულება
ხარისხთან დაკავშირებული რისკების შეფასება
მონიტორინგი და გამოსწორება
ეფექტური კომუნიკაცია
მმართველობა და ლიდერობა
განცხადება ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის შესახებ
დანართები

### ფირმის როტაცია

ზოგიერთ იურისდიქციაში KPMG-ის ფირმებს მხოლოდ განსაზღვრული ვადის განმავლობაში შეუძლიათ იყვნენ კონკრეტული აუდიტის კლიენტის აუდიტორები. ამ ვადის გასვლის შემდეგ ისინი ვალდებულნი არიან გარკვეული პერიოდით შეწყვიტონ მომსახურება, როგორც კლიენტის აუდიტორებმა. აღნიშნულ იურისდიქციებში, KPMG-ის ფირმებს მოეთხოვებათ, რომ ჰქონდეთ პროცესები, რომლებიც უზრუნველყოფს აუდიტორული ფირმის როტაციის მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგსა და მართვას.

აუდიტის მარეგულირებელი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, KPMG Georgia LLC, როგორც აუდიტორული ფირმა, ექვემდებარება ფირმის როტაციის მოთხოვნებს. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, საზოგადოებრივი დაინტერესების პირის აუდიტის ჩატარების ვადა უწყვეტ 10 წელს არ უნდა აღემატებოდეს. აუდიტორულმა ფირმამ, ასევე უნდა უზრუნველყოს გარიგების პარტნიორისა და სხვა საკვანძო პერსონალის შიდა როტაცია არანაკლებ 7 წელიწადში ერთხელ, თითოეული საზოგადოებრივი დაინტერესების პირის მიმართ, რომელსაც ის ემსახურება. თუ კონკრეტულ სფეროში არსებული კანონმდებლობა განსაზღვრავს განსხვავებულ ან დამატებით როტაციის მოთხოვნებს, KPMG Georgia მათაც ითვალისწინებს, რათა უზრუნველყოს სრული შესაბამისობა მოქმედ წესებთან.

## ნულოვანი ტოლერანტობა ქრთამისა და კორუფციის მიმართ

ჩვენ გვაქვს ნულოვანი ტოლერანტობა ქრთამისა და კორუფციის მიმართ.

KPMG-ის თანამშრომლები ვალდებულნი არიან გაიარონ ტრენინგი, რომელიც მოიცავს ქრთამისა და კორუფციის წინააღმდეგ მოქმედი კანონების, რეგულაციების და პროფესიული სტანდარტების დაცვას, მათ შორის სავარაუდო ან რეალური დარღვევების შესახებ შეტყობინებას.

KPMG International-ის ქრთამისა და კორუფციის საწინააღმდეგო პოლიტიკის დეტალური აღწერა მოცემულია შესაბამის ვებგვერდზე.




შესავალი და წინასიტყვაობა

ხარისხის მართვის სისტემა - ხარისხის საფუძველი

ჩვენს ღირებულებებზე დაფუძნებული კულტურით მოქმედება

გამოცდილების და ცოდნის გამოყენება

ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება

ინკლუზიური და კვალიფიციური გუნდების განვითარება

შესაბამის კლიენტებთან და გარიგებებთან ასოცირება

დამოუკიდებლობა და ეთიკა

გარიგებების ხარისხიანად შესრულება

ხარისხთან დაკავშირებული რისკების შეფასება

მონიტორინგი და გამოსწორება

ეფექტური კომუნიკაცია

მმართველობა და ლიდერობა

განცხადება ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის შესახებ

დანართები


© 2026 შპს KPMG Georgia, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited. ყველა უფლება დაცულია.




# გარიგებების ხარისხიანად შესრულება

- **კონსულტაციის გავლა საჭიროების შემთხვევაში**
- **აუდიტის მტკიცებულებების სიღრმისეული შეფასება, პროფესიული განსჯისა და სკეპტიციზმის გამოყენებით**
- **ხელმძღვანელობა, მენტორობა, ზედამხედველობა და შეფასება**
- **დასკვნების სათანადო დასაბუთება და დოკუმენტირება**

აუდიტის ჩატარების პროცესი ისეთივე მნიშვნელოვანია, რამდენადაც მისი შედეგი.

KPMG-ში ყველა თანამშრომელი ვალდებულია მოიქცეს ჩვენი ღირებულებების შესაბამისად და დაიცვას ყველა პოლიტიკა და პროცედურა, ეფექტური აუდიტის ჩატარების პროცესში.

## კონსულტაციის გავლა საჭიროების შემთხვევაში

### კონსულტაციის კულტურის წახალისება

KPMG ხელს უწყობს კონსულტაციების კულტურის განვითარებას, რაც მხარს უჭერს აუდიტის და მარწმუნებელი გარიგების გუნდებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში და წარმოადგენს აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების ხარისხის მნიშვნელოვან საფუძველს. მთელი ორგანიზაციის მასშტაბით, გარიგების გუნდები ვალდებულნი არიან გაიარონ კონსულტაციები, როდესაც გარიგებასთან დაკავშირებით ჩნდება რთული ან საეჭვო საკითხები.

ამისათვის KPMG-ის ფირმებმა შექმნეს მნიშვნელოვანი საკითხების კონსულტაციისა და დოკუმენტირების პროტოკოლები, მათ შორის პროცედურები, რომლებიც ხელს უწყობენ გარიგებებთან დაკავშირებული განსხვავებული მოსაზრებების გადაჭრას. ასევე, KPMG-ის აუდიტის, მარწმუნებელი მომსახურების, ანგარიშგების და რისკების მართვის სახელმძღვანელოებში, გარკვეულ საკითხებზე მოცემულია კონკრეტული მოთხოვნები კონსულტაციების ჩატარებასთან დაკავშირებით.

შესავალი და წინასიტყვაობა
ხარისხის მართვის სისტემა - ხარისხის საფუძველი
ჩვენს ღირებულებებზე დაფუძნებული კულტურით მოქმედება
გამოცდილების და ცოდნის გამოყენება
ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება
ინკლუზიური და კვალიფიციური გუნდების განვითარება
შესაბამის კლიენტებთან და გარიგებებთან ასოცირება
დამოუკიდებლობა და ეთიკა
გარიგებების ხარისხიანად შესრულება
ხარისხთან დაკავშირებული რისკების შეფასება
მონიტორინგი და გამოსწორება
ეფექტური კომუნიკაცია
მმართველობა და ლიდერობა
განცხადება ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის შესახებ
დანართები

© 2026 შპს KPMG Georgia, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited. ყველა უფლება დაცულია.

## ტექნიკური კონსულტაცია და გლობალური რესურსები

ანგარიშგების, აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საკითხებში ტექნიკური მხარდაჭერა ხელმისაწვდომია KPMG-ის ყველა ფირმისთვის სხვადასხვა გლობალური ექსპერტთა ჯგუფების მეშვეობით.

**გლობალური აუდიტის მეთოდოლოგიის ჯგუფი (GAMG)**

ავითარებს KPMG-ის ორგანიზაციის აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების მეთოდოლოგიას, IAASB-ის, PCAOB-ისა და AICPA-ს აუდიტისა და მარწმუნებელი გარიგების სტანდარტების მოთხოვნების საფუძველზე.

**KPMG-ის გლობალური გადაწყვეტილებების ჯგუფი (KGSG)**

KPMG შეიმუშავებს და ნერგავს გლობალურ აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების გადაწყვეტილებებს, მათ შორის ახალი ტექნოლოგიებისა და ავტომატიზაციის ინოვაციებს. GAMG და KGSG გუნდები აერთიანებენ მრავალფეროვან გამოცდილებას და ინოვაციურ აზროვნებას, რაც ხელს უწყობს KPMG-ის აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების შესაძლებლობების უფრო მეტად განვითარებას. KPMG-ის გლობალური აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების მეთოდოლოგიისა და ტექნოლოგიაზე დაფუძნებული ინსტრუმენტების შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ამ ანგარიშის სექციაში - ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება.

**საერთაშორისო სტანდარტების ჯგუფი (ISG)**

KPMG-ის ფირმებისთვის შეიმუშავებს გლობალურ სახელმძღვანელოს, რომელიც მიზნად ისახავს IFRS ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების, IFRS მდგრადობის გამჟღავნების სტანდარტებისა და ევროპის მდგრადობის ანგარიშგების სტანდარტების ინტერპრეტაციისა და გამოყენების თანმიმდევრულობის ხელშეწყობას, ასევე ერთგვაროვანი რეაგირების უზრუნველყოფას ახალ ბუღალტრულ და აუდიტის საკითხებზე.

**PCAOB-ის სტანდარტების ჯგუფი (PSG)**

უზრუნველყოფს ერთგვაროვნებას PCAOB-ის აუდიტის სტანდარტების ინტერპრეტაციაში KPMG-ის ფირმების მიერ ჩატარებულ აუდიტორულ მომსახურებებში, რომლებიც ეხება არაამერიკულ SEC-ის ემიტენტებს და SEC-ის ემიტენტების არაამერიკულ კომპონენტებს, SEC-ის რეგულაციების შესაბამისად.

PSG ასევე მონაწილეობს PCAOB-ის აუდიტის გარიგებებზე მომუშავე აუდიტორებისთვის სასწავლო პროგრამების შემუშავებაში და სადაც შესაძლებელია, ხელს უწყობს ასეთი სწავლების განხორციელებას.

**წევრი ფირმის პროფესიული პრაქტიკის რესურსები**

KPMG-ის ფირმები თავიანთ აუდიტორებს უწევენ საკონსულტაციო მხარდაჭერას აუდიტის, მარწმუნებელი გარიგების და ტექნიკური აღრიცხვის საკითხებზე.

## აუდიტის მტკიცებულებების სიღრმისეული შეფასება, პროფესიული განსჯისა და სკეპტიციზმის გამოყენებით

ყველა აუდიტის ფარგლებში, KPMG-ის ფირმები გეგმავენ და ასრულებენ აუდიტორულ პროცედურებს, რომელთა ბუნება, დრო და მოცულობა ეფუძნება შეფასებულ რისკებს და მათზე რეაგირებას. განიხილება აუდიტის მიმდინარეობისას მიღებული ყველა შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულება, მათ შორის ურთიერთსაწინააღმდეგო ან არათანმიმდევრული აუდიტორული მტკიცებულებაც.

KPMG-ის ფირმის გუნდის თითოეულმა წევრმა აუდიტის გარიგების მთელი პერიოდის განმავლობაში უნდა გამოიყენოს პროფესიული განსჯა და შეინარჩუნოს პროფესიული სკეპტიციზმი. პროფესიული სკეპტიციზმი გულისხმობს კითხვების დასმას და ყურადღებას აუდიტის მტკიცებულებაში არსებული წინააღმდეგობებისა თუ შეუსაბამობების მიმართ. პროფესიული განსჯა მოიცავს საჭიროებას, ვიყოთ ინფორმირებულნი და ყურადღებით ვაკვირდებოდეთ იმ მიკერძოებებს, რომლებიც შეიძლება საფრთხეს უქმნიდეს სწორ გადაწყვეტილებებს.


შესავალი და წინასიტყვაობა

ხარისხის მართვის სისტემა - ხარისხის საფუძველი

ჩვენს ღირებულებებზე დაფუძნებული კულტურით მოქმედება

გამოცდილების და ცოდნის გამოყენება

ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება

ინკლუზიური და კვალიფიციური გუნდების განვითარება

შესაბამის კლიენტებთან და გარიგებებთან ასოცირება

დამოუკიდებლობა და ეთიკა

გარიგებების ხარისხიანად შესრულება

ხარისხთან დაკავშირებული რისკების შეფასება

მონიტორინგი და გამოსწორება

ეფექტური კომუნიკაცია

მმართველობა და ლიდერობა

განცხადება ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის შესახებ

დანართები


© 2026 შპს KPMG Georgia, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited. ყველა უფლება დაცულია.

## ხელმძღვანელობა, მენტორობა, ზედამხედველობა და შეფასება

### მუდმივი მენტორობის, ზედამხედველობისა და შეფასების დანერგვა

KPMG-ში ჩვენ ხელს ვუწყობთ მენტორობის კულტურის განვითარებას, რათა KPMG-ის თანამშრომლებმა გლობალურ დონეზე შეძლონ საკუთარი პოტენციალის რეალიზება. მენტორობის ძირითადი პრინციპები ინტეგრირებულია აუდიტის სასწავლო პროგრამაში. ჩვენ მხარს ვუჭერთ უწყვეტი სწავლის გარემოს შექმნას, სადაც KPMG-ის პარტნიორები და თანამშრომლები მონაწილეობენ გუნდის შესაძლებლობების გაუმჯობესებაში, ასევე გუნდის სხვა წევრების მენტორობაში და გამოცდილების გაზიარებაში, მათი საქმიანობაზე ზედამხედველობის და შეფასების განხორციელების პარალელურად.

### გარიგების ხარისხის კონტროლი (EQC)

გარიგების ხარისხის კონტროლის (EQC) მიმოხილვა წარმოადგენს KPMG-ის ხარისხის მართვის სისტემის არსებით კომპონენტს. KPMG-ში დადგენილია, რომ EQC მიმომხილველი უნდა დაინიშნოს თითოეულ აუდიტის გარიგებაზე, მათ შორის შუალედური ფინანსური ინფორმაციის ნებისმიერ მიმოხილვაზე - ყველა საჯარო კომპანიაში, მაღალი საზოგადოებრივი პროფილის მქონე არასაჯარო კომპანიებში, ასევე, იმ გარიგებებში, სადაც EQC მიმოხილვა კანონით ან რეგულაციებით არის მოთხოვნილი და სხვა გარიგებებში, მათ შორის, გარკვეულ მარწმუნებელ გარიგებებშიც, რომელსაც განსაზღვრავს ჩვენი რისკების მართვის პარტნიორი (RMP) ან კონკრეტული ფირმის აუდიტის ხელმძღვანელი.

EQC მიმოხილვა არის გარიგების გუნდის მიერ მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების და მათზე დაყრდნობით გამოტანილი დასკვნების ობიექტური შეფასება, რომელიც ხორციელდება EQC მიმომხილველის მიერ და რომელიც სრულდება არაუგვიანეს აუდიტის დასკვნის გამოცემის თარიღისა. EQC მიმომხილველის მიერ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების შეფასება მოიცავს გარიგების გუნდის მიერ მნიშვნელოვანი რისკების, მათ შორის თაღლითობის რისკების შეფასების გადამოწმებას, განხორციელებულ რეაგირებას და დასკვნების შესაბამისობის შეფასებას. EQC მიმოხილვა სრულდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც EQC მიმომხილველი დარწმუნდება, რომ მის მიერ წამოყენებული ყველა არსებითი საკითხი მოგვარებულია, თუმცა საბუღალტრო და აუდიტორული საკითხების საბოლოო გადაწყვეტაზე პასუხისმგებლობა ეკისრება გარიგების პარტნიორს.

## დასკვნების სათანადო დასაბუთება და დოკუმენტირება

### ანგარიშგება

აუდიტის, მარწმუნებელი და მიმოხილვის გარიგებებში, გარიგების პარტნიორის მიერ გამოტანილი ყველა დასკვნა და მოსაზრება ეფუძნება შესრულებულ სამუშაოსა და მოპოვებულ მტკიცებულებებს. აუდიტისა და მარწმუნებელი ანგარიშების მომზადებისას გარიგების პარტნიორებს აქვთ წვდომა ანგარიშგების სახელმძღვანელოებზე და ტექნიკურ მხარდაჭერაზე, რომელიც ხორციელდება პროფესიული პრაქტიკის დეპარტამენტთან კონსულტაციების გზით.

### გარიგების დოკუმენტაცია

KPMG-ის ფირმებში დადგენილია, რომ დოკუმენტაცია უნდა შეიკრიბოს და დაკომპლექტდეს KPMG International-ის პოლიტიკისა და მოქმედი აუდიტორული და მარწმუნებელი გარიგების სტანდარტების შესაბამისად. KPMG International-ის პოლიტიკა მოიცავს უსაფრთხოების მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფს კლიენტის და KPMG-ის ფირმის ინფორმაციის კონფიდენციალურობისა და მთლიანობის დაცვას, ასევე განსაზღვრავს დოკუმენტაციის დაკომპლექტების ვადებს.




შესავალი და წინასიტყვაობა

ხარისხის მართვის სისტემა - ხარისხის საფუძველი

ჩვენს ღირებულებებზე დაფუძნებული კულტურით მოქმედება

გამოცდილების და ცოდნის გამოყენება

ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება

ინკლუზიური და კვალიფიციური გუნდების განვითარება

შესაბამის კლიენტებთან და გარიგებებთან ასოცირება

დამოუკიდებლობა და ეთიკა

გარიგებების ხარისხიანად შესრულება

ხარისხთან დაკავშირებული რისკების შეფასება

მონიტორინგი და გამოსწორება

ეფექტური კომუნიკაცია

მმართველობა და ლიდერობა

განცხადება ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის შესახებ

დანართები



© 2026 შპს KPMG Georgia, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited. ყველა უფლება დაცულია.




# ხარისხთან დაკავშირებული რისკების შეფასება

- **ხარისხის მიმართ რისკების იდენტიფიცირება და ეფექტური რეაგირების განხორციელება**

KPMG-ის აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების ხარისხი ეფუძნება KPMG-ის ფირმების მყარ ხარისხის მართვის სისტემას (SoQM). KPMG International-ის გლობალური მიდგომა ხმსს 1-ის მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს KPMG-ის ფირმების პროცესებში არსებული კონტროლების თანმიმდევრულობასა და სიძლიერეს.

## ხარისხის მიმართ რისკების იდენტიფიცირება და ეფექტური რეაგირების განხორციელება

KPMG International ყოველწლიურად ახორციელებს იტერაციული რისკების შეფასების პროცესს (I-RAP), რათა განსაზღვროს მოსალოდნელი საბაზისო ხარისხის მიზნები, ხარისხის რისკები და პროცესში არსებული რისკების საკვანძო წერტილები (ამ რისკებზე რეაგირების გზები), რომელთა დანერგვასა და განხორციელებაზე KPMG-ის ყველა ფირმა თანხმდება. იმის გათვალისწინებით, რომ თითოეული KPMG-ის ფირმა პასუხისმგებელია საკუთარი ხარისხის მართვის სისტემის (SoQM) ხმსს 1-თან და ადგილობრივად მოქმედ სტანდარტებთან ან რეგულაციებთან შესაბამისობაზე, ისინი ასევე ყოველწლიურად ახორციელებენ საკუთარ იტერაციულ რისკების შეფასების პროცესს (I-RAP), რათა განსაზღვრონ დამატებითი ხარისხის მიზნები, ხარისხის რისკები ან კონტროლები, რომლებიც სპეციფიკურია მათი ფირმის ფაქტობრივი მდგომარეობისა და გარემოებების მიხედვით.

აღნიშნული გლობალურად თანმიმდევრული მიდგომა:

- განსაზღვრავს მინიმალურ კონტროლებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს ყველა KPMG-ის ფირმის ხარისხის მართვის სისტემის (SoQM) პროცესებში, გლობალურად იდენტიფიცირებულ რისკებზე რეაგირების მიზნით, რათა მიღწეულ იქნეს SoQM-ის ხარისხის მიზნები.
- განსაზღვრავს SoQM-ის მეთოდოლოგიას, რომელსაც KPMG-ის ფირმები იყენებენ ხარისხის მართვის სისტემის ყოველწლიურ შეფასებაში, რათა აჩვენონ, რომ SoQM-ის კონტროლები დანერგილია და ეფექტურად ფუნქციონირებს შესაბამის რისკებზე რეაგირებისას და SoQM-ის ხარისხის მიზნების მიღწევის მხარდასაჭერად.

შესავალი და წინასიტყვაობა
ხარისხის მართვის სისტემა - ხარისხის საფუძველი
ჩვენს ღირებულებებზე დაფუძნებული კულტურით მოქმედება
გამოცდილების და ცოდნის გამოყენება
ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება
ინკლუზიური და კვალიფიციური გუნდების განვითარება
შესაბამის კლიენტებთან და გარიგებებთან ასოცირება
დამოუკიდებლობა და ეთიკა
გარიგებების ხარისხიანად შესრულება
ხარისხთან დაკავშირებული რისკების შეფასება
მონიტორინგი და გამოსწორება
ეფექტური კომუნიკაცია
მმართველობა და ლიდერობა
განცხადება ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის შესახებ
დანართები

© 2026 შპს KPMG Georgia, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited. ყველა უფლება დაცულია.




# მონიტორინგი და გამოსწორება

- **ხარისხის სისტემატური კონტროლი და შეფასება**
- **შეფასებების მიღება და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის საფუძველზე მოქმედება**
- **ძირეული მიზეზების ანალიზი და გამოსასწორებელი სამოქმედო გეგმების შემუშავება და განხორციელება**

ხარისხის მონიტორინგისა და შესაბამისობის ინტეგრირებული პროგრამები KPMG-ის ფირმებს საშუალებას აძლევს გამოავლინონ ხარისხის ნაკლოვანებები, განახორციელონ ძირეული მიზეზების ანალიზი და შეიმუშაონ, დანერგონ და წარმოადგინონ გამოსწორების გეგმები, როგორც ინდივიდუალური აუდიტის გარიგების, ასევე, მთლიანად, ფირმის ხარისხის მართვის სისტემის დონეზე.

## ხარისხის სისტემატური კონტროლი და შეფასება

### უწყვეტი გაუმჯობესებისკენ სწრაფვა

KPMG იღებს ვალდებულებას, მუდმივად გააუმჯობესოს KPMG-ის ფირმების აუდიტის ხარისხი, თანმიმდევრულობა და ეფექტიანობა. ხარისხის მონიტორინგისა და შესაბამისობის პროგრამები გლობალურად თანმიმდევრულია KPMG-ის ყველა ფირმაში, მათ შორის ტესტირების და ანგარიშგების ტიპის ჩათვლით.


შესავალი და წინასიტყვაობა
ხარისხის მართვის სისტემა - ხარისხის საფუძველი
ჩვენს ღირებულებებზე დაფუძნებული კულტურით მოქმედება
გამოცდილების და ცოდნის გამოყენება
ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება
ინკლუზიური და კვალიფიციური გუნდების განვითარება
შესაბამის კლიენტებთან და გარიგებებთან ასოცირება
დამოუკიდებლობა და ეთიკა
გარიგებების ხარისხიანად შესრულება
ხარისხთან დაკავშირებული რისკების შეფასება
მონიტორინგი და გამოსწორება
ეფექტური კომუნიკაცია
მმართველობა და ლიდერობა
განცხადება ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის შესახებ
დანართები


© 2026 შპს KPMG Georgia, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited. ყველა უფლება დაცულია.

## შიდა მონიტორინგისა და შესაბამისობის პროგრამები

KPMG ფირმები შეთანხმდნენ, რომ გამოიყენონ KPMG International-ის მიერ შემუშავებული ხარისხის მონიტორინგისა და შესაბამისობის პროგრამები ხარისხის ნაკლოვანებების იდენტიფიცირების, ძირეული მიზეზების ანალიზის ჩატარებისა და გამოსწორების გეგმების შემუშავების მიზნით, როგორც ინდივიდუალური აუდიტებისთვის, ასევე მათი საერთო ხარისხის მართვის სისტემისთვის.

პროგრამები აფასებს:

- გარიგების შესრულების შესაბამისობაში მოქმედ პროფესიულ სტანდარტებთან, კანონმდებლობასა და რეგულაციებთან, აგრეთვე KPMG International-ის ძირითად პოლიტიკებთან და პროცედურებთან.
- KPMG-ის ფირმის შესაბამისობას KPMG International-ის ძირითად პოლიტიკებთან და პროცედურებთან, აგრეთვე, ხარისხის მართვის ძირითადი პოლიტიკებისა და პროცედურების რელევანტურობას, საკმარისობასა და ეფექტიან ფუნქციონირებას.
- ჩვენი შიდა მონიტორინგისა და შესაბამისობის პროგრამები ასევე ხელს უწყობს KPMG-ის ფირმებს SoQM-ის ოპერაციული ეფექტიანობის წლიურ შეფასებაში.

აღნიშნული პროგრამებია:

- აუდიტის ხარისხის შემოწმება (AQPR).
- KPMG-ის ხარისხისა და შესაბამისობის შეფასება (KQCE).
- გლობალური ხარისხისა და შესაბამისობის შემოწმება (GQCR).

KPMG-ის ყველა ფირმა თანხმდება, რომ განახორციელოს KPMG International-ის ზემოაღნიშნული მონიტორინგის პროგრამები.

### გლობალური აუდიტის ხარისხის მონიტორინგის ჯგუფი (GAQMG)

GAQMG-ი ამოწმებს საკითხებს, რაც ხელს უწყობს აუდიტის ხარისხის გაუმჯობესებას. აღნიშნული ჯგუფი შედგება პარტნიორების, დირექტორების და უფროსი მენეჯერებისაგან, რომლებიც გამოცდილი არიან საჯარო კომპანიებისა და მათთან დაკავშირებული სუბიექტების აუდიტის ხარისხის შემოწმებაში. ჯგუფში ასევე შედიან პარტნიორები და სპეციალისტები, რომლებიც გამოცდილნი არიან ზოგადი საინფორმაციო ტექნოლოგიების კონტროლებისა და აპლიკაციის კონტროლების აუდიტში.

### აუდიტის ხარისხის შემოწმების პროგრამა (QPR)

აუდიტის QPR პროგრამა აფასებს ხარისხს, გარიგების შესრულების დონეზე და განსაზღვრავს ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობებს. პროგრამის მიზანია, რომ თითოეული გარიგების პარტნიორი დაექვემდებაროს შემოწმებას, სულ მცირე 4 წელიწადში ერთხელ (სამ წელიწადში ერთხელ ის გარიგების პარტნიორები, რომლებიც ჩართულნი არიან PCAOB-ის აუდიტებში). შესამოწმებელი გარიგებების შერჩევა, KPMG-ის ფირმების მიერ, ხორციელდება რისკზე დაფუძნებული მიდგომით.

აუდიტის QPR პროგრამა შემუშავებულია გლობალური ხარისხისა და რისკების მართვის დეპარტამენტის მიერ. KPMG-ის ყველა ფირმა ვალდებულია ჩაატაროს წლიური QPR პროგრამა KPMG International-ის QPR-ის ინსტრუქციების შესაბამისად, რაც ორგანიზაციაში ერთგვაროვან მიდგომას უზრუნველყოფს. შემოწმებებს ზედამხედველობას უწევს  დამოუკიდებელი და გამოცდილი წამყვანი შემმოწმებელი, KPMG-ის სხვა ფირმიდან. QPR-ის შედეგები წარედგინება KPMG International-ს.

გარიგებისა და აუდიტის პრაქტიკის შესაფასებლად გამოიყენება ერთგვაროვანი კრიტერიუმები, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება გაუმჯობესებების იდენტიფიცირება მომავალში. შემოწმებისთვის შერჩეული გარიგებებს შეფასების შედეგად ენიჭებათ ერთ-ერთი შემდეგი შეფასება: “შესაბამისობაში მყოფი”, “შესაბამისობაში მყოფი - საჭიროებს გაუმჯობესებას”, “არ არის შესაბამისობაში”.

### KPMG-ის ხარისხისა და შესაბამისობის შეფასება (KQCE)

KQCE პროგრამა მოიცავს KPMG ფირმის SoQM-ის ტესტირების და შეფასების მოთხოვნებს, რომლებიც აუცილებელია იმისათვის, რომ KPMG-ის თითოეულმა ფირმამ შეძლოს დასკვნის გამოტანა ხმსს 1-ის ფარგლებში, ხარისხის მართვის სისტემის ეფექტიანობის შესახებ და ასევე, ძირითად ხარისხისა და რისკების მართვის პოლიტიკებთან შესაბამისობის თაობაზე. KQCE პროგრამის მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა KPMG-ის ყველა ფირმისათვის.

ყოველწლიური KQCE პროგრამა მოიცავს პერიოდს 1 ოქტომბრიდან 30 სექტემბრამდე. აღნიშნული ხელს უწყობს KPMG-ის ფირმებს, 30 სექტემბრის მდგომარეობით, SoQM-ის ოპერაციული ეფექტიანობის შესახებ დასკვნის გამოტანაში, ასევე, აღნიშნულ პერიოდში, ხარისხისა და რისკების მართვის პოლიტიკებთან შესაბამისობის დადასტურებაში.

### გლობალური ხარისხისა და შესაბამისობის შემოწმება (GQCR)

GQCR პროგრამა არის KPMG International-ის მონიტორინგის პროგრამა. GQCR პროგრამის მიზანია შეფასდეს ფირმის შესაბამისობა KPMG International-ის შერჩეულ პოლიტიკებთან, მათ შორის იმ პოლიტიკებთან, რომლებიც ეხება მმართველობას და SoQM-ს.

მონიტორინგისთვის ფირმების შერჩევა ხდება რისკზე დაფუძნებული მიდგომით, რომელიც ითვალისწინებს რამდენიმე ფაქტორს, მათ შორის ფინანსურ მდგომარეობას, ქვეყანასთან დაკავშირებულ რისკებს, მონიტორინგის პროგრამების შედეგებსა და თანამშრომლების გამოკითხვებს. თითოეული ფირმა ექვემდებარება GQCR-ს მინიმუმ ერთხელ ოთხწლიანი ციკლის განმავლობაში.

GQCR ჯგუფი შედგება პარტნიორებისა და მენეჯერებისგან, რომლებიც დამოუკიდებელნი არიან იმ ფირმისგან, რომელსაც ამოწმებენ.


შესავალი და წინასიტყვაობა

ხარისხის მართვის სისტემა - ხარისხის საფუძველი

ჩვენს ღირებულებებზე დაფუძნებული კულტურით მოქმედება

გამოცდილების და ცოდნის გამოყენება

ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება

ინკლუზიური და კვალიფიციური გუნდების განვითარება

შესაბამის კლიენტებთან და გარიგებებთან ასოცირება

დამოუკიდებლობა და ეთიკა

გარიგებების ხარისხიანად შესრულება

ხარისხთან დაკავშირებული რისკების შეფასება

მონიტორინგი და გამოსწორება

ეფექტური კომუნიკაცია

მმართველობა და ლიდერობა

განცხადება ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის შესახებ

დანართები


© 2026 შპს KPMG Georgia, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited. ყველა უფლება დაცულია.

## შიდა მონიტორინგი და შესაბამისობის პროგრამის ანგარიშგება

გლობალური მონიტორინგისა და შესაბამისობის პროგრამების შედეგები KPMG-ის ფირმებს მიეწოდება წერილობითი კომუნიკაციების, შიდა სასწავლო ინსტრუმენტებისა და ხელმძღვანელობასთან გამართული პერიოდული შეხვედრების საშუალებით.

აღნიშნული პროგრამებით გამოვლენილი საკითხები ასევე გამოკვეთილია შემდგომი მონიტორინგისა და შესაბამისობის პროგრამებში, რათა შეფასდეს უწყვეტი გაუმჯობესების მასშტაბი.

აუდიტის QPR-ის “შეუსაბამო” შეფასებების შესახებ ეცნობება აუდიტის წამყვან გარიგების პარტნიორებს, იმ შემთხვევაში თუ ეს დაკავშირებულია შესაბამის ტრანსსასაზღვრო გარიგებებთან.

## გამოსწორება და მონიტორინგი

KPMG-ის ფირმები ქმნიან გამოსასწორებელ მოქმედებათა გეგმებს, რათა უპასუხონ იმ საკითხებს, რომლებიც გამოვლენილია KPMG International-ის მონიტორინგისა და შესაბამისობის პროგრამების ფარგლებში. აღნიშნული მოქმედებების გეგმის შესრულების დინამიკა კონტროლდება და შედეგები, საჭიროებისამებრ, ეგზავნება რეგიონულ და გლობალურ ხელმძღვანელობას.

# შეფასებების მიღება და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის საფუძველზე მოქმედება

ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ აუდიტის ხარისხის შენარჩუნების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი არის ძირითადი დაინტერესებული მხარეებისგან უკუკავშირის მიღება და მისი გათვალისწინება.

## რეგულატორები

KPMG International-ს აქვს რეგულარული ორმხრივი კომუნიკაცია დამოუკიდებელი აუდიტის რეგულატორების საერთაშორისო ფორუმთან (IFIAR), ძირითადად IFIAR-ის გლობალური აუდიტის ხარისხის სამუშაო ჯგუფის (GAQWG) მეშვეობით, აუდიტის ხარისხის თემატური საკითხების და მიზნობრივი გაუმჯობესების სტრატეგიების განხილვის მიზნით. ჩვენ ვაფასებთ ღია, გულწრფელ და გამჭვირვალე დიალოგს, რომელსაც IFIAR-ი უზრუნველყოფს აუდიტის ხარისხის გლობალურ საკითხებზე.

KPMG-ის ყველა ფირმას მოეთხოვება, რომ შეინარჩუნოს პროფესიული და კონსტრუქციული დამოკიდებულება შესაბამის რეგულატორებთან, მათ შორის პროაქტიული ჩართულობით, შეკითხვებზე დროული პასუხის გაცემით და შესაბამისი გამოსასწორებელი მოქმედებების განხორციელებით.

როგორც საქართველოში რეგისტრირებული აუდიტორული ფირმა, შპს KPMG Georgia ექვემდებარება გარე მონიტორინგს, რომელიც ხორციელდება ზედამხედველი ორგანოს - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ. უკანასკნელი მონიტორინგი დასრულდა 2025 წლის 30 დეკემბერს. მონიტორინგის შედეგად არ გამოვლინდა ისეთი საკითხები, რომლებიც ჩვენს აუდიტის ხარისხთან დაკავშირებით კითხვებს გააჩენდა.

## კლიენტის უკუკავშირი

ჩვენ მნიშვნელობას ვანიჭებთ კლიენტის უკუკავშირს. KPMG-ის ფირმები აქტიურად აწარმოებენ უკუკავშირის მიღებას კლიენტებისგან, როგორც უშუალო საუბრების ფარგლებში, ასევე მესამე მხარის მიერ ჩატარებული გამოკითხვების საშუალებით.

ჩვენ გვაქვს პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს ჩვენი საქმიანობის ხარისხთან დაკავშირებული პრეტენზიების მონიტორინგსა და შესაბამის რეაგირებას. აღნიშნული პროცედურები დეტალურად აღწერილია ჩვენი ფირმის ვებგვერდზე.

პროფესიული პრაქტიკის დეპარტამენტი, ფირმის პოლიტიკის შესაბამისად ატარებს საჯარო კომპანიებისა და სხვა მაღალი ან საშუალო რისკის მქონე გარიგებებთან დაკავშირებული ფინანსური ანგარიშგების შემოწმებას, წინასწარ, მის გამოცემამდე. ნებისმიერი გამოვლენილი საკითხი უნდა აღმოიფხვრას ანგარიშის გამოქვეყნებამდე.


შესავალი და წინასიტყვაობა

ხარისხის მართვის სისტემა - ხარისხის საფუძველი

ჩვენს ღირებულებებზე დაფუძნებული კულტურით მოქმედება

გამოცდილების და ცოდნის გამოყენება

ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება

ინკლუზიური და კვალიფიციური გუნდების განვითარება

შესაბამის კლიენტებთან და გარიგებებთან ასოცირება

დამოუკიდებლობა და ეთიკა

გარიგებების ხარისხიანად შესრულება

ხარისხთან დაკავშირებული რისკების შეფასება

მონიტორინგი და გამოსწორება

ეფექტური კომუნიკაცია

მმართველობა და ლიდერობა

განცხადება ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის შესახებ

დანართები


© 2026 შპს KPMG Georgia, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited. ყველა უფლება დაცულია.

## ძირეული მიზეზების ანალიზი და გამოსასწორებელი სამოქმედო გეგმების შემუშავება და განხორციელება

ეფექტური ხარისხის მართვის სისტემა (SoQM) KPMG-ის ფირმებში წარმოადგენს აუდიტისა და მარწმუნებელი გარიგებების ხარისხიანი და თანმიმდევრული შესრულების საფუძველს. ჩვენი ფირმის SoQM-ის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია ძირეული მიზეზების ანალიზის (RCA) პროგრამა, რომელიც ხელს უწყობს ხარისხთან დაკავშირებული საკითხების ეფექტურ აღმოფხვრას, გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირებისა და მათზე რეაგირების გზით.

შიდა მონიტორინგის პროგრამებიდან, გარე შემოწმებებიდან და სხვა შესაბამისი საქმიანობებიდან მიღებული ინფორმაციის გამოყენებით, ფირმა აუდიტის ხარისხთან დაკავშირებულ საკითხების იდენტიფიცირებას ახდენს და ახორციელებს ძირეული მიზეზების ანალიზს (RCA), მათი ბუნებისა და სიმძიმის შესაბამისად.

KPMG-ის წევრი ფირმები ახორციელებენ ძირეული მიზეზების ანალიზის (RCA) პროგრამას, რომელიც ეფუძნება გლობალურად შემუშავებულ RCA მეთოდოლოგიასა და მითითებებს. ფირმები შეიმუშავებენ და ნერგავენ გამოსასწორებელ ღონისძიებებს, რომლებიც პასუხობს აუდიტის ხარისხთან დაკავშირებით გამოვლენილ ძირეულ მიზეზებს და შემდგომ აკვირდებიან ამ ღონისძიებების ეფექტიანობას.

RCA პროგრამის მიმდინარეობისა და განხორციელებული გამოსასწორებელი ნაბიჯების შესახებ ინფორმაციას, KPMG-ის ფირმები უზიარებენ KPMG International-ს.

KPMG-ის ფირმებში, აუდიტის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია აუდიტის ხარისხზე, მათ შორის აუდიტის ხარისხთან დაკავშირებული ნაკლოვანებების ეფექტიანი გამოსწორების მხარდაჭერაზე, ხოლო, რისკების მართვის პარტნიორი (RMP) აკვირდება გამოსასწორებელი გეგმების მიმდინარეობასა და დასრულებას.




შესავალი და წინასიტყვაობა

ხარისხის მართვის სისტემა - ხარისხის საფუძველი

ჩვენს ღირებულებებზე დაფუძნებული კულტურით მოქმედება

გამოცდილების და ცოდნის გამოყენება

ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება

ინკლუზიური და კვალიფიციური გუნდების განვითარება

შესაბამის კლიენტებთან და გარიგებებთან ასოცირება

დამოუკიდებლობა და ეთიკა

გარიგებების ხარისხიანად შესრულება

ხარისხთან დაკავშირებული რისკების შეფასება

მონიტორინგი და გამოსწორება

ეფექტური კომუნიკაცია

მმართველობა და ლიდერობა

განცხადება ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის შესახებ

დანართები


© 2026 შპს KPMG Georgia, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited. ყველა უფლება დაცულია.




# ეფექტური კომუნიკაცია

- **ხედვების გაზიარება და ღია, გულწრფელი, ორმხრივი კომუნიკაციის შენარჩუნება**
- **KPMG-ის თანამშრომელთა გლობალური გამოკითხვის (GPS) ჩატარება და შემდგომი ქმედებების განხორციელება**

ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ აუდიტისა და მარწმუნებელი გარიგებების ხარისხის შენარჩუნებაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, ძირითადი დაინტერესებული მხარეებისგან უკუკავშირის მიღება და მასზე დროული რეაგირება.

## ხედვების გაზიარება და ღია, გულწრფელი, ორმხრივი კომუნიკაციის შენარჩუნება

### კომუნიკაცია მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან

ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები დროულად იყვნენ ინფორმირებულნი აუდიტის პროცესში წარმოშობილი საკითხების შესახებ, რასაც ვახორციელებთ შესაბამისი მითითებებისა და დამხმარე რესურსების გამოყენებით.

KPMG-ის ფირმები და თანამშრომლები ამას აღწევენ ანგარიშებისა და პრეზენტაციების კომბინაციის, აუდიტის კომიტეტის ან სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებზე დასწრების, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, მენეჯმენტთან და აუდიტის კომიტეტის წევრებთან მიმდინარე განხილვების მეშვეობით.

აუდიტის ხარისხის მხარდაჭერაში აუდიტის კომიტეტების როლი მნიშვნელოვანია: ისინი ზედამხედველობენ კომპანიისა და აუდიტორის ურთიერთობას და აფასებენ აუდიტორების საქმიანობასა და მის შესრულების მეთოდებს.


შესავალი და წინასიტყვაობა
ხარისხის მართვის სისტემა - ხარისხის საფუძველი
ჩვენს ღირებულებებზე დაფუძნებული კულტურით მოქმედება
გამოცდილების და ცოდნის გამოყენება
ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება
ინკლუზიური და კვალიფიციური გუნდების განვითარება
შესაბამის კლიენტებთან და გარიგებებთან ასოცირება
დამოუკიდებლობა და ეთიკა
გარიგებების ხარისხიანად შესრულება
ხარისხთან დაკავშირებული რისკების შეფასება
მონიტორინგი და გამოსწორება
ეფექტური კომუნიკაცია
მმართველობა და ლიდერობა
განცხადება ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის შესახებ
დანართები


© 2026 შპს KPMG Georgia, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited. ყველა უფლება დაცულია.

### აუდიტის კომიტეტის ინსტიტუტი

კაპიტალის ბაზრებზე აუდიტის კომიტეტების მნიშვნელოვანი როლის, ასევე მათი პასუხისმგებლობების შესრულებისას არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, აუდიტის კომიტეტების ინსტიტუტი (ACI) მიზნად ისახავს დაეხმაროს აუდიტის კომიტეტის წევრებს თავიანთი ჩართულობის გაძლიერებაში და შესაძლებლობაში, რომ ეფექტურად განახორციელონ კომიტეტის საქმიანობა.

აუდიტის კომიტეტის ინსტიტუტის (ACI)-ს შესახებ დამატებითი დეტალები და ხედვები ხელმისაწვდომია აქ:

### გლობალური კორპორატიული ანგარიშგების ინსტიტუტი

KPMG-ის გლობალური კორპორატიული ანგარიშგების ინსტიტუტი სთავაზობს ინფორმაციასა და რესურსებს, რათა სამეთვალყურეო საბჭოსა და აუდიტის კომიტეტების წევრებს, ხელმძღვანელებს, მენეჯმენტს, დაინტერესებულ მხარეებსა და სახელმწიფო წარმომადგენლებს მიეცეთ სიღრმისეული ხედვა და წვდომა ექსპერტულ ცოდნასა და საუკეთესო პრაქტიკებზე, განვითარებად გლობალურ ფინანსურ და მდგრადობის ანგარიშგების ჩარჩოებთან დაკავშირებით.

## KPMG-ის თანამშრომელთა გლობალური გამოკითხვის (GPS) ჩატარება და შემდგომი ქმედებების განხორციელება

მხოლოდ დაინტერესებული და ნიჭიერი თანამშრომლების მონაწილეობით შეუძლია KPMG-ის ფირმას უზრუნველყოს აუდიტისა და მარწმუნებელი გარიგებების შესრულება ჩვენი აუდიტის ხარისხის მოლოდინების შესაბამისად, რაც ეფექტიანი ხარისხის მართვის სისტემის (SoQM) საფუძველია. იქედან გამომდინარე, რომ ჩვენ მუდმივად ვისწრაფვით გაუმჯობესებისკენ, KPMG-ის ყველა თანამშრომელს ყოველწლიურად ეძლევა შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს KPMG-ის თანამშრომელთა გლობალური გამოკითხვაში (GPS), რათა გააზიარონ საკუთარი შეხედულებები KPMG-ში მუშაობის გამოცდილებაზე.

შედეგების ანალიზი შესაძლებელია რამდენიმე ფაქტორის მიხედვით, მათ შორის ფუნქციური ან გეოგრაფიული მიმართულებით, ასევე, თანამდებობის ხარისხისა და დემოგრაფიული მახასიათებლების გათვალისწინებით, რაც საშუალებას იძლევა დაიგეგმოს უფრო მიზნობრივი ქმედებები.

GPS-ის საშუალებით KPMG აფასებს თანამშრომელთა ჩართულობას და უკეთ იგებს, რა განსაზღვრავს მას.

ჩვენ ასევე ვფარავთ ისეთ მიმართულებებს, რომლებიც პირდაპირ ეხება აუდიტის ხარისხს. გამოკითხვა მოიცავს კონკრეტულ კითხვებს აუდიტის ხარისხთან დაკავშირებით, იმ თანამშრომლებისთვის, რომელთაც ბოლო 12 თვის განმავლობაში მონაწილეობა მიიღო აუდიტის, მარწმუნებელ, მიმოხილვის ან სხვა მარწმუნებელ გარიგებაში, რაც გვაძლევს სპეციფიკურ მონაცემებს აუდიტის ხარისხთან დაკავშირებულ საკითხებზე.

გამოკითხვა ასევე აძლევს KPMG International-ის ხელმძღვანელობას მნიშვნელოვან ხედვებს იმის შესახებ, თუ როგორ არის რეალურად განხორციელებული KPMG-ის ღირებულებები. გარდა ამისა, ის უზრუნველყოფს ფასეულ ინფორმაციას თანამშრომლებისა და პარტნიორების დამოკიდებულებების შესახებ ხარისხთან, ლიდერობასთან და ხელმძღვანელობის მაგალითთან მიმართებით.

KPMG-ის ყველა ფირმა ყოველწლიურად მონაწილეობს გამოკითხვაში და ახორციელებს შესაბამის ქმედებებს გამოვლენილი მიგნებების გასაზიარებლად და მათზე რეაგირებისათვის.

ასევე, GPS შედეგების დამატებითი ანალიზი ტარდება აუდიტის ხარისხის ჭრილში, აუდიტის სპეციფიკის გათვალისწინებით. GPS-ის შედეგები და ძირითადი თემები ყოველწლიურად წარედგინება გლობალური აუდიტის საკოორდინაციო ჯგუფს, რათა საჭიროების შემთხვევაში განიხილონ შესაბამისი გამოსასწორებელი ქმედებები. ასევე, KPMG-ის ფირმებს ყოველწლიურად მიეწოდება გლობალური GPS-ის სამოქმედო გეგმა აუდიტის მიმართულებით.




შესავალი და წინასიტყვაობა
ხარისხის მართვის სისტემა - ხარისხის საფუძველი
ჩვენს ღირებულებებზე დაფუძნებული კულტურით მოქმედება
გამოცდილების და ცოდნის გამოყენება
ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება
ინკლუზიური და კვალიფიციური გუნდების განვითარება
შესაბამის კლიენტებთან და გარიგებებთან ასოცირება
დამოუკიდებლობა და ეთიკა
გარიგებების ხარისხიანად შესრულება
ხარისხთან დაკავშირებული რისკების შეფასება
მონიტორინგი და გამოსწორება
ეფექტური კომუნიკაცია
მმართველობა და ლიდერობა
განცხადება ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის შესახებ
დანართები


© 2026 შპს KPMG Georgia, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited. ყველა უფლება დაცულია.

# ფინანსური ინფორმაცია

**ინფორმაცია KPMG Georgia-ს შემოსავლების შესახებ 2025 წლის 30 სექტემბრით დასრულებული წლისთვის:**

| მომსახურების სახე | თანხა ათას ლარში |
|---|---|
| საზოგადოებრივი დაინტერესების პირების, ასევე ისეთ საწარმოთა ჯგუფში შემავალი სუბიექტების ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტიდან მიღებული შემოსავალი, რომელთა მშობელი საწარმო არის საზოგადოებრივი დაინტერესების პირი | **2,433** |
| სხვა ისეთ პირთა ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტიდან მიღებული შემოსავალი, რომლებიც არ არიან საზოგადოებრივი დაინტერესების პირები | **5,113** |
| აუდიტის კლიენტებისთვის გაწეული არააუდიტორული მომსახურებით მიღებული შემოსავალი | **1,033** |
| არააუდიტორული მომსახურების გაწევით მიღებული სხვა შემოსავალი | **6,680** |
| ჯამური შემოსავალი | **15,259** |


შესავალი და წინასიტყვაობა

ხარისხის მართვის სისტემა - ხარისხის საფუძველი

ჩვენს ღირებულებებზე დაფუძნებული კულტურით მოქმედება

გამოცდილების და ცოდნის გამოყენება

ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება

ინკლუზიური და კვალიფიციური გუნდების განვითარება

შესაბამის კლიენტებთან და გარიგებებთან ასოცირება

დამოუკიდებლობა და ეთიკა

გარიგებების ხარისხიანად შესრულება

ხარისხთან დაკავშირებული რისკების შეფასება

მონიტორინგი და გამოსწორება

ეფექტური კომუნიკაცია

მმართველობა და ლიდერობა

განცხადება ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის შესახებ

დანართები


© 2026 შპს KPMG Georgia, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited. ყველა უფლება დაცულია.

# პარტნიორთა ანაზღაურება

**პარტნიორების მოგების წილი**

პარტნიორები ანაზღაურებას იღებენ KPMG Caucasus and Central Asia-ს განაწილებადი მოგებიდან (ასეთი მოგება განისაზღვრება KPMG CCA-ის აღმასრულებელი საბჭოს მიერ); პარტნიორები პირადად არიან პასუხისმგებელნი პენსიებისა და სხვა ძირითადი სარგებლის დაფინანსებაზე. მოგების საბოლოო განაწილება პარტნიორებზე ხორციელდება KPMG CCA-ის აღმასრულებელი საბჭოს მიერ, წლის განმავლობაში თითოეული პარტნიორის მიერ შეტანილი წვლილის შეფასების საფუძველზე. აღნიშნულ პროცესს ადასტურებს და ზედამხედველობას უწევს KPMG CCA-ის აღმასრულებელი საბჭო და ანაზღაურების კომიტეტი (რომელიც შედგება KPMG CCA-ის პარტნიორებისგან).

**პარტნიორების ანაზღაურება მოიცავს შემდეგ ელემენტებს:**

(i) მიზნობრივი ანაზღაურება - როლისა და პასუხისმგებლობის მიხედვით ცვალებადია და ყოველწლიურად განისაზღვრება აღმასრულებელი საბჭოს მიერ;

(ii) განაწილებადი მოგების დონე (ფირმის ფინანსური ფაქტორი – FFF);

(iii) პარტნიორის ინდივიდუალური შედეგები (სპეციალური ანაზღაურების ფონდი – SAP).

თითოეული პარტნიორისთვის საერთო ანაზღაურება განისაზღვრება მიზნობრივი ანაზღაურებით, რომელიც კორექტირდება სპეციალური ანაზღაურების ფონდისა (SAP) და ფირმის ფინანსური ფაქტორის (FFF) გათვალისწინებით. SAP უზრუნველყოფს პარტნიორის ანაზღაურებას წლის განმავლობაში მიღწეული შედეგებისთვის და ინდივიდუალურ, წინასწარ შეთანხმებული მიზნების შესრულებასა და KPMG CCA-ის საერთო მოგებაში მათ წვლილზე დაყრდნობით. ჩვენი პოლიტიკები პარტნიორების ანაზღაურების ამ ცვლადი ელემენტის ნაწილში, ითვალისწინებს რიგ ფაქტორებს, კერძოდ: შესრულებული სამუშაოს ხარისხს, კლიენტთა სრულყოფილად მომსახურებას, შემოსავლისა და მოგების ზრდას, ლიდერობას და KPMG-ის ღირებულებების დაცვას. აუდიტის პარტნიორებს არ აქვთ უფლება ჰქონდეთ პირადი მიზნები აუდიტის კლიენტებისათვის არააუდიტორული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით, მათ შორის, მათ არ აქვთ უფლება მიიღონ ანაზღაურება აღნიშნულთან დაკავშირებით. გარდა ამისა, შესრულებასთან დაკავშირებული კომპონენტის ნაწილი ეფუძნება აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფაში მათი უნარის შეფასებას. SAP-ის ანაზღაურება ეხება არაუმეტეს პარტნიორების 35%-ს, შესრულების ძირითად ინდიკატორებთან (KPI) მიმართებით, მათი ინდივიდუალური შედეგების გათვალისწინებით.  შესაბამისმა კანდიდატებმა, სპეციალური წახალისების ფონდიდან (SAP) შესაძლოა დამატებით მიიღონ თავიანთი მიზნობრივი ანაზღაურების 10-20%-ით ოდენობის ანაზღაურება.

**განაცემები**

წლის განმავლობაში პარტნიორები იღებდნენ ყოველთვიურ განაცემებს (monthly drawings), ხოლო დროდადრო - დამატებით მოგების განაწილებას. დამატებითი განაწილებების ოდენობასა და დროს განსაზღვრავს აღმასრულებელი საბჭო, ოპერაციული და საინვესტიციო საქმიანობისთვის საჭირო ფულადი სახსრების გათვალისწინებით. პარტნიორებისთვის განხორციელებული ყველა ასეთი ყოველთვიური გადახდა და მოგების განაწილება წარმოადგენს მიმდინარე წლის მოგების წინსწრებით გადახდას და შესაძლოა უკან იქნეს გამოთხოვილი  მოგების საბოლოო განაწილებამდე. ასევე, წლის განმავლობაში ზედმეტად განაწილებული მოგებაც ექვემდებარება პარტნიორების მხრიდან დაბრუნებას.

შესავალი და წინასიტყვაობა
ხარისხის მართვის სისტემა - ხარისხის საფუძველი
ჩვენს ღირებულებებზე დაფუძნებული კულტურით მოქმედება
გამოცდილების და ცოდნის გამოყენება
ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება
ინკლუზიური და კვალიფიციური გუნდების განვითარება
შესაბამის კლიენტებთან და გარიგებებთან ასოცირება
დამოუკიდებლობა და ეთიკა
გარიგებების ხარისხიანად შესრულება
ხარისხთან დაკავშირებული რისკების შეფასება
მონიტორინგი და გამოსწორება
ეფექტური კომუნიკაცია
მმართველობა და ლიდერობა
განცხადება ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის შესახებ
დანართები

© 2026 შპს KPMG Georgia, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited. ყველა უფლება დაცულია.

# ქსელი

- **სამართლებრივი სტრუქტურა**
- **KPMG-ის ფირმების ვალდებულებები**
- **პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა**
- **მმართველობის სტრუქტურა**

## სამართლებრივი სტრუქტურა

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, რეგულირებადი ბიზნესები (როგორიცაა აუდიტორული და იურიდიული ფირმები) კანონით ვალდებულნი არიან იყვნენ ადგილობრივად დაფუძნებულები და დამოუკიდებლები. შესაბამისად, KPMG-ის წევრ ფირმებს  არ მოქმედებენ, როგორც ერთიანი მულტინაციონალური კორპორაცია. KPMG-ის წევრი ფირმები, როგორც წესი, დაფუძნებულია და იმართება ადგილობრივად. KPMG-ის თითოეული წევრი ფირმა პასუხისმგებელია საკუთარი ვალდებულებებისა და სამართლებრივი პასუხისმგებლობების შესრულებაზე. KPMG International-ი და სხვა წევრი ფირმები არ არიან პასუხისმგებელნი რომელიმე კონკრეტული წევრი ფირმის ვალდებულებებსა თუ სამართლებრივ პასუხისმგებლობებზე.

წევრი ფირმები შეიძლება შედგებოდნენ ერთზე მეტი დამოუკიდებელი იურიდიული პირისგან. ასეთ შემთხვევაში, თითოეული ცალკეული იურიდიული პირი პასუხისმგებელია მხოლოდ საკუთარ ვალდებულებებზე, თუ სხვაგვარად არ არის შეთანხმებული.

ჩვენი ფირმა და KPMG-ის სხვა წევრი ფირმები არიან გაწევრიანებულნი გლობალურ ორგანიზაციაში, მათ შორის არიან გარკვეული შეთანხმებების მხარეები, რისი არსებითი შედეგია ის, რომ ყველა KPMG-ის წევრი ფირმა, გლობალური ორგანიზაციის წევრია ან სამართლებრივად სხვაგვარადაა  დაკავშირებული KPMG International Limited-თან,  რომელიც გარანტიით შეზღუდული ინგლისში დაფუძნებული კერძო კომპანიაა.

KPMG International Limited მოქმედებს, როგორც მაკოორდინებელი ერთეული, რომლის მიზანსაც KPMG-ის წევრი ფირმების საერთო სარგებლის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ის კლიენტებს არც პირდაპირ და არც ირიბად პროფესიონალურ მომსახურებას არ სთავაზობს. კლიენტებისთვის პროფესიონალურ მომსახურებას მხოლოდ წევრი ფირმები უზრუნველყოფენ, რომელთაც მომსახურების პროცესში ეკისრებათ სრული და ერთპიროვნული პასუხისმგებლობა.

თითოეული ფირმა სამი რეგიონიდან (Americas, ASPAC and EMA) ერთ-ერთის ნაწილია. თითოეულ რეგიონს ჰყავს რეგიონული საბჭო, რომელიც შედგება რეგიონული თავმჯდომარის, რეგიონული მთავარი ოპერაციული დირექტორის, შესაბამისი ქვე-რეგიონის წარმომადგენლებისა და საჭიროების შემთხვევაში სხვა წევრებისგან. თითოეული რეგიონალური საბჭო კონცენტრირებულია საკუთარ რეგიონში წევრი ფირმების საჭიროებებზე და ხელს უწყობს KPMG International-ის პოლიტიკისა და პროცესების განხორციელებას რეგიონში.

KPMG არის KPMG International-ის რეგისტრირებული სავაჭრო ნიშანი და სახელწოდება, რომლითაც წევრი ფირმები ფართოდ არიან ცნობილი. წევრი ფირმების უფლებები KPMG-ის სახელწოდებისა და სავაჭრო ნიშნების გამოყენებაზე KPMG International-თან დადებული შეთანხმებებით არის გათვალისწინებული. KPMG International-ი და KPMG-ის წევრი ფირმები არ არიან გლობალური პარტნიორები, არ წარმოადგენენ ერთიან ფირმას, მულტინაციონალური კორპორაციას, ერთობლივ საწარმოს და ერთმანეთთან არ აქვთ მარწმუნებლისა და რწუმენუბულის თუ პარტნიორული ურთიერთობა.


შესავალი და წინასიტყვაობა
ხარისხის მართვის სისტემა - ხარისხის საფუძველი
ჩვენს ღირებულებებზე დაფუძნებული კულტურით მოქმედება
გამოცდილების და ცოდნის გამოყენება
ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება
ინკლუზიური და კვალიფიციური გუნდების განვითარება
შესაბამის კლიენტებთან და გარიგებებთან ასოცირება
დამოუკიდებლობა და ეთიკა
გარიგებების ხარისხიანად შესრულება
ხარისხთან დაკავშირებული რისკების შეფასება
მონიტორინგი და გამოსწორება
ეფექტური კომუნიკაცია
მმართველობა და ლიდერობა
განცხადება ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის შესახებ
დანართები


© 2026 შპს KPMG Georgia, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited. ყველა უფლება დაცულია.

არცერთ წევრ ფირმას არ შეუძლია დაავალდებულოს ან სამართლებრივად შებოჭოს „KPMG International“-ი ან რომელიმე წევრი ფირმა, მასთან დაკავშირებული რომელიმე სუბიექტი, მათ შორის მესამე პირების წინაშე. ამასთან, ასეთი უფლებამოსილება არც „KPMG International“-ს ან მასთან დაკავშირებულ რომელიმე სუბიექტს არ გააჩნია.

KPMG-ის გლობალური ორგანიზაციის სამართლებრივი და მმართველობითი სტრუქტურის შესახებ დამატებითი დეტალები შეგიძლიათ იხილოთ kpmg.com-ის „About us“ გვერდზე.

## KPMG-ის ფირმების პასუხისმგებლობა

წევრმა ფირმებმა KPMG International-თან შეთანხმებით იკისრეს ვალდებულება დაიცვან KPMG International-ის პოლიტიკები, მათ შორის ხარისხის სტანდარტები, რომლებიც უზრუნველყოფენ კონკურენტუნარიანობას, მათი საქმიანობის რეგულირებისა და კლიენტებისთვის მომსახურების მიწოდების პროცესში. ეს მოიცავს პროფესიულ და ფინანსურ მდგრადობას, საკუთრების, მმართველობისა და მართვის ისეთი სტრუქტურის არსებობას, რომელიც უზრუნველყოფს უწყვეტობას, სტაბილურობას და გრძელვადიან წარმატებას, ასევე KPMG International-ის მიერ დადგენილი პოლიტიკის დაცვის, გლობალური სტრატეგიების დანერგვის, რესურსების ორმხრივი გაზიარების (მიღება და გაცემა), მულტინაციონალური კლიენტების მომსახურების, რისკების მართვის, გლობალური მეთოდოლოგიებისა და ინსტრუმენტების გამოყენების შესაძლებლობას.

KPMG-ის თითოეული ფირმა იღებს პასუხისმგებლობას საკუთარ მმართველობაზე და შესრულებული სამუშაოს ხარისხზე. წევრი ფირმები იზიარებენ და ერთგულად იცავენ KPMG-ის საერთო ღირებულებებს.

KPMG International-ის მიერ დადგენილი პოლიტიკის ან KPMG International-თან დადებულ რომელიმე შეთანხმების დარღვევის ან შეუსრულებლობის შემთხვევაში, შესაძლოა წევრ ფირმას შეუწყდეს KPMG-ის ფირმის სტატუსი და დაკარგოს KPMG-ის გლობალურ ორგანიზაციის წევრობა.

## პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა

პროფესიული დაუდევრობის მოთხოვნებთან მიმართებით მოქმედებს პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა, რომლის მოქმედებაც საერთაშორისო მასშტაბით ვრცელდება.

## მმართველობის სტრუქტურა

KPMG International-ის მმართველი ორგანოები შედგება გლობალური წარმომადგენლობითი საბჭოსგან, გლობალური აღმასრულებელი საბჭოსგან (მისი კომიტეტების ჩათვლით), გლობალური მენეჯმენტის გუნდისა და გლობალური სამეთვალყურეო ჯგუფებისგან.

### გლობალური წარმომადგენლობითი საბჭო

გლობალური წარმომადგენლობითი საბჭო ორიენტირებულია მაღალი დონის მმართველობით ამოცანებზე და უზრუნველყოფს წევრ ფირმებს შორის ღია დისკუსიისა და კომუნიკაციისთვის საჭირო პლატფორმის არსებობას. სხვა საკითხებთან ერთად, გლობალური საბჭო ირჩევს გლობალურ თავმჯდომარეს და ამტკიცებს გლობალური საბჭოს წევრებს. საბჭოში წარმოდგენილია KPMG-ის 47 წევრი ფირმა.

### გლობალური აღმასრულებელი საბჭო

გლობალური აღმასრულებელი საბჭო KPMG International-ის მთავარი მმართველი და ზედამხედველობის ორგანოა. გლობალური საბჭოს ძირითადი მოვალეობები მოიცავს გლობალური სტრატეგიის დამტკიცებას, KPMG-ის ბრენდისა და რეპუტაციის დაცვასა და განმტკიცებას, გლობალური მენეჯმენტის გუნდის ზედამხედველობას, აგრეთვე იმ პოლიტიკის დამტკიცებას, რომელთა დაცვაზეც KPMG ფირმები შეთანხმდნენ. ის ასევე იღებს გადაწყვეტილებას KPMG-ის ფირმების გლობალურ ორგანიზაციაში მიღებისა ან მათი წევრობის შეწყვეტის შესახებ.

გლობალურ აღმასრულებელ საბჭოს ხელმძღვანელობს გლობალური თავმჯდომარე, ბილ ტომასი და აღნიშნულ საბჭოში შედიან თითოეული რეგიონის (the Americas; Asia Pacific (ASPAC); and Europe, the Middle East, and Africa (EMA)) თავმჯდომარე და რამდენიმე წევრი, რომლებიც ასევე არიან წევრი ფირმის უფროსი პარტნიორები.

გლობალური საბჭოს ამჟამინდელი წევრების სია ხელმისაწვდომია kpmg.com-ის Leadership page-ის გვერდზე.

გლობალური საბჭოს კომიტეტები:

გლობალურ საბჭოს ზედამხედველობისა და მმართველობის პასუხისმგებლობებში მხარს უჭერს რამდენიმე კომიტეტი, მათ შორის:

- აღმასრულებელი კომიტეტი,
- მმართველი კომიტეტი,
- გლობალური ხარისხისა და რისკების მართვის კომიტეტი და
- გლობალური აუდიტის ხარისხის კომიტეტი.

თითოეული ეს კომიტეტი შედგება გლობალური აღმასრულებელი საბჭოს წევრებისგან, რომლებიც ანგარიშვალდებულნი არიან გლობალური აღმასრულებელი საბჭოს წინაშე.

გლობალური აუდიტის ხარისხის კომიტეტის უმთავრესი მოვალეობაა ყველა ფირმაში უზრუნველყოს აუდიტის ხარისხის თანმიმდევრულობა და აღნიშნულ პროცესზე სათანადო ზედამხედველობის განხორციელება.

KPMG International-ის საქმიანობა მიმართულია KPMG-ის წევრი ფირმების მიერ განხორციელებული აუდიტის, მარწმუნებელი მომსახურებებისა და ხარისხის მართვის სისტემის (SoQM) ხარისხისა და თანმიმდევრობის მუდმივ გაუმჯობესებასა და შენარჩუნებაზე, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროფესიული სტანდარტების თანმიმდევრული დაცვა ქსელის ყველა ფირმაში. აუდიტის გლობალური ხელმძღვანელი და აუდიტის ხარისხის გლობალური ხელმძღვანელი (ეს უკანასკნელი პასუხისმგებელია KPMG International-ის სახელით KPMG-ის მთელ ორგანიზაციაში აუდიტის ხარისხის


შესავალი და წინასიტყვაობა
ხარისხის მართვის სისტემა - ხარისხის საფუძველი
ჩვენს ღირებულებებზე დაფუძნებული კულტურით მოქმედება
გამოცდილების და ცოდნის გამოყენება
ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება
ინკლუზიური და კვალიფიციური გუნდების განვითარება
შესაბამის კლიენტებთან და გარიგებებთან ასოცირება
დამოუკიდებლობა და ეთიკა
გარიგებების ხარისხიანად შესრულება
ხარისხთან დაკავშირებული რისკების შეფასება
მონიტორინგი და გამოსწორება
ეფექტური კომუნიკაცია
მმართველობა და ლიდერობა
განცხადება ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის შესახებ
დანართები


© 2026 შპს KPMG Georgia, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited. ყველა უფლება დაცულია.

ზედამხედველობაზე) აღნიშნულ კომიტეტს აუდიტის ხარისხთან დაკავშირებულ საკითხებზე ანგარიშს წარუდგენენ.

### გლობალური მენეჯმენტის გუნდი (GMT)

გლობალურმა აღმასრულებელმა საბჭომ გარკვეული უფლებამოსილებების დელეგირება მოახდინა გლობალურ მენეჯმენტის გუნდზე (GMT). აღნიშნული პასუხისმგებლობები მოიცავს გლობალური სტრატეგიის შემუშავებას აღმასრულებელ კომიტეტთან (Executive Committee) მჭიდრო თანამშრომლობით და მის ერთობლივ წარდგენას გლობალური აღმასრულებელი საბჭოსთვის დასამტკიცებლად. GMT ასევე უზრუნველყოფს KPMG-ის წევრი ფირმების მხარდაჭერას გლობალური სტრატეგიისა და KPMG International-ის პოლიტიკის განხორციელებაში. გარდა ამისა, GMT ზედამხედველობას უწევს გლობალური სამეთვალყურეო ჯგუფის (Global Steering Groups) საქმიანობას. გუნდს ხელმძღვანელობს გლობალური თავმჯდომარე, ბილ ტომასი.

GMT-ის ამჟამინდელი წევრების სია ხელმისაწვდომია Leadership page-ზე kpmg.com-ის გვერდზე.

### გლობალური სამეთვალყურეო ჯგუფები

თითოეული ძირითადი ფუნქციისა და ინფრასტრუქტურული მიმართულებისთვის ჩამოყალიბებულია გლობალური სამეთვალყურეო ჯგუფი (Global Steering Group), რომელსაც თავმჯდომარეობს GMT-ის შესაბამისი წევრი. აღნიშნული ჯგუფები კოორდინირებულად უზრუნველყოფენ GMT-ის მხარდაჭერას მისი პასუხისმგებლობების შესრულებაში.

ისინი მოქმედებენ გლობალური საბჭოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში და საქმიანობას ახორციელებენ GMT-ის სამეთვალყურეო ზედამხედველობის ქვეშ.

კერძოდ, გლობალური აუდიტის სამეთვალყურეო ჯგუფი და ხარისხისა და რისკების მართვის გლობალური  სამეთვალყურეო ჯგუფი მჭიდროდ თანამშრომლობენ რეგიონული და წევრი ფირმების ხელმძღვანელობასთან რათა უზრუნველყონ:

- შესაბამისი აუდიტის, ხარისხისა და რისკების მართვის პოლიტიკის შემუშავება და მათი ეფექტური კომუნიკაცია;
- აუდიტის ხარისხის ამაღლების მიზნით, რისკების მართვის ეფექტური, ქმედითი პროცესების ჩამოყალიბება და მხარდაჭერა;
- წევრი ფირმების აუდიტის მიმართულებებში სტრატეგიის განხორციელების ხელშეწყობა და მხარდაჭერა, მათ შორის აუდიტის ხარისხის სტანდარტების დანერგვის გზით;
- აუდიტის ხარისხთან დაკავშირებული საკითხების შეფასება და მონიტორინგი, მათ შორის ხარისხის მართვის სისტემიდან (SoQM), ხარისხის მაჩვენებლებიდან და რეგულატორული შემოწმებებიდან გამომდინარე; ასევე, იმ საუკეთესო პრაქტიკებზე ფოკუსირება, რომლებიც ამცირებს აუდიტის ხარისხთან დაკავშირებულ მიგნებებს.

გლობალური აუდიტის სამეთვალყურეო ჯგუფისა და გლობალური ხარისხისა და რისკების მართვის სამეთვალყურეო ჯგუფის როლები დეტალურად არის აღწერილი KPMG International-ის Transparency Report-ში, „Governance and leadership“ სექციაში.


შესავალი და წინასიტყვაობა

ხარისხის მართვის სისტემა - ხარისხის საფუძველი

ჩვენს ღირებულებებზე დაფუძნებული კულტურით მოქმედება

გამოცდილების და ცოდნის გამოყენება

ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება

ინკლუზიური და კვალიფიციური გუნდების განვითარება

შესაბამის კლიენტებთან და გარიგებებთან ასოცირება

დამოუკიდებლობა და ეთიკა

გარიგებების ხარისხიანად შესრულება

ხარისხთან დაკავშირებული რისკების შეფასება

მონიტორინგი და გამოსწორება

ეფექტური კომუნიკაცია

მმართველობა და ლიდერობა

განცხადება ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის შესახებ

დანართები



© 2026 შპს KPMG Georgia, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited. ყველა უფლება დაცულია.

# KPMG GEORGIA-ს განცხადება ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის შესახებ, 2025 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით

აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო საბჭოს (IAASB), ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტისა (ხმსს 1) და KPMG International Limited-ის პოლიტიკის მოთხოვნების შესაბამისად, შპს KPMG Georgia („ფირმა“) პასუხისმგებელია ხარისხის მართვის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და ფუნქციონირებაზე ფინანსური ანგარიშგებების აუდიტის ან მიმოხილვის, ან სხვა მარწმუნებელი ან მასთან დაკავშირებული მომსახურების ფარგლებში ფირმის მიერ შესრულებული გარიგებებისთვის. ხარისხის მართვის სისტემის მიზანია, ფირმას მიაწოდოს დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ:

- ფირმა და მისი თანამშრომლები თავიანთ მოვალეობებს ასრულებენ პროფესიული სტანდარტებისა და მოქმედი საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად და გარიგებები ხორციელდება ამგვარი სტანდარტებისა და მოთხოვნების დაცვით;
- ფირმისა და გარიგების პარტნიორების მიერ გამოცემული ანგარიშები მართებულია არსებული გარემოებების გათვალისწინებით.

გამჭვირვალობის ანგარიშში ფირმა აღწერს, თუ როგორ უზრუნველყოფს მისი ხარისხის მართვის სისტემა გარიგებების თანმიმდევრულად მაღალი ხარისხით შესრულებას.

ხარისხის მონიტორინგისა და შესაბამისობის ინტეგრირებული პროგრამები ფირმას შესაძლებლობას აძლევს, გამოავლინოს და შესაბამისი რეაგირება მოახდინოს, როგორც ინდივიდუალური გარიგებების, ასევე ხარისხის მართვის  სისტემის მასშტაბით გამოვლენილ მიგნებებზე და ხარვეზებზე.

ფირმის მიერ ხარისხის მართვის სისტემის ყოველწლიური შეფასების პროცესში გამოვლენილი ხარვეზების არსებობისას, მათი გამომწვევი ძირეული მიზეზების, სიმწვავის ხარისხისა და გავრცელების მასშტაბის შესწავლის შესაბამისად ხდება ხარისხის მართვის სისტემაზე ხარვეზების გავლენების ინდივიდუალური და ერთობლივი შეფასება, შეფასების თარიღის მდგომარეობით განხორციელებული საპასუხო ღონისძიებების გათვალისწინებით.

შპს KPMG Georgia-ს  ხარისხის მართვის სისტემის 2025 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით ჩატარებული ყოველწლიური შეფასების საფუძველზე, ხარისხის მართვის სისტემა იძლევა დასაბუთებულ რწმუნებას იმაზე, რომ ხარისხის მართვის სისტემის მიზნები მიღწეულია.

**საკენ ჟუმაშევი**

KPMG კავკასიისა და
ცენტრალური აზიის
მმართველი პარტნიორი

**ნიკოლოზ ქოჭუა**

აუდიტის დეპარტამენტის
ხელმძღვანელი,
KPMG Georgia


შესავალი და წინასიტყვაობა

ხარისხის მართვის სისტემა - ხარისხის საფუძველი

ჩვენს ღირებულებებზე დაფუძნებული კულტურით მოქმედება

გამოცდილების და ცოდნის გამოყენება

ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება

ინკლუზიური და კვალიფიციური გუნდების განვითარება

შესაბამის კლიენტებთან და გარიგებებთან ასოცირება

დამოუკიდებლობა და ეთიკა

გარიგებების ხარისხიანად შესრულება

ხარისხთან დაკავშირებული რისკების შეფასება

მონიტორინგი და გამოსწორება

ეფექტური კომუნიკაცია

მმართველობა და ლიდერობა

განცხადება ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის შესახებ

დანართები



© 2026 შპს KPMG Georgia, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited. ყველა უფლება დაცულია.

# დანართი 1.
# საქართველოში მოქმედი იურიდიული სუბიექტი და მისი საქმიანობის სფერო

| სუბიექტის დასახელება | სამართლებრივი ფორმა | რეგულირების სტატუსი | საქმიანობის სფერო | მოქმედების არეალი |
|---|---|---|---|---|
| შპს KPMG Georgia | შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება | რეგულირებული სფერო - აუდიტი | აუდიტი, საგადასახადო & იურიდიული და საკონსულტაციო მომსახურება | საქართველო |

© 2026 შპს KPMG Georgia, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited. ყველა უფლება დაცულია.



შესავალი და წინასიტყვაობა
ხარისხის მართვის სისტემა - ხარისხის საფუძველი
ჩვენს ღირებულებებზე დაფუძნებული კულტურით მოქმედება
გამოცდილების და ცოდნის გამოყენება
ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება
ინკლუზიური და კვალიფიციური გუნდების განვითარება
შესაბამის კლიენტებთან და გარიგებებთან ასოცირება
დამოუკიდებლობა და ეთიკა
გარიგებების ხარისხიანად შესრულება
ხარისხთან დაკავშირებული რისკების შეფასება
მონიტორინგი და გამოსწორება
ეფექტური კომუნიკაცია
მმართველობა და ლიდერობა
განცხადება ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის შესახებ
დანართები

# ᲓᲐᲜᲐᲠᲗᲘ 2.
# ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ KPMG CCA-ᲘᲡ ᲛᲔᲗᲕᲐᲚᲧᲣᲠᲔᲝᲑᲐᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲞᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

KPMG კავკასიისა და ცენტრალური აზიის აღმასრულებელი საბჭო*



**საკენ ჟუმაშევი**
მმართველი პარტნიორი,
KPMG კავკასია და ცენტრალური აზია



**მუხიტ კოსაიევი**
პარტნიორი, აუდიტორული
მიმართულების ხელმძღვანელი
KPMG კავკასია და ცენტრალური აზია



**კახა რუხაძე**
პარტნიორი, საგადასახადო და
იურიდიული მიმართულების
ხელმძღვანელი KPMG კავკასია და
ცენტრალური აზია



**კლაუს ნილსენი**
რისკების მართვის, ეთიკისა და
დამოუკიდებლობის პარტნიორი
KPMG კავკასია და ცენტრალური აზია



**ტიმურ ომაშევი**
პარტნიორი, საკონსულტაციო
მიმართულების ხელმძღვანელი
KPMG კავკასია და ცენტრალური აზია



**სერგეი დემენტიევი**
პარტნიორი, ფინანსური
მიმართულების ხელმძღვანელი
KPMG კავკასია და ცენტრალური აზია



**დიას კალაჟანოვი**
პარტნიორი, გარიგებათა მხარდაჭერის
მიმართულების ხელმძღვანელი
KPMG კავკასია და ცენტრალური აზია

*აღნიშნული სტრუქტურა წარმოდგენილია ამ ანგარიშის მომზადების თარიღისთვის.


შესავალი და წინასიტყვაობა
ხარისხის მართვის სისტემა - ხარისხის საფუძველი
ჩვენს ღირებულებებზე დაფუძნებული კულტურით მოქმედება
გამოცდილების და ცოდნის გამოყენება
ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება
ინკლუზიური და კვალიფიციური გუნდების განვითარება
შესაბამის კლიენტებთან და გარიგებებთან ასოცირება
დამოუკიდებლობა და ეთიკა
გარიგებების ხარისხიანად შესრულება
ხარისხთან დაკავშირებული რისკების შეფასება
მონიტორინგი და გამოსწორება
ეფექტური კომუნიკაცია
მმართველობა და ლიდერობა
განცხადება ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის შესახებ
დანართები


© 2026 შპს KPMG Georgia, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited. ყველა უფლება დაცულია.

# დანართი 3. საზოგადოებრივი დაინტერესების პირები

ქვემოთ მოცემულია იმ აუდიტის კლიენტების ჩამონათვალი, რომლებიც წარმოადგენენ საზოგადოებრივი დაინტერესების პირებს და რომელთა მიმართ   ჩვენმა ფირმამ 2025 წლის 30 სექტემბერს დასრულებული პერიოდისთვის გასცა აუდიტორული დასკვნა. საზოგადოებრივი დაინტერესების პირის განმარტება მოცემულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში.

- სს ბორჯომი ლიკანი ინტერნეიშენალ
- სს საქართველოს განვითარების ფონდი
- შპს გარდაბნის თბოსადგური
- შპს გარდაბნის თბოსადგური 2
- შპს საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის მესაკუთრე
- სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია
- სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა
- სს სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი
- სს დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო
- სს იშბანკი საქართველო
- სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი
- სს პაშა ბანკი საქართველო
- შპს სილქ რიალ ისთეით
- სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგო


შესავალი და წინასიტყვაობა

ხარისხის მართვის სისტემა - ხარისხის საფუძველი

ჩვენს ღირებულებებზე დაფუძნებული კულტურით მოქმედება

გამოცდილების და ცოდნის გამოყენება

ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება

ინკლუზიური და კვალიფიციური გუნდების განვითარება

შესაბამის კლიენტებთან და გარიგებებთან ასოცირება

დამოუკიდებლობა და ეთიკა

გარიგებების ხარისხიანად შესრულება

ხარისხთან დაკავშირებული რისკების შეფასება

მონიტორინგი და გამოსწორება

ეფექტური კომუნიკაცია

მმართველობა და ლიდერობა

განცხადება ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის შესახებ

დანართები


© 2026 შპს KPMG Georgia, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited. ყველა უფლება დაცულია.

# დანართი 4.
# ევროკავშირისა (EU) და ევროპის ეკონომიკური ზონის (EEU) ქვეყნებში მდებარე აუდიტორული ფირმების ჩამონათვალი

წარმოგიდგენთ KPMG-ის იმ აუდიტორული ფირმების სიას, რომლებიც ევროკავშირის/ევროპის ეკონომიკური ზონის ქვეყნებში მდებარეობს. არსებული ინფორმაციით, სია ასახავს 2025 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობას.

| ადგილმდებარეობა | ფირმის სახელი |
|---|---|
| ავსტრია | KPMG Austria GmbH Wirtschaftsprüfungs- und Steuerberatungsgesellschaft (Wien) |
| ავსტრია | KPMG Alpen-Treuhand GmbH Wirtschaftsprüfungs- und Steuerberatungsgesellschaft (Wien) |
| ავსტრია | KPMG Austria GmbH Wirtschaftsprüfungs- und Steuerberatungsgesellschaft (Linz) |
| ავსტრია | KPMG Niederösterreich GmbH Wirtschaftsprüfungs- und Steuerberatungsgesellschaft |
| ბელგია | KPMG Bedrijfsrevisoren/KPMG Réviseurs d’Entreprises |
| ბულგარეთი | KPMG Audit OOD |
| ხორვატია | KPMG Croatia d.o.o. za reviziju |
| კვიპროსი | KPMG |
| კვიპროსი | KPMG Limited |

| ადგილმდებარეობა | ფირმის სახელი |
|---|---|
| ჩეხეთი | KPMG Ceská republika Audit, s.r.o. |
| დანია | KPMG P/S |
| ესტონეთი | KPMG Baltics OÜ |
| ფინეთი | KPMG Oy Ab |
| ფინეთი | KPMG Julkistarkastus Oy |
| საფრანგეთი | KPMG S.A. |
| საფრანგეთი | KPMG Audit FS I |
| საფრანგეთი | KPMG Audit IS |
| საფრანგეთი | KPMG Audit Ouest |
| საფრანგეთი | KPMG Fiduciaire de France |
| საფრანგეთი | SALUSTRO REYDEL |

© 2026 შპს KPMG Georgia, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited. ყველა უფლება დაცულია.

| ადგილმდებარეობა | ფირმის სახელი |
|---|---|
| გერმანია | KPMG AG Wirtschaftsprüfungsgesellschaft |
| გერმანია | KPMG Bayerische Treuhandgesellschaft Aktiengesellschaft Wirtschaftsprüfungsgesellschaft Steuerberatungsgesellschaft |
| საბერძნეთი | KPMG Certified Auditors S.A. |
| უნგრეთი | KPMG Hungária Kft. |
| ისლანდია | KPMG ehf. |
| ირლანდია (რესპუბლიკა) | KPMG |
| იტალია | KPMG S.p.A. |
| იტალია | KPMG Audit S.p.A. |
| ლატვია | KPMG Baltics SIA |
| ლიხტენშტაინი | KPMG (Liechtenstein) AG |
| ლიეტუვა | KPMG Baltics UAB |
| ლუქსემბურგი | KPMG Audit S.à.r.l. |
| მალტა | KPMG |
| ნიდერლანდები | KPMG Accountants N.V. |
| ნორვეგია | KPMG Holding AS |
| ნორვეგია | KPMG AS |
| ნორვეგია | KPMG CARVE-OUT AS |

| ადგილმდებარეობა | ფირმის სახელი |
|---|---|
| პოლონეთი | KPMG Audyt Services Spółka z ograniczona odpowiedzialnoacia |
| პოლონეთი | KPMG Audyt Spółka z ograniczona odpowiedzialnoacia |
| პოლონეთი | KPMG Audyt Spółka z ograniczona odpowiedzialnoacia Spółka Komandytowa |
| პორტუგალია | KPMG & Associados - Sociedade de Revisores Oficiais de Contas, S.A. |
| რუმინეთი | KPMG Audit SRL |
| სლოვაკეთი | KPMG Slovensko spol. s r.o. |
| სლოვენია | KPMG Slovenija, podjetje za revidiranje, d.o.o. |
| ესპანეთი | KPMG Auditores, S.L. |
| შვედეთი | KPMG AB |

2025 წლის 30 სექტემბრით დასრულებული ფისკალური წლის განმავლობაში, ევროკავშირისა და ევროპის ეკონომიკური ზონის წევრი ქვეყნების KPMG-ის ფირმების მიერ წლიური და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების სავალდებულო აუდიტიდან მიღებულმა ჯამურმა შემოსავალმა 2.7 მილიარდი ევრო შეადგინა. ევროკავშირის/ევროპის ეკონომიკური ზონის სავალდებულო აუდიტის ჯამური შემოსავლების მაჩვენებლები წარმოდგენილია ამჟამად ხელმისაწვდომი მაქსიმალური სიზუსტით და კონვერტირებულია 2025 წლის 30 სექტემბერს დასრულებული 12-თვიანი პერიოდის საშუალო გაცვლითი კურსით.


შესავალი და წინასიტყვაობა
ხარისხის მართვის სისტემა - ხარისხის საფუძველი
ჩვენს ღირებულებებზე დაფუძნებული კულტურით მოქმედება
გამოცდილების და ცოდნის გამოყენება
ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება
ინკლუზიური და კვალიფიციური გუნდების განვითარება
შესაბამის კლიენტებთან და გარიგებებთან ასოცირება
დამოუკიდებლობა და ეთიკა
გარიგებების ხარისხიანად შესრულება
ხარისხთან დაკავშირებული რისკების შეფასება
მონიტორინგი და გამოსწორება
ეფექტური კომუნიკაცია
მმართველობა და ლიდერობა
განცხადება ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის შესახებ
დანართები


© 2026 შპს KPMG Georgia, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited. ყველა უფლება დაცულია.

# ᲓᲐᲒᲕᲘᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲘᲗ:

მე-5 სართული, GMT Plaza, შპს KPMG Georgia,
მთაწმინდის რაიონი, თავისუფლების მოედანი N4 (ნაკვეთი 66/4)
ს/კ: 404437695
ტელ: +995 322 93 57 13
ელ.ფოსტა: general@kpmg.com

kpmg.ge

წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია არის ზოგადი ხასიათის და არ ითვალისწინებს კონკრეტულ გარემოებებს ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებთან მიმართებაში. მიუხედავად იმისა რომ ჩვენ ვისწრაფით ზუსტი და დროული ინფორმაცია მოგაწოდოთ, არ არსებობს გარანტია იმისა, რომ ეს ინფორმაცია მიღების მომენტისათვის ან მომავალშიც იქნება ზუსტი. რაიმე სახის რეაგირების მოხდენა მსგავს ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოხდება შესაბამის სპეციალისტთან კონსულტაცია და სიტუაციის ზედმიწევნით შესწავლა.

© 2026 შპს KPMG Georgia, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited. ყველა უფლება დაცულია.

სახელი KPMG და KPMG-ს ლოგო წარმოადგენენ სავაჭრო ნიშნებს, რომლებსაც ლიცენზიით იყენებენ KPMG გლობალური ორგანიზაციის დამოუკიდებელი წევრი ფირმები.